მოსკოვი გავლენის სფეროს აფართოებს

A2

"თქვენი აფხაზეთი"

A2

ნერვების თამაში

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 2006 წელი. №197 (1349) ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.

პოლიტიკა

დარტყმა რუსულ ოცნებას

რუსული გეგმა ჯერჯერობით არ ამართლებს - კობა დავითაშვილი სიკვდილს გადაურჩა და არც კახელ გლეხებს გადაუკეტიათ პროტესტის გამო კახეთის გზები. მაგრამ, გამწარებული რუსეთის ფანტაზია ჯერ, რა თქმა უნდა, არ ამოწურულა.

A3

რევიუ

ვენეციის ბიენალეს დღიური

ვენეციის სახელთან დღეს ორი უდიდესი მოვლენაა გაიგივებული - კინოფესტივალი და ბიენალე. ვენეციის კინოფესტივალი - ერთ-ერთი ელიტარულია მსოფლიო კინოფესტივალებს შორის, ვენეციის ბიენალე - კი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული არტ ფორუმია მსოფლიოში.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	7/09	8/09
თბილისი	28	27
ბათუმი	22	22
სოხუმი	20	24
ქუთაისი	22	26
გორი	22	22
თელავი	27	26
ონი	16	19
ზუგდიდი	21	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7470
ევრო	2.2404
ბირვანქა სტერლ.	3.3069
რუბლი	0.0655

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
პროექტი	A 5
რევიუ	A 6
რევიუ	A 7
სპორტი	A 8

სახელმწიფო გადატრიალება აღკვეთილია

თამარ კაციტაძე

რაც მართალია, მართალია, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს კედლებიდან ინფორმაციები მინიმალურადაც აღარ იყონება. ამიტომ, გუშინდელი ოპერაცია ერთნაირად მოულოდნელი იყო როგორც საზოგადოებისთვის, ასევე იმ პარტიის წარმომადგენლებისთვის, რომლის 29 აქტივისტი სამართალდამცველებმა დილით ერთდროულად დაიჭირეს და დღის განმავლობაში "მოდულის" შენობაში გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

გაგრძელება A4 გვერდზე

ჩვენ უკვე (ერთი) გუნდი ვართ!

A8

რთველი 2006

ტენდენციები და პერსპექტივები

B

ორი დღის წინ კახეთში რთველი დაიწყო. წელს ამ რეგიონში ყურძნის უხვ დოვლათს ელოდებიან. რა ბედი ელის ამ მოსავალს და კახელ გლეხს, როდესაც ქართული ღვინის გასაღების უმთავრესი ბაზარი - რუსეთი კვლავ ჩაკეტილი რჩება? ეს კითხვა საქართველოში ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე, ცნობილი რუსული ემბარგოს შემდეგ დაისვა. ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა თავდაჯერებულად აცხადებს, რომ რთველი კარგად ჩაივლის და გლეხს ამაგი დაუფასდება.

საქველმოქმედო ფონდის პოლიტიკური გადახრები

იგორ გიორგაძის მხარდამჭერი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები საქართველოში მისი გაქცევისთანავე შეიქმნა, თუმცა სერიოზულად მათ არავინ აღიქვამდა. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც 2006 წლის იანვარში საქართველოში "იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდი", მოგვიანებით კი "ფონდი კავკასიის დემოკრატიული განვითარებისთვის" ოფიციალურად დარეგისტრირდა. ეს უკანასკნელი, კრემლის დაკვეთით, რუსმა ბიზნესმენებმა შექმნეს სპეციალურად კავკასიისთვის. გიორგაძის მხარდამჭერ პოლიტიკურ პარტიებს გაუჩნდათ ფული და ისინი იმდენად გაძლიერდნენ, რომ დაიწყეს მთელი საქართველოს მასშტაბით აქციების გამართვა, მედიასაშუალებისა და საზოგადოების რიგითი წარმომადგენლების დაფინანსება.

ეკა ჭანაშია

პოლიტიკაში მოსვლისთვის ორგანიზებული ქმედებები გიორგაძემ და მისმა პოლიტიკურმა მხარდამჭერებმა 2003 წლიდან დაიწყეს. პარტია "სამართლიანობაც" ამავე წელს, არჩევნებამდე ცოტა ხნის წინ შეიქმნა. ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე იგორ გიორგაძე ჯერ კიდევ დამოუკიდებელ კანდიდატად ცდილობდა კენჭისყრას სამტრედიიდან, მაგრამ იგი ცესკო-მ რეგისტრაციაში არ გაატარა. არგუმენტი - ბოლო ხუთი წელი საქართველოში არ ცხოვრობდა. თუმცა, საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც იგორ გიორგაძე შიდა ქართლში, ზნაურში (ცხინვალის რეგიონში, ქართველი სამართალდამცველების მიერ უკონტროლო ტერიტორიაზე) ცხოვრობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ცესკო-ში წარმოდგენილ დოკუმენტებში ფიგურირებდა იგორ გიორგაძის მეორე პასპორტის ქსეროასლი, რომელშიც მის საცხოვრებელ ადგილად თბილისი იყო მითითებული. საბოლოოდ, სწორედ ამ მიზეზით ჩამოერთვა გიორგაძეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. შევარდნაძის დროინდელი ცესკო-ს წევრის მამუკა გობეჩიას თქმით, საარჩევნო კომისიაში ამ საკითხზე კენჭისყრისას იგორ გიორგაძის რეგისტრაციაში გატარებას "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა. გობეჩიას არ ახსოვს, დაუჭირეს თუ არა კენჭისყრისას მხარი "მრეწველებმა", თუმცა "ბურჯანაძე-დემოკრატების" პოზიციას რომ იზიარებდნენ, ახსოვს. მაშინ ცესკო-მ გიორგაძის პოლიტიკური ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები უშიშროების სამინისტროს გაუგზავნა შესასწავლად.

გაგრძელება A3 გვერდზე

ცუდი იდეა

გიორგაძე რუსეთს ვერ გამოადგა

იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა ნეიტრალიზება საქართველოში რუსეთის გეგმებისათვის მოულოდნელი და მომაკვდინებელი დარტყმა აღმოჩნდა. კრემლის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ბოლო დროს ძირითადად ხელისუფლების შეცვლისათვის ნიადაგის მომზადებაზე იყო მიმართული. მოსკოვს საქართველოზე ზემოქმედების ყველა ბერკეტი, ძალისმიერის გარდა, ხელიდან გამოეცალა.

დიმიტრი ავალიანი

"ხელისუფლების მოქმედება ერთ მიზანს ემსახურება - მოსახლეობის დაშინებას და შელახული რეიტინგის აღდგენას რეპრესიების გზით," - ასე შეაფასა მის მხარდამჭერთა მასობრივი დაპატიმრებები საქართველოში თავად ძებნილმა ექსმინისტრმა იგორ გიორგაძემ ერთ-ერთი რუსული ტელეარხისათვის მიცემულ კომენტარში.

საერთოდ, რუსული მედიის, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებებში გუშინ სწორედ ეს თვალსაზრისი დომინირებდა - სააკაშვილის ხელისუფლება ოპოზიციას ებრძვის.

"საქართველოში პრაქტიკულად ყველა გამოჩენილი ოპოზიციონერი მოღვაწე გისოსებს მიღმა აღმოჩნდა", "სააკაშვილის დღეები დათვლილია", "ტოტალიტარიზმი მძვინვარებს", - ასე აფასებენ მოვლენებს რუსეთში.

"ქართველი ხალხის მოთმინება უსაზღვრო არ არის. ხალხი არ მისცემს სააკაშვილს უფლებას, თავისი წარმომადგენლები გაანადგუროს. საქართველოს ხელისუფლების მოქმედება სააკაშვილის რეჟიმის სრულ უუნარობას ადასტურებს," - ამ იმედით ცოცხლობს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი საველიევი.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკურ კომენტარებს მინუს თავშეკავებული ნათელაშვილი

პარტია "სამართლიანობის" ლიდერების დაკავებას ოპოზიციური პარტიებისა და საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლები არაერთგვაროვნად აფასებენ. ცალსახაა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების პოზიცია - სამშობლოს მოღალატეები სამაგალითოდ დაისჯებიან.

გიორგი ასანიშვილი
ვერიკო თევზაძე

ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი ცაგარეიშვილს დაკავებულთა ბრალეულობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მიაჩნია და ვიდრე სასამართლო მათ მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, სამართლებრივი შეფასებების გაკეთებას ერიდება. სამაგიეროდ, "24 საათთან" საუბარში იგი პოლიტიკურ შეფასებებს "სიამოვნებით" აკეთებს.

"ამ ბოლო ხანს სოკოებივით მომრავლებული ოფისები, უზარმაზარი თანხები, რომლებიც მათ შესანახად იხარჯება - ეს ყველაფერი ბადებს კითხვას: საიდან ფინანსდებიან ეს ადამიანები?" - "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი საკუთარ შეკითხვას თავადვე პასუხობს და აღნიშნავს, რომ "სამართლიანობა" რუსეთიდან, კერძოდ კი, მოსკოვიდან ფინანსდებოდა.

სხვა ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, გიორგი ცაგარეიშვილი კატეგორიულად გამორიცხავს, რომ "სამართლიანობის" ლიდერების დაკავება პოლიტიკური ანგარიშსწორების ელემენტებს შეიცავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

"სამართლიანი არჩევნები" ცესკო-ს წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 4 სექტემბერს მიღებულ დადგენილებას უკანონოდ მიიჩნევს.
საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის ადგილობრივ არჩევნებში, სამსახურეობრივი მოწმობით მონაწილეობის უფლების მიცემას.

ნათია მსხილაძე

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ ჟვანიამ და იურიდიულმა მრჩეველმა კახა სოფრომაძემ მასმედიის წარმომადგენლებს ცესკო-ს "არაკანონიერი" N25 დადგენილების არსი გააცნეს.

"ცენტრალური საარჩევნი კომისიის ეს დადგენილება სამხედრო მოსამსახურეს უფლებას აძლევს, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა ნებისმიერ საარჩევნო ოლქში მიიღოს, მისი სამხედრო ნაწილის განლაგებისა და არა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დადგენილება ასევე განსაზღვრავს, რომ სამხედრო მოსამსახურეებმა არჩევნებში მონაწილეობა სამხედრო მოსამსახურის პირადობის მოწმობის საფუძველზე უნდა მიიღონ," - აცხადებენ "სამართლიან არჩევნებში".

"სამართლიანი არჩევნების" იურიდიული მრჩეველის განმარტებით, ცესკო-ს აღნიშნული დადგენილება საქართველოს საარჩევნო კოდექსს ეწინააღმდეგება. **"საარჩევნო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა დოკუმენტებით აქვს ამომრჩეველს კენჭისყრაში მონაწილეობის მიიღების უფლება. ეს დოკუმენტებია: საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი,"** - აღნიშნა კახა სოფრომაძემ.

ცესკო-ს N25 დადგენილებით, სამხედრო მოსამსახურეები ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედიან ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის მიხედვით, ხოლო კანონი კი განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეების სპეციალურ სიაში შეყვანას და ხმის მიცემას რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

"სამართლიანი არჩევნები" იმედოვნებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, სარჩელის საფუძველზე, ცესკო-ს აღნიშნულ დადგენილებას ბათილად ცნობს.

თბილისის საქალაქო სასამართლო "სამართლიანი არჩევნების" სარჩელს ორ დღეში განიხილავს. "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში, 3000- ვე უბანზე საკუთარი დამკვირვებელი ეყოლებათ. გარდა ამისა, ისინი პარალელურ დათვლას განახორციელებენ თბილისში, ქუთაისში, თელავში, ბათუმსა და რუსთავში.

"სამართლიანი არჩევნების " ინფორმაციით, ამომრჩეველთა სიები ყველა უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიების პირველივე შეკრების დღეს - 1 სექტემბერს უნდა გამოკრულიყო. საარჩევნო ადმინისტრაციას ამ ეტაპზე არსებული სიების ვერსიების საჯაროდ გამოქვეყნება უწევს. სპეციალური ჯგუფების მიერ გადამოწმებული შესწორებები კი, მათში მოგვიანებით შევა.

"სამართლიანმა არჩევნებმა" სიების უბნებზე გამოქვეყნების მონიტორინგიც განახორციელა. 1 სექტემბრისთვის რამდენიმე საარჩევნო ოლქში ვერ მოხერხდა სიების უბნებზე საჯაროდ გამოქვეყნება. კერძოდ, ქალაქ ქუთაისის საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებმა ვერ მიიღეს საუბნო სიები, რის გამოც პირველი სხდომები ვერ ჩატარდა. ასევე, კახეთის რეგიონის 8 ოლქიდან მხოლოდ 2 საარჩევნო ოლქში გამოქვეყნდა სიები, ხოლო აჭარის რეგიონში არც ერთ საარჩევნო ოლქში არ გამოქვეყნებულა. ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების საარჩევნო ოლქებს სიები მხოლოდ ნაწილობრივ მიაწოდეს. თბილისის 10 ადგილობრივი საარჩევნო ოლქიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში სიები სრულყოფილად მხოლოდ 3 ოლქში გამოქვეყნდა.

პრობლემა კვლავ გადაუჭრელია

რუსეთმა, შესაძლოა, მხარი დაუჭიროს უშიშროების საბჭოს სანქციებს ირანის წინააღმდეგ

თეა მაისურაძე

ვენაში დაგეგმილი შეხვედრა ევროპელებსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო, რამდენიმე დღით გადაიდო. შეხვედრა მიზნად ისახავდა გამოერკვია, არსებობს თუ არა მოლაპარაკებების დაწყებისათვის საერთო საფუძველი 6 სახელმწიფოსა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი) და ირანს შორის.

"დღეს არ შედგება შეხვედრა ვენაში, თუმცა, ის აუცილებლად გაიმართება რამდენიმე დღეში," - განაცხადა ირანის ელჩმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში. მისივე განცხადებით, შეხვედრის გადადება პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გამოიწვია: **"ორივე მხარისათვის უკეთესი იქნება, თუ შეხვედრა მოგვიანებით შედგება,"** - ამბობს ირანელი დიპლომატი.

შეგახსენებთ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭო ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტისათვის მიცემული ვადა სამშაბათს დასრულდა. მიუხედავად ამისა, უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყანა და გერმანია შეთანხმდნენ, რომ ოფიციალური თეირანის წინააღმდეგ სანქციებს ჯერჯერობით ამოიღებდნენ დღის წესრიგიდან და საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მიიღებდნენ, როდესაც ცნობილი გახდებოდა ხავიერ სოლანასა და ალი ლარიჯანის შეხვედრის შედეგები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შეხვედრა არ შედგა და რამდენიმე დღით გადაიდო.

საყურადღებოა ისიც, რომ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები სამშაბათს ბერლინში შეიკრიბნენ, რათა ირანის ბირთვულ დოსიესთან დაკავშირებით განესაზღვრათ თავისი მოქმედების სტრატეგია.

ის ფაქტი, რომ ირანი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს და საბოლოო პასუხს არ აფიქსირებს, შესაძლოა იმითაც არის განპირობებული, რომ ისლამური რესპუბლიკა ჩინეთისა და რუსეთის ურყევ პოზიციაში დარწმუნებულია. შეგახსენებთ, რომ რუსეთსა და ჩინეთს ირანთან მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები გააჩნიათ. შესაბამისად ისინი ცდილობენ თავი შეიკავონ ირანის მიმართ მკაცრი პოზიციების დაფიქსირებისაგან და მის წინააღმდეგ სანქციებს მხარს არ უჭერენ.

კრემლის განცხადებით, ირანის წინააღმდეგ სანქციები არაპროდუქტიული იქნება, თუმცა იგორ შუვალოვი, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის უფროსი თანაშემწე აცხადებს, რომ ყველაფერი დასაშვებია და, შესაძლოა, რუსეთის პოზიციაც შეიცვალოს. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ირანის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერისაგან თავის შეკავება იმას არ ნიშნავს, რომ ოფიციალური მოსკოვისათვის ბირთვული იარაღის მფლობელი ირანი მისაღებია: **"ოფიციალური თეირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის შემთხვევაში, რუსეთი ყველაზე მეტად დაზარალდება"**. შუვალოვის თქმით, თუ ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები იქნება დაწესებული, ნავთობის ფასები გლობალური მასშტაბით გაიზრდება და ეს უარყოფით გავლენას იქონიებს რეგიონის სტაბილურობაზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით მგრძნობიარენი იქნებიან რუსეთი და ირანის მახლობლად მდებარე სხვა ქვეყნები: **"ჩვენ არ ვამბობთ უარს "მათრახის გამოყენებაზე", თუმცა არც ის გვინდა, რომ ეს მათრახი ჩვენი და ჩვენი პარტნიორების წინააღმდეგ იქნეს მიმართული,"** - განაცხადა მან.

ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესაძლებლობას არც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გამორიცხავს და აცხადებს, რომ ოფიციალური რუსეთი ამ საკითხს ყველა კუთხით განიხილავს და ძირითად გადამწყვეტ ფაქტორად მიიღებს რუსეთის მიზანს, არ დაუშვას მასობრივი განადგურების იარაღისა და ასევე მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის გავრცელება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამშაბათს ირანის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება გაეროს მიერ სანქციების დაწესების შემთხვევაში, ქვეყნის ბირთვული აღჭურვილობის საერთაშორისო ინსპექციის მიერ გაკონტროლების აკრძალვის შესახებ.

მოსკოვი გავლენის სფეროს აფართოებს

ურანი, იარაღი და ბრილიანტები - პუტინის ვიზიტის მიზანი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამხრეთული ტურნე საბერძნეთში ვიზიტით დაიწყო, სამხრეთ აფრიკით გაგრძელდა და მაროკოს მონახულებით დასრულდება. ექსპერტთა ვარაუდით, რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს რუსეთის მცდელობაზე - გააფართოოს თავისი გავლენის არეალი და კვლავ დაიბრუნოს ძველი პოზიციები, თუნდაც აფრიკაში.

ანალიტიკოსთა თქმით, რუსეთის პირველი პირის ვიზიტს სამხრეთ აფრიკაში დიდი ხანია ელოდნენ. საბჭოთა ეპოქაში აფრიკის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტია დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა სამხრეთ აფრიკის მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც აპარტეიდის პოლიტიკას ატარებდა. თუმცა, "ანკ"-ას სათავეში მოსვლა საბჭოთა კავშირის დაშლას დაემთხვა და ურთიერთობებიც ვეღარ განვითარდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ, სამხრეთ აფრიკაში ოფიციალური ვიზიტით რუსეთის ხელისუფლების პირველი პირი არ ჩასულა. ამ ქვეყანაში რუსეთის გავლენის შემცირების შემდეგ მისი ნიშა ჩინეთმა დაიკავა. სამხრეთ აფრიკაში კი, როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, დაინტერესებულნი არიან უფრო გავლენიანი პარტნიორი შეიძინონ, რომელიც მათ ინტერესებს მსოფლიო პოლიტიკურ არენასა და ვაჭრობის სფეროშიც დაიცავს. პუტინს თან ახლდა 100 ბიზნესმენი.

კეიპთაუნში გულთბილი დახვედრის შემდეგ პუტინი და ტაბო მბეკი ბიზნესმენთან ფორუმსაც დაესწრნენ. ფორუმის დასრულების შემდეგ კი "De Beers diamond corporation"-ის თავმჯდომარემ ნიკოლას ოპენჰაიმერმა და რუსული "რუსალ"-ის პრეზიდენტმა ალექსანდრ ნიჩიპორუკმა ხელშეკრულებაც გააფორმეს. თანხა, რომლის ჩადებასაც "რუსალ"-ი აპირებს სამხრეთ აფრიკის ეკონომიკის განვითარებაში, არ სახელდება, მაგრამ არაოფიციალური წყაროების თანახმად, რუსული ინვესტიციები 10 წლის მანძილზე დაახლოებით 5-7 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების იქნება. რაც შეეხება, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი და დიდი კომპანიის "რენოვა"-ს მიერ დაგეგმილ ინვესტიციას, მისი მოცულობა 1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

დღემდე ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა მოსკოვში არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ. 2005 წელს საქონელბრუნვამ რუსეთსა და სამხრეთ აფრიკას შორის 171 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სამხრეთ აფრიკის პროდუქციის ექსპორტი რუსეთში, ძირითადად, ციტრუსია (49 პროცენტი), ხოლო რუსეთს სამხრეთ აფრიკაში ქიმიური პროდუქცია და სხვადასხვა სახის ლითონი შეაქვს. თუმცა, როგორც რუსული წყაროები იუწყებიან, სამხრეთ აფრიკა დიდადაა დაინტერესებული რუსეთისგან ტექნიკა შეიძინოს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში. რუსული სამხედრო ტექნიკა კი მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ზოგადად აფრიკის კონტინენტზე.

თუმცა, პუტინის ვიზიტის მიზანი მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი, რასაკვირველია, არ შემოიფარგლებოდა. მასპინძელი ქვეყნის პირველი პირის გარდა, პუტინი აფრიკელ პარლამენტარებსა და ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა. სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე გაერო-ს რეფორმირების, ახლო აღმოსავლეთის პრობლემისა და ირანის ბირთვული პროგრამის საკითხებზეც ისაუბრა. რაც შეეხება უშუალოდ პუტინს, პოლიტიკურ სფეროში მას დრო საკმარისი ჰქონდა აფრიკის პირველ დიპლომატთან დლამინი ზუმასთან, რომელთანაც შეხვედრაზე სუდანის, სპილოს ძვლის სანაპიროსა და კონგოს კონფლიქტებზე, ირანის ბირთვულ პროგრამასა და ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების გზებზეც ისაუბრა.

სამხრეთ აფრიკაში ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტმა რობენის კუნძული და ის ციხე მოინახულა, სადაც "ანკ"-ას ლეგენდარულმა ლიდერმა და პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ აპარტეიდის დროს 27 წლიანი პატიმრობიდან 18 წელი გაატარა.

სამხრეთ აფრიკაში ვიზიტის დასრულების შემდეგ პუტინი მაროკოს ეწვევა. მაროკოს მეფესთან მოჰამედ VI-თან შეხვედრაზე ყურადღება რუსეთისგან იარაღის შესყიდვაზე გამახვილდება.

24 საათი

დასასრულის დასაწყისი

ტონი ბლერის "გრძელი" დამშვიდობება პოლიტიკასთან

როგორც იქნა ცნობილი გახდა ბრიტანეთის ამჟამინდელი პრემიერის თითქმის ათწლიანი მმართველობის დასრულების თარიღი. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ტონი ბლერი ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის პოსტსა და, შესაბამისად, დიდი ბრიტანეთის პერმიერ-მინისტრის თანამდებობას მომავალი წლის ზაფხულში დატოვებს. ბლერის შემცვლელის ვინაობაც თითქოს უკვე გარკვეულია - სავარაუდოდ, მას ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი ჩაანაცვლებს.

ოთხშაბათს, ბრიტანული ტაბლოიდი "Sun"-ი იუწყებოდა, რომ ბლერის მმართველობის დასრულებამდე მოლოდ რამდენიმე თვეღაა დარჩენილი. გაზეთი ირწმუნებოდა, რომ დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც სერიოზული უპირატესობით მოიპოვა გამარჯვება ბოლო არჩევნებში, მომავალი წლის 26 ივლისს მოიხსნის უფლებამოსილებას.

სტატიის ავტორის თანახმად, ტონი ბლერი 2007 წლის 31 მაისს გააკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ. ბრიტანული კანონმდებლობის მიხედვით, მმართველ პარტიას რვა კვირა ეძლევა იმისთვის, რომ ახალი ლიდერი აირჩიოს. ასე, რომ 26 ივლისისთვის ალბიონზე ახალი პრემიერ-მინისტრი ჩაუდგება მთავრობას სათავეში - ასკვნის "Sun"-ი.

თუ ყველაფერი მართლაც ასეთი სცენარით განვითარდა, ტონი ბლერი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხნით იქნება ბრიტანეთის სათავეში და მისი მმართველობის ვადა ათწლეულს გადააბიჯებს.

ოფიციალური დადასტურება ტაბლოიდის მიერ მოყვანილ ინფორმაციას ჯერჯერობით არ მოჰყოლია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტონი ბლერის მოკლე ხანში გადადგომას გასული არჩევნების დასრულებისთანავე წინასწარმეტყველებდნენ. უფრო მეტიც, ბრიტანელი მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ ლეიბორისტთა თავკაცი ამ შემოდგომაზევე გადაულოცავდა პოსტს ამჟამინდელ ფინანსთა მინისტრს, გორდონ ბრაუნს.

მოგვიანებით, ნათელი გახდა, რომ ბლერი დიდი პოლიტიკიდან წასვლას არცთუ ისე ჩქარობდა. თუმცა, როგორც ჩანს, ლეიბორისტულ პარტიაში ყველა როდი ემხრობა ბლერის საკმაოდ გახანგრძლივებულ მმართველობას. ახლახანს ცნობილი გახდა ბლერის მთავრობის შვიდი წევრის გადადგომის სურვილის შესახებ. ბრიტანული პრესა იუწყებოდა ერთგვარ ამბოხზე ლეიბორისტული პარტიის რიგებში. სხვათა შორის, თითქმის ანალოგიური ვითარება შეიქმნა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისშიც, როდესაც მარგარეტ თეთჩერს არაფრით არ ეთმობოდა თანამდებობა. თუმცა, მაშინ კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა შეძლეს ხანშიშესული "რკინის ლედის" უმტკივნეულოდ გაშვება პოლიტიკიდან. როგორც ჩანს, ისტორია მეორდება.

24 საათი

მოკლედ

აფხაზებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის შეშფოთება, თითქოს კოდორის ხეობიდან საქართველო სეპარატისტულ რესპუბლიკაში ძალისმიერი ოპერაციის ჩატარებას გეგმავს, უსაფუძვლოა.

"საქართველოს მთავრობა კოდორის ხეობაში მხოლოდ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ზრუნავს და მთელი მისი ძალისხმევა სწორედ აქეთკენ არის მიმართული. დე-ფაქტო მთავრობას შეუძლია მშვიდად იყოს. არანაირ სამხედრო ოპერაცია აფხაზეთში არ იგეგმება", - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბუში ბინ ლადენს ლენინსა და ჰიტლერს ადარებს

"მსოფლიომ ძალიან ძვირი გადაიხადა, როდესაც ლენინის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა ამერიკის სამხედრო ოფიცერთა ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

აშშ პრეზიდენტის თქმით, მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპაში ემიგრირებულმა ადვოკატმა დაბეჭდა პამფლეტი სახელწოდებით - "რა ვქნათ?" რომელშიც რუსეთში კომუნისტური რევოლუციის დაწყების თავისი გეგმა წარმოადგინა. ბუშის თქმით, მსოფლიომ მაშინ ლენინის ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, ამის გამო კი "ძალიან ძვირი" გადაიხადა.

"საბჭოთა იმპერიამ, რომელიც ლენინმა დააარსა, ათობით მილიონი ადამიანი გაანადგურა და მსოფლიო თერმობირთვულ ომამდე მიიყვანა," - ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა და საზოგადოებას შეახსენა, რომ მსოფლიომ გასული საუკუნის 20-იან წლებში ასევე არ მიაქცია ყურადღება "ავსტრიელი ხელმოცარული მხატვრის" წიგნს, რომელშიც ჰიტლერი წერდა თავის გეგმებს გერმანიაში არიული სუპერ-სახელმწიფოს" შექმნისა და ებრაელების განადგურების შესახებ. "მსოფლიომ ჰიტლერის სიტყვებს იგნორირება გაუკეთა და ძალიან ძვირიც დაუჯდა, " - განაცხადა ბუშმა.

მან საზოგადოებას მოუწოდა, სერიოზულად მოეკიდონ "ალ-ქაიდასა" და სხვა ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების მიზნებს.

"ბინ ლადენი და მისი ტერორისტული დაჯგუფების წევრები თავიანთ განზრახვებს ისევე მკაფიოდ გამოხატავენ, როგორც ეს ლენინმა და ჰიტლერმა გააკეთეს. უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ეს ადამიანები ბოროტებას აცხადებენ" - განაცხადა თეთრის სახლის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტს მანამდე, ვიდრე, ცივილიზაციას საფრთხე არ მოეხსნება. **მედიანიუსი**

მერია და "კოკა-კოლა" ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად

თბილისის მერია და კომპანია "კოკა-კოლა" ერთობლივი პროექტის - "ცხოვრების ჯანსაღი წესის" განხორციელებას იწყებენ.

როგორც "ინტერპრესნიუსს" მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობაში განუცხადეს, პროექტის ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად ერთობლივი ღონისძიებები ჩატარდება.

კერძოდ, ნარკომანიის, თამბაქოს მოხმარებისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გაიმართება აქციები, რომელშიც თბილისის მთავრობის წარმომადგენელებთან ერთად საზოგადოების ცნობილი სახეებიც მიიღებენ მონაწილეობას. **ინტერპრესნიუსი**

ყრილობა "წითელი ჯვრის" თავმჯდომარის ასარჩევად

როგორც "ინტერპრესნიუს" წითელი ჯვრის საზოგადოების ყოფილმა წევრებმა განუცხადეს, საზოგადოების თავმჯდომარის ასარჩევად ყრილობა ჯერ კიდევ 10 თვის წინ უნდა ჩატარებულიყო, თუმცა ის დღემდე არ ჩატარებულა.

"მოვითხოვთ 10 თვის წინ ჩასატარებელი ყრილობა სასწრაფოდ ჩატარდეს", - აცხადებენ საზოგადოების წევრები და ამ საკითხზე ხვალ წითელი ჯვრის საზოგადოების შენობის წინ საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. **ინტერპრესნიუსი**

ლეიბორისტები სოფელ გლდანისთვის ელექტროენერგიის გათიშვას აპროტესტებენ

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გლდანში, ქერჩის ქუჩაზე სოფელ გლდანში ელექტროენერგიის გათიშვის გამო საპროტესტო აქცია გამართა.

მათი ინფორმაციით, სოფელ გლდანს ორი კვირაა ელექტროენერგია არ მიეწოდება. ადგილობრივ სადისტრიბუციო კომპანიაში ამის მიზეზად ინდივიდუალურ დავალიანებას ასახელებენ, თუმცა გიორგი გუგავას თქმით, გლდანში მხოლოდ კომუნალური მრიცხველებია დამონტაჟებული და მოსახლეობას დავალიანება კი არ აქვს, არამედ მათ უკანონოდ დარიცხულ გადასახადებს ახდევინებენ.

გიორგი გუგავას განმარტებით, სოფელ გლდანის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დღესვე აღუდგება, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას - რამდენიმე დღეში. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ცუდი იდეა

ჰირველი გვერდიდან

ფრაქცია "როდინას" ლიდერი სერგეი ბაბურინი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ტოტალიტარიზმის გამოვლინებად აფასებს და აცხადებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება "სხვაგვარად მოაზროვნეებს" დევნის. იგი საქართველოს ხელისუფლების უუნარობაზე საუბრობს და ტრადიციულად საქართველოს დაშლას წინასწარმეტყველებს.

"ეს არის პოლიტიკური მოედნის წმენდა, დაშინების აქცია ოქტომბერში დანიშნული ადგილობრივი არჩევნების წინ," - მიიჩნევს რუსი პოლიტოლოგი, ფონდ "პოლიტიკას" პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი. მისი თქმით, **"ნებისმიერ პარტიას შეიძლება სახელმწიფო გადატრიალების მომზადება დააბრალო, ხოლო ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, 1937 წელს მოგვაგონებს"**.

"მე ვფიქრობ, ეს სააკაშვილის რეჟიმის სისუსტის ნიშანია, რომელსაც სასწრაფოდ განტევების ვაცები დასჭირდა. არსებულ პრობლემებს ისევ რუსეთს და საქართველოში არსებულ პრორუსულ ძალებს დააბრალებენ," - აცხადებს ნიკონოვი.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციები მოწმობს, რომ მოსკოვს საქართველოში არსებული ხელისუფლების დამხობის სერიოზული იმედი ჰქონდა.

ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება, სამხედრო პროვოკაციები, ეკონომიკური ემბარგო, რომელიც, აშკარად, საქართველოში სოციალური მღელვარების პროვოცირებისათვის იყო გამიზნული, წარუმატებელი მოლაპარაკებები პრეზიდენტებს შორის - ყველაფერმა ამან რუს ექსპერტებს აფიქრებინა, რომ მოსკოვს სააკაშვილის ხელისუფლებასთან ურთიერთობის მოწესრიგების იმედი არ აქვს და კრემლი ყველანაირად ცდილობს საქართველოს მოქალაქეებს მიანიშნოს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად და არსებული პრობლემების მოსახსნელად ქართველებმა სხვა, მოსკოვისათვის სასურველი ხელისუფლება უნდა არჩიონ.

მინიშნება ამაზე თავად რუსეთის პრეზიდენტმაც არაერთხელ გააკეთა. ვლადიმირ პუტინის განცხადებები იმის შესახებ, რომ "ანტირუსული განცხადებები" თბილისის მხრიდან "რიგითი ქართველების მდგომარეობას ნამდვილად არ გაუმჯობესებს" და მას "ძალიან ეცოდება" მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქართველები - "მესიჯი" ცალსახა იყო.

ლიზა ჯაფარიძის

ხოლო კიდევ უფრო მარტივი და გასაგები გზავნილი საქართველოსთვის მაისის თვეში გიორგაძის მოსკოვში თავისუფლად გამოჩენა გახდა. ეს სააკაშვილის ხელისუფლებისათვის ღია ბრძოლის გამოცხადებას ნიშნავდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად ადეკვატურად ესმოდათ კრემლში, რომ მანამ, ვიდრე რუსეთი საქართველოს მიმართ აშკარად მტრულ პოლიტიკას აწარმოებს, საქართველოში პრორუსული ოპოზიციის შექმნა არარეალურია. როგორც ჩანს, კრემლი საკუთარი ილუზიის ტყვეობაში მოექცა - მოსკოვში ჩათვალეს, რომ დიდი ფულით, პროპაგანდით და, იმავდროულად, ძალისმიერი ზეწოლით ნებისმიერი საზოგადოების განწყობის რადიკალურად შეცვლა არის შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, მისკოვის იმედი არ გამართლდა. საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად მრავალწლიანი მზადება ფუჭი გამოდგა.

ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლებამ აჩვენა, რომ რუსეთთან მკვეთრ დაპირისპირებას აღარ ერიდება, და საქართველოზე ზეწოლის ყველანაირი მცდელობის რადიკალურად აღკვეთა შეუძლია.

ეს რუსეთის პოლიტიკის სერიოზული მარცხია. შესაძლოა, ამის შემდეგ კრემლმა საქართველოზე ზეწოლის სხვა, უფრო რადიკალურ მეთოდებზე იფიქროს. ყველა ეკონომიკური ბერკეტი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა უკვე აამოქმედა და, შესაძლოა, მისი უკანასკნელი იმედი საომარი მოქმედებების პროვოცირება გახდეს.

დარტყმა რუსულ ოცნებას

ეკა კვესიტაძე

ირინა სარიშვილი ჯერჯერობით თავისუფალია, მის გარდა იგორ გიორგაძის პარტიის ყველა წამყვან სახეს სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლება ელოდება. შესაბამისი სამხილების აღმოჩენის შემთხვევაში, იგივე ბედს გაიზიარებს გია ჭანტურიას ყოფილი ქვრივიც, რომელიც, სავარაუდოა, თავის პოლიტიკურ კარიერასა და თავისუფლებას საკუთარი ქმრის მკლველობაში ეჭვმიტანილ იგორ გიორგაძის მსახურებას შესწირავს.

ოპოზიციის ნაწილი, რომელიც თვეების განმავლობაში საყვედურობდა ხელისუფლებას იგორ გიორგაძის პარტიის თავისუფალ პარპაშს, დღეს რატომღაც პოლიტიკურ დევნაზე ალაპარაკდა.

რუსული რეაქციული იდეების მხარდაჭერა, თავისთავად ცხადია, მორალური თვალსაზრისით უკვე ნიშნავს სამშობლოს ღალატს, მაგრამ გიორგაძის მომხრეების დასაკავებლად სამართლებრივ მტკიცებულებას არ წარმოადგენდა. მტკიცებულება მხოლოდ გუშინ დაიდო, სპეცოპერაციის შემდეგ და ეს დაკავებული პირების სახლებიდან ამოღებული იარაღის არსენალი, დიდი ოდენობით ფული, სატელეფონო ჩანაწერები და მოწმეების ჩვენებაა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის რევოლუციის შემდეგ რუსეთს საქართველოში, უკრაინისაგან განსხვავებით, სერიოზული ძალისა და გავლენის მქონე საყრდენი არ ჰყოლია, იგორ გიორგაძის პოლიტიკურ მოძრაობას მაინც შეეძლო მცირე თუ შედარებით დიდი კატაკლიზმების პროვოცირება.

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს განსხვავებული გეგმა აქვს, რაც პირველ ეტაპზე, რადიკალურ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას, მოსახლეობის უკმაყოფილების გაზრდას და ხელისუფლების დასუსტებას ისახავს მიზნად. ამ გეგმას ემსახურებოდა ყველაფერი - კობა დავითაშვილის მოკვლის მცდელობით დაწყებული, ღვინის ემბარგოთი დამთავრებული და, რა თქმა უნდა, გორგაძის პარტიის აქტიურობაც.

მას შემდეგ, რაც გირგვლიანის მკვლელობის ფაქტმა პოლიტიკურ სპექტრში რადიკალიზაცია შეიტანა და მუდმივი პროტესტების, გამოსვლებისა და აქციების ხანა დაიწყო, იგორ გიორგაძის პარტია ყველგან იყო, უნივერსიტეტის კიბეებზე, პარლამენტის წინ, კანცელარიასთან და აქციის მონაწილეების დეფიციტს ავსებდა.

დეფიციტის შევსება საკმარისი არ აღმოჩნდა. არანაირი ახსნა არ სჭირდება იმას, რა მიზანს ისახავდა გიორგაძის მომხრეებთან აღმოჩენილი იარაღის არსენალი. აქციების დროს ერთი ტყვიის გავარდნა და ერთი ადამიანის სიკვდილი, შეიძლება რუსეთისათვის სანატრელი არეულობის დასაწყისი აღმოჩენილიყო.

რუსული გეგმა ჯერჯერობით არ ამართლებს - კობა დავითაშვილი სიკვდილს გადაურჩა და არც კახელ გლეხებს გადაუკეტიათ პროტესტის გამო კახეთის გზები. მაგრამ, გამწარებული რუსეთის ფანტაზია ჯერ, რა თქმა უნდა, არ ამოწურულა.

პოლიტიკურ კომენტარებს მინუს თავშეკავებული ნათელაშვილი

ჰირველი გვერდიდან

"თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი სახელმწიფოს მიმართ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა და საეჭვო წყაროებიდან ფინანსდება, თუ მათი უშუალო ლიდერი "ფეისბეს" ჩინიანი წარმომადგენელია, მას აუცილებლად უნდა მოეთხოვოს პასუხი, მიუხედავად იმისა, რომელ პარტიას მიეკუთვნება - "მრეწველებს", "ლეიბორისტებს", "ახალ მემარჯვენეებს" თუ "ნაციონალურ მოძრაობას". კანონის წინაშე ყველა პარტიის წარმომადგენელი თანასწორია," - დასძენს გიორგი ცაგარეიშვილი.

"სამართლიანობის" საქმიანობა და პოლიტიკური კურსი ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" პოლიტიკური მდივნის კახა კუკავასთვისაც კატეგორიულად მიუღებელია, თუმცა, დეპუტატს ძალზე საეჭვოდ ეჩვენება, რომ სამშობლოს ღალატი და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა წაუყენეს, ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკური ქმედების შესაფუთი მასალაა და მეტი არაფერი.

"თუ საუბარია რუსეთიდან "სამართლიანობის" დაფინანსებაზე, ამის შესასწავლად არსებობს ფინანსური პოლიცია და საგადასახადო სამსახურები, რომლებმაც უნდა დაადასტურონ, ჰქონდა თუ არა ადგილი კრიმინალს საფინანსო პოლიტიკის დარღვევის კუთხით. თუ საუბარია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე, მაშინ ბრალდებები უნდა წარედგინოთ ცალკეულ პიროვნებებს და არა პოლიტიკურ პარტიას. ხოლო თუ ლაპარაკია იმაზე, რომ განსხვავებული პოლიტიკური აზრი, თუნდაც რუსეთზე ორიენტირებული, არის დანაშაული, მაშინ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედება საფუძველშივე მცდარია," - აცხადებს "24 საათთან" საუბარში "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი.

მამუკა კაციტაძის შეფასებით, თუ დღემდე პოლიტიკურ დევნას ლოკალური ხასიათი ჰქონდა, ის თანდათანობით ფართომასშტაბიანი ხასიათს იძენს. დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ახლო მომავალში პოლიტიკური წმენდის მსხვერპლნი "მემარჯვენეებიც" აღმოჩნდნენ.

ხელისუფლებას გარკვეულ პრეტენზიებს უყენებს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მისი განცხადებით, როდესაც მმართველი ძალა ასეთ ფართომასშტაბიან რეპრესიულ ღონისძიებაზე მიდის, მან საზოგადოებას ამის აუცილებლობა უნდა დაუსაბუთოს და ის მტკიცებულებები წარმოადგინოს, რომლებზეც სამართალდამცავთა ქმედებები იყო დაფუძნებული.

"პირადად მე ასეთი სარწმუნო მტკიცებულებები, ჯერჯერობით, ვერ დავინახე. იმედს გამოვთქვამ, რომ უახლოეს დღეებში ან ასეთი მტკიცებულებები გამოჩნდება ან დაკავებულ პირებს გაათავისუფლებენ," - განუცხადა "24 საათს" "რესპუბლიკელების" ლიდერმა.

დავით უსუფაშვილი ამტკიცებს, რომ სამშობლოს ღალატის ბრალდება ახლო წარსულშიც გაზვიადებული იყო და ზედმეტი რიტორიკა ახლდა თან. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, უსუფაშვილი სიმონ კილაძისა და ირაკლი ბათიაშვილის დაკავების შემთხვევებს იხსენებს.

"ორივე შემთხვევაში მე გამიჩდა განცდა, რომ ისინი იმ ქმედებებისთვის არ იდევნებოდნენ, რაც ჩადენილი ჰქონდათ," - დასძენს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე.

თუ ოპოზიციის სხვადასხვა ფრთის წარმომადგენელთა მოსაზრებები, გარკვეულწილად, განსხვავდება ერთმანეთისგან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა პოზიცია ცალსახაა. ეს ნათლად გამოჩნდა გუშინ გამართულ ბრიფინგზე, რომელიც სახელისუფლებო ფრაქციის წევრებმა - გიგა ბოკერიამ, გივი თარგამაძემ და ნიკა რურუამ გამართეს. მათი თქმით, იგორ გიორგაძის მომხრეებს ღია სასამართლო პროცესზე სანიმუშოდ გაასამართლებენ.

"თითოეული მათგანი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება და სამშობლოს ღალატისთვის უმძიმესი სასჯელი განესაზღვრებათ, რაც სხვებს ანალოგიურის გაკეთების სურვილს დაუკარგავს," - განაცხადა გივი თარგამაძემ. უმრავლესობის ლიდერთა განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ იგორ გიორგაძის მომხრეები მანამ არ დააკავა, ვიდრე ზუსტი მტკიცებულებები არ მოიპოვა.

"განსხვავებული აზრის დევნა დემოკრატიულ ქვეყანაში გამორიცხულია, მაგრამ სანიმუშოდ და უმკაცრესად დაისჯება ყველა ადამიანი, რომელიც ანტისახელმწიფოებრივად იმოქმედებს," - აღნიშნავს გიგა ბოკერია.

მისივე თქმით, პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკი სისულელეა. ბოკერია დარწმუნებულია, რომ იგორ გიორგაძე არ არის ის ძალა, რომელიც არჩევნებზე "ნაციონალურ მოძრაობას" სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. დეპუტატის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია უტყუარი მტკიცებულებები - ფული, იარაღი, კონტაქტები და მოწმის ჩვენება, რომლის საფუძველზეც იგორ გიორგაძის მომხრეები დააკავეს.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ ნიკა რურუას განცხადებით, ის, რაც საქართველოში მოხდა, მისალოცია, რადგან ანტისახელმწიფოებრივი ძალის ნეიტრალიზება მოხერხდა.

რურუას განცხადებით, საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა წარმოუდგენელია და ხელისუფლებას ვალდებულების განსხვავებული განცდა გააჩნია. **"მთავრობა ძლიერია და ის დაიცავს საკუთარ ხალხს, საკუთარი ხალხის თავისუფლებას და დემოკრატიას. დასკვნები ნაადრევია, მაგრამ ყველა ადამიანი, რომელსაც ანტისახელმწიფოებრივი ქმედების ჩადენა შეუძლია, სანიმუშოდ დაისჯება,"** - აღნიშნა რურუამ.

"სამართლიანობის" ლიდერების დაკავების ფაქტს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც ეხმაურება.

მისი განცხადებით, იგორ გიორგაძის პარტიის მოქმედება მისთვის ყოველთვის ანტიქართული თამაში და მიუღებელი საქმიანობა იყო. თევდორაძისთვის ამ დრომდე იგორ გიორგაძის მხარდამჭერებს, დაკავებულთა მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ არ მიუმართავთ. დეპუტატის მტკიცებით, მათ დაკავებებთან დაკავშირებით რაიმე ანტიკონსტიტუციური რომ ყოფილიყო, აუცილებლად შეატყობინებდნენ.

არასაპარლამენტო ოპოზიციას რაც შეეხება, გუშინ განცხდებებისგან ყველა თავს იკავებდა. მათ შორის ახლახან "სოროსის მეორედ მოსვლის" წინააღმდეგ გამოაშქრებელი "ლეიბორისტთა" ლიდერი შალვა ნათელაშვილი. ქართველ "მშრომელთა მოამაგის" მობილური ტელეფონი გუშინ მთელი დღე "გასული იყო მომსახურების ზონიდან". პარტიის პრესსამსახურის წარმომადგენლის ინფორმაციით კი, შალვა ნათელაშვილი ამ თემაზე **"ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს"**.

"საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი კი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გიორგაძე არ არის თემა დღევანდელი საქართველოსთვის. **"ძალიან მიკვირს, რატომ შეიქმნა ეს თემა,"** - აცხადებდა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი.

გუშინდელ დაკავებებზე "24 საათმა" კომენტარი წარსულში "ანტისოროსელთა" თავდასხმების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს, ფონდ "ღია საზოაგადოება - საქართველოს" აღმასრულებელ დირექტორს, დავით დარჩიაშვილსაც სთხოვა:

"ამ ორგანიზაციის დასახელებიდან გამომდინარე ("მოძრაობა ანტისოროსი") მისადმი და არც პარტია "სამართლიანობისადმი", ბუნებრივია, არანაირი სიმპათიები არ გამაჩნია. მე მგონია, რასაც ვემსახურები, ეს არის კარგი საქმე, რომ ღია საზოგადოების მშენებლობა ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის პროგრესი. ჩემი აზრით, ჯორჯ სოროსს ჩვენი ქვეყნისთვის (ისევე როგორც სხვა ქვეყნებისთვის) კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. ამის დასტურია ის მრავალწლიანი პროექტები, რომლებიც დღემდე დაფინანსებულა.

ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ყველაფერ ამას ლანძღავს და მტრობად თვლის, პირადად მე, ქვეყნისთვის საშიშ ძალად მიმაჩნია. მაგრამ რას ვიზამთ, დემოკრატიაა და ყველას თავისი აზრის გამოთქმის უფლება აქვს.

ჩემი მათდამი არასიმპათიური დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს დაჭერა მიხარია. მთავარია, საგამოძიებო ორგანოებმა გაარკვიონ, აქვთ თუ არა საკმარისი სამხილი ამ ადამიანთა სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეობის დასადასტურებლად. ეს არის ამოსავალი წერტილი.

როგორც რიგით მოქალაქეს და გარედან მაყურებლის პოზიციაზე მყოფს, სულაც არ გამიკვირდება, თუ ამ ადამიანთა მონაწილეობით, ქვეყანაში მოძრაობდა აბსოლუტურად დაურეგისტრირებელი ფული. ფული, რომლის წარმოშობაც ძალიან საეჭვოა და მოდის იმ ძალებიდან, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი არა ჩვენი ხელისუფლების, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეისადმი.

თუ ამ ადამიანებს ხსენებული ფული აზრის გამოთქმაში ეძლეოდათ, ეგ ერთი საქმეა. თუ კიდევ ისეთ აქტივობებსაც იჩენდნენ, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით კვალიფიცირდება როგორც დანაშაული, - მაშინ ამაზე სამართალდამცავმა ორგანოებმა სათანადო რეგირება უნდა მოხდინონ. თუ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, კანონის წინაშე ყველამ უნდა აგოს პასუხი.

ისევ ვიმეორებ, მე (და არც არავის) არავითარი უფლება არ მაქვს, უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა გამოძიებამ უნდა თქვას. საკუთარი მოსაზრებებს გამო, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები პასუხისგებაში არ უნდა მისცენ. გამოძიებულ უნდა იქნეს, რამდენად შეესაბამება მათი ქმედება კანონს".

საქველმოქმედო ფონდის პოლიტიკური გადახრები

ჰირველი გვერდიდან

პარტია "სამართლიანობამ" არჩევნებში მონაწილეობის მიღება 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზეც სცადა, მაგრამ უშედეგოდ - იგი რეგისტრაციაში არ გაატარეს. მარტის საპარლამენტო არჩევნებამდე კი პარტიას პრობლემები სამართალდამცავებთანაც ჰქონდა. თებერვალ ჟორჟოლიანმა თებერვალში თბილისში საპროტესტო აქციები დაგეგმა. იგი პოლიციის სამმართველოში მიიყვანეს და გააფრთხილეს, რომ თუ მიტინგების მოწყობას შეეცდებოდა, თავებედს აწყევლინებდნენ. ჟორჟოლიანი ამ დაბარების შემდეგ საკმაოდ მოკრძალებულად იქცეოდა. იგი ისე შეშინდა, რომ ამ ინციდენტის შესახებ საჯაროდ არც განუცხადებია. მხოლოდ პირად საუბრებში ყვებოდა პოლიციის "ოპერებთან" შეხვედრის დეტალებს და თან ყველას სთხოვდა, არავისთან, მით უმეტეს ჟურნალისტებთან, არაფერი თქვათო. მოგვიანებით ეს ფაქტი არასამთავრობოებმა ადამიანის უფლებების დარღვევად მიიჩნიეს და მის შესახებ საჯაროდ დაიწყეს საუბარი, თუმცა ჟორჟოლიანს კომენტარი არ გაუკეთებია და საუბრებიც შეწყდა.

პარტია "სამართლიანობა" და 2004 წელს შექმნილი მოძრაობა "ანტისოროსი", რომლის ხელმძღვანელიც იგორ გიორგაძის აქტიური მხარდამჭერი მაია ნიკოლაიშვილია, 2005 წლიდან გააქტიურდნენ. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება "სამართლიანობის" რეგიონული უჯრედების ჩამოყალიბება.

განსაკუთრებით ძლიერი ეს ორგანიზაცია სამეგრელოში გახდა. პარტიას აქვს 4 ბეჭდვითი გამოცემა, მათ შორის, ერთი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი სამენოვანი გაზეთია. პარტიის რეგიონული ლიდერი რევაზ ბულია მთელი ცხოვრება კომკავშირულ-პარტიული ფუნქციონერი იყო. პარტიას არც საბჭოეთის დაშლის შემდეგ უღალატა და პანტელეიმონ გიორგაძის კომუნისტურ "გვარდიაში" გადაბარგდა. 2002 წელს ზუგდიდის საკრებულოს წევრი კომუნისტების სიით გახდა. მოგვიანებით საკრებულო პროტესტის ნიშნად დატოვა. სწორედ ამ დროიდან გახდა იგორ გიორგაძის პოლიტიკური მხარდამჭერი და უკვე 2005 წელს ზუგდიდი "სამართლიანობის" ცენტრად აქცია. "სამართლიანობის" მიტინგზე 26 მაისს საკმაოდ ბევრი ადამიანი მივიდა.

ზუგდიდში და თბილისში ამბობენ, რომ გიორგაძის პარტიის მიტინგებზე სიარული ფრიად სარფიანი საქმეა, თითოეულ მონაწილეს 20 ლარი ეძლევა. თუმცა, ეს დაუდასტურებელი ინფორმაციაა. ფაქტი ისაა, რომ ფონდ "კავკასიაში დემოკრატიის განვითარებისთვის" და იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდის საქართველოში შემოსვლის შემდეგ გიორგაძის პოლიტიკური მხარდამჭერები ძალიან გააქტიურდნენ. იგორ გიორგაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდის დაარსებისას, მისმა თავმჯდომარე ირინა სარიშვილმა განაცხადა, რომ ორგანიზაცია მსხვილბიუჯეტიან საქველმოქმედო ღონისძიებებს გაატარებდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ალტერნატიული ნარკოლოგიური სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა და გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემა იქნებოდა, იგეგმებოდა ინდივიდუალური პროგრამების განხორციელებაც. როგორც სარიშვილი აცხადებდა, საქველმოქმედო ფონდის სათათბირო საბჭოს შემადგენლობაში პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევროპაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები და ხელოვანები შევიდოდნენ, თუმცა არასოდეს დაუკონკრეტებია, ვინ იყვნენ ეს ადამიანები. გარდა დეკლარირებული პრინციპებისა, საუბრობდნენ, რომ "კავკასიაში დემოკრატიის განვითარებისა" და გიორგაძის ფონდები კონსპირაციულ პროექტებშიც დებდნენ ფულს. კონსპირაციული დაფინანსება რომ არსებობდა, ამის შესახებ ერთ-ერთმა ინკოგნიტო რესპონდენტმა განუცხადა "24 საათს" - იგორ გიორგაძის მხარდაჭერების სიის შექმნა მთხოვეს, თითო ხმაში ოც დოლარს მიხდიან. რადგან ამის განმცხადებელმა ვინაობის გამხელა არ ისურვა, თავის დროზე ეს ინფორმაცია არც გამოქვეყნებულა.

ორივე ფონდი აქტიურად იყო დაინტერესებული მედიაპროექტებით. ამ დაინტერესებას კურიოზიც კი მოჰყვა - სტუდია "ობიექტივის" პრეზენტაციისთვის თანხა მისმა დამფუძნებლებმა გიორგაძის ფონდს სთხოვეს. ფონდმა თანხა გაიღო და საპრეზენტაციო მოსაწვეებზეც მიუთითა, "ღონისძიებას აფინანსებს იგორ გიორგაძის ფონდი". ამან სტუდიის დამფუძნებლების უკმაყოფილება გამოიწვია და ისინი ირინა სარიშვილს 202-ის ეთერში დაუპირისპირდნენ. როგორც გაირკვა, სტუდია "ობიექტივს" ფული კი უნდოდა, მაგრამ ვისგან იყო დაფინანსება, ამის გახმაურება აღარ სურდა. ასეთი თანამშრომლობა კი არც "კავკასიის დემოკრატიული განვითარების" და არც გიორგაძის ფონდებს არ აძლევდათ ხელს. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ამ ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტები საზოგადოებისთვის მისაღები გაეხადათ.

პარტია "სამართლიანობის" ლიდერები რეგიონებში და თბილისში შეხვედრებზე თუ პირად საუბრებში არ მალავდნენ, რომ ადგილობრივ არჩევნებზე სერიოზული თანხების დახარჯვას სწორედ ამ ფონდებიდან აპირებდნენ.

საქართველოს საგარეო უწყება რუსეთს ჰასუხს მოსთხოვს

"პარტია სამართლიანობის" რუსეთიდან დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთს აუცილებლად მიმართავს.

როგორც გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, საქართველოში სავალუტო რეგულირება ლიბერალურია, თუმცა გიორგაძის პარტიის დაფინანსება განსაკუთრებული შემთხვევაა, ვინაიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დაფინანსება ხდებოდა. "ეს კი ქვეყანაში აგრესიულ ქმედებებს ისახავდა მიზნად", -განაცხადა ჩეჩელაშვილმა. მისივე თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთთან ურთიერთობას იმ მასალებზე დაყრდნობით განახორციელებს, რომელსაც უახლოეს პერიოდში ძალოვანი უწყებებიდან მიიღებს.

"რუსეთის ხელისუფლებასთან დავაყენებთ საკითხს, რათა დადგინდეს რა წყაროებიდან ფინანსდება აღნიშნული პარტია. ეს ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან საფრთხეს არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ იმ ქვეყანასაც უქმნის, საიდანაც მოდიოდა დაფინანსება"-განაცხადა ჩეჩელაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

"სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რეალობაა და ამასთან შეგუება მოგიწევთ"

"ბანდფორმირებები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ არიან", - აცხადებს დე-ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი.

მისი თქმით, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რეალობაა და ამასთან შეგუება საჭიროა. დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 16 წლის წინ იქნა მიღებული.

ბარანკევიჩი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა 3 სექტემბერს ქართული ვერტმფრენისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს და განაცხადა, რომ "სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცე თავად ირაკლი ოქრუაშვილმა დაარღვია".

"საქართველოს პარლამენტართა ყველა განცხადება არის იმ ადამიანთა განცხადება, რომლებმაც არ იციან, რა არის ომი. საქართველოს მოქალაქეთა სისხლის ხარჯზე ისინი პოპულარობის მოპოვებას ცდილობენ", - თქვა ბარანკევიჩმა.

მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ოსური მხარე ყველაფერს აკეთებს პრობლემის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისათვის, მაგრამ დამცირებებისა და შეუვარცხყოფის მოთმენას არ აპირებს.

3 სექტემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ ვერტმფრენს მი-8-ს, რომელშიც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენშტაბის უფროსის მოადგილე ზაზა გოგავა ისხდნენ, საჩხერესთან ახლოს ოსური სოფლიდან ცეცხლი გაუხსნეს. როგორც მინისტრმა ოქრუაშვილმა განაცხადა, დაცხრილული ვერტმფრენი 15 წუთის განმავლობაში ვარდნის რეჟიმით მიფრინავდა და მხოლოდ პილოტის გამოცდილებამ იხსნა ისინი გარდაუვალი დაღუპვისგან. **ინტერპრესნიუსი**

უარი სახალხო დამცველს

სახალხო დამცველის აპარატმა იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებისაგან N5 საპყრობილეში ეპილეფსიით დაავადებული პატიმრების ერთ საკანში მოთავსებაზე უარი მიიღო.

"სამწუხაროდ, სახალხო დამცველს გადაწყვეტილებების მიღების უფლება არ აქვს. აღნიშნული ფაქტი სახალხო დამცველის ანგარიშში აისახება და საერთაშორისო ორგანიზაციებს და საქართველოს პარლამენტს ეცნობება, რათა მათ ზემოქმედება მოახდინონ პატიმრების უფლებების დარღვევაზე. მსგავსი მოქმედებების გარეშე, პენიტენციურ სისტემაში მუდამ ასეთი მდგომარეობა დარჩება", - განაცხადა სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა გიგა გიორგაძემ.

აღნიშნული რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა იუსტიციის სამინისტროს და საჯელაღსრულების დეპარტამენტს ცოტა ხნის წინ მიმართა. რეკომენდაციის გაგზავნის მიზეზი გახდა ეპილეფსიით დაავადებული ხუთი პატიმრის განცხადება, რომლებსაც, ცუდი პირობების გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაურთულდათ.

ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლების საპყრობილეში შესვლის შემდეგ გაირკვა, რომ პატიმართა სიმრავლისა და საწოლების სიმცირის გამო, ეპილეფსიით დაავადებულებს სამ დღეში ერთხელ უხდებოდათ ნორმალური ძილი. ეს მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ჩვენი ინფორმაციით, N5 საპყრობილეში ეპილეფსიით დაავადებული 45 პატიმარი იმყოფება.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, ასევე, უარი თქვა საპყრობილეში ბუნტის დროს მძიმედ დაჭრილი პატიმრის მალხაზ ზედელაშვილის სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესებაზე. გიორგაძის თქმით, ამ პაციენტს მუცლის ღრუში რთული ოპერაციები გაუკეთდა. ღამის საათებში იკეტება სამედიცინო ნაწილი. პატიმარი დახმარების და სველ წერტილებში გადაადგილების უფლების გარეშე რჩება. სახალხო დამცველი ამ მსჯავრდებულისათვისაც შესაბამისი პირობების შექმნას მოითხოვდა.

გუშინ მალხაზ ზედელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა მისმა ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა.

ადვოკატის განცხადებით, ზედელაშვილი, სტაციონარულ დაწესებულებაში გადაყვანისა და კვალიფიციური მკურნალობის მოთხოვნით, უკვე მე-16 დღეა, შიმშილობს, რამაც ისედაც მძიმე ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

მისი თქმით, ამას დაემატა ისიც, რომ პატიმარს გუშინ ვირთხამ უკბინა, თუმცა იგი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებაზე უარს აცხადებს.

ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი ზედელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სრულ პასუხისმგებლობას სასჯელაღსრულების დეპარტამენტს აკისრებს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დადგინდა, რომ ზედელაშვილს თავის ქალის ღია ჭრილობა, ეპილეფსია, მძიმე ნევროლოგიური პათოლოგია და სხვა სახის დაავადებები აღენიშნება და იგი გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს.

24 საათი

სახელმწიფო გადატრიალება აღკვეთილია

პირველი გვერდიდან

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეო-ჩანაწერში მოწმეები (რომელთა ვინაობაც, მოსამართლის ბრძანებით, სასამართლოს სხდომამდე გამოძიებისა და მოწმეების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გასაიდუმლოებულია) ირწმუნებიან, რომ პარტია "სამართლიანობის" ცენტრალურ ოფისში საიდუმლო შეხვედრა შედგა.

ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად, პარტია "სამართლიანობის" ცენტრალურ ოფისში საიდუმლო თათბირი ჩატარდა, რომლესაც "სამართლიანობის" წევრი მაია თოფურია ხელმძღვანელობდა. როგორც მოწმე განმარტავს, თათბირზე მაია თოფურიამ განაცხადა, რომ აგვისტოს თვეში, მოსკოვიდან საქართველოში იგორ გიორგაძის მიერ გადმორიცხული დიდძალი თანხა შემოვიდოდა, რომლითაც იარაღის შეძენა მოხდებოდა. ამავე გეგმის თანახმად, რამდენიმე ადგილზე, როგორც დედაქალაქში, ასევე სხვა რეგიონებში, სააგიტაციო ბუკლეტების დარიგება დაიწყებოდა; პარლამენტთან აქცია გაიმართებოდა, რომელიც სახელმწიფო კანცელარიასთან გადაინაცვლებდა. **"აქ კი, გეგმის მიხედვით, იგორ გიორგაძის ნდობით აღჭურვილი ორი პირი ხალხის მასების მიმართულებით რამდენიმე გასროლას მოახდენდა. გასროლას დაზიანება ან, შესაძლოა, მსხვერპლიც კი მოჰყოლოდა",** - განმარტავს მოწმე. მისივე თქმით, დაგეგმილი იყო ასევე ოპერაციებისთვის ას-ასი ადამიანის შეგროვება, რომლებიც შეიარაღებულ დაპირისპირებაში მიიღებდნენ მონაწილეობას. ეს პირები გასამრჯელოს სახით 3 ათასიდან 5 ათას დოლარამდე მიიღებდნენ.

აღნიშნული ვიდეომასალა, რომელიც გამოძიების მთავარი მტკიცებულება და ამავდორულად სპეცოპერაციის ჩატარების საფუძველი გახდა, გუშინ საღამოს გავრცელდა.

გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სპეცოპერაცია დილის 4 საათზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და თბილისის რამდენიმე უბანში ერთდროულად დაიწყეს.

სამართალდამცველების სამიზნე რუსეთში მოღვაწე იგორ გიორგაძის მხარდამჭერი - მოძრაობა "ანტისოროსი", პოლიტიკური პარტიები - "სამართლიანობა" და "იმედი" აღმოჩნდა.

სასამართლოს მიერ დაკანონებული ბრძანების საფუძველზე "კუდის" და "სოდის" თანამშრომლები "სამართლიანობის" და "იმედის" სათავე და რეგიონულ ოფისებში და იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა ბინებში გადანაწილდნენ.

მიუხედავად ინფორმაციის სიმცირისა, იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ სპეცოპერაციის დაწყების საფუძველი დასახელებული პარტიის წარმომადგენლების მიმართ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის და სამშობლოს ღალატის ბრალდება იყო.

"პოლიციის ვერსიით, შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შესახებ იგორ გიორგაძის მომხრეებს გადაწყვეტილება 24 მაისს გამართულ შეხვედრაზე ჰქონდათ მიღებული. ბრალდების შესაბამისად, ეს ადამიანები შეიარაღებული ამბოხების გზით ხელისუფლების სათავეში იგორ გიორგაძის მოყვანას აპირებდნენ," - ასეთ კომენტარს აკეთებდნენ გუშინ დილით გიორგაძის მომხრეები.

მოძრაობა "ანტისოროსში", პარტია "სამართლიანობასა" და "იმედში" ჩხრეკა რამდენიმე საათს გრძელდებოდა, რის შემდეგაც სამართალდამცველები შენობებიდან კომპიუტერებით, დოკუმენტებით და გამოძიებისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთებით დატვირთულები გამოვიდნენ. გიორგაძის ერთ-ერთი მხარდამჭერის სახლიდან სამართალდამცველებმა რამდენიმე ათასი დოლარი, ერთ-ერთი ოფისის სარდაფიდან კი დიდძალი შეიარაღება ამოიღეს.

გიორგაძის პარტიის ოფისებიდან კომპიუტერები და დოკუმენტები ამოიღეს.

მოძრაობა "ანტისოროსის" ლიდერი მაია ნიკოლაიშვილი დაკავებულია.

ჩხრეკის დასრულების შემდეგ, თანდათან, დაპატიმრებულთა გვარებმაც გაიჟღერა. "კუდის" თანამშრომლებმა თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარე ოფისთან კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი დააკავეს, "ანტისოროსის" ლიდერი მაია ნიკოლაიშვილი საკუთარ აგარაკზე დააკავეს. ასევე დაკავებულები არიან პოლიტიკური გაერთიანება "ქართული მოძრაობის" ლიდერი ვახტანგ ტალახაძე, "ქართველი ერის უფლებების დაცვის კავშირის" ლიდერი ზაზა დავითაია და პარტიის პოლიტიკური მდივანი რევაზ ბულია. პოლიტიკური პარტიების ლიდერების დაპატიმრების პარალელულად, ვრცელდებოდა ინფორმაცია მათი წევრების სამართალდამცავ ორგანოებში გადაყვანის შესახებაც.

გიორგაძის მომხრეთა მტკიცებით, სულ მათი 100 თანამებრძოლი დააპატიმრეს - ზოგს ბრალდება მაშინვე წარუდგინეს, ზოგი კი უბრალოდ მოწმის სახით დაკითხეს და გაუშვეს.

სამშობლოს ღალატსა და სახელმწიფოს შეიარაღებულ გადატრიალებაში ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული აღმოჩნდა იგორ გიორგაძის ცოლის დისშვილი მაია თოფურია. იგორ გიორგაძის ცოლის დის - ნინო თოფურიას ოჯახში სპეცრაზმის წევრები დილის ხუთ საათზე მივიდნენ. როგორც მეზობლები აცხადებენ, ჩხრეკა კარის შემტვრევით დაიწყო. თოფურიების ოჯახში ჩხრეკა დაახლოებით 8 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც მაია თოფურიას ოჯახის წევრები აცხადებენ, სახლიდან სამართალდამცველებმა მხოლოდ ფული წაიღეს, თავად მაია თოფურია კი პირდაპირ "მოდულის" შენობაში გადაიყვანეს.

გიორგაძის მომხრე ლიდერებიდან დღის ბოლომდე გაურკვეველი რჩებოდა ირინა სარიშვილის ბედი, რომელსაც ბოლო პერიოდში იგორ გიორგაძის ფონდის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

სპეციალურ ოპერატიული დეპარტამენისა და პატრულის თანამშრომლებმა, სასამართლოს სანქციის საფუძველზე, მისი ოფისის ჩხრეკა დილის 9 საათიდან დაიწყეს.

"ჩხრეკის დაწყების შესახებ ჩემთვის არავის უცნობებია. სავარაუდოდ, როგორც მითხრეს, მიმდინარე წლის 4 მაისს გამართულ შეხვედრაში მონაწილეობას მაბრალებენ, რომელზედაც თითქოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება დაიგეგმა. არავითარი მსგავსი შეხვედრა არ ყოფილა. სამართალდამცავებს ჩემი ბრალდებების შემცველი ტექსტი უკვე მომზადებული აქვთ და როცა დამიჭერენ, ამ ტექსტს გასავრცელებლად საინფორმაციო საშუალებებს დაურიგებენ," - აცხადებდა სარიშვილი.

"იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდი" ჩხრეკის დასრულებისთანავე დაილუქა. ფონდის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი კი "მოდულის" შენობაში დასაკითხად გადაიყვანეს.

გუშინ დილითვე გაირკვა საქართველოს რეგიონებში გიორგაძის დაპატიმრებულ მომხრეთა გვარები.

ზუგდიდში პარტია "სამართლიანობის" რეგიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი რევაზ ბულია დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბულიასთან ერთად დაკავებულია მისი თანაპარტიელი პაპუნა შონიაც, რომლებიც დაკავებისთანავე თბილისში გადმოიყვანეს. ზუგდიდშივე დააპატიმრეს მოძრაობა "ანტისოროსის" ხელმძღვანელი ლევან ნიკოლეიშვილი. სამტრედიაში აიყვანეს პარტია "სამართლიანობის" თავმჯდომარე დავით ხარჩილაძე და პარტიის შტაბის წევრი გია ახობაძე. ბათუმში, საკუთარ სახლში დააკავეს "სამართლიანობის" აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე რამაზ სამნიძე. პარტია "სამართლიანობის" თელავის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ კი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გია წიქარიშვილი. გორში კი დაკავებულია გენადი არჩვაძე.

დღის ბოლომდე გაგრძელდა ხმაური "მოდულის" შენობაში, სადაც დაკავებულები 5-წუთიანი ინტერვალით შეჰყავდათ. დაკავებულების გადაყვანისას მოსალოდნელი ინციდენტის თავიდან ასაშორებლად, შენობასთან მობილიზებული იყო სპეცდანიშნულების რაზმები. ჰაერიდან კი სიტუაციას სამართალდამცველები ვერტმფრენებით აკონტროლებდნენ.

თემურ ჟორჟოლიანის ადვოკატის გელა ნიკოლეიშვილის განცხადებით, დაკითხვა უნდა მოხდეს 24 საათში, თუმცა, შესაძლოა, თემურ ჟორჟოლიანი ჯერჯერობით არ დაკითხონ. გელა ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, 315-ე მუხლი, რომელიც ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებას ნიშნავს და რომელიც ჟორჟოლიანის დაკავების საფუძველი გახდა, ძალადობას გულისხმობს. მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღი ჟორჟოლიანთან ვერ იპოვეს.

საგანგებო ბრიფინგზე შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ დაკავებულები არიან იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობისა" და მისი სატელიტი ორგანიზაციების ლიდერები და აქტივისტები - სულ 29 ადამიანი. ყველა მათგანს ბრალი წაყენებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის I ნაწილით, რაც სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულებას გულისხმობს.

როგორც მინისტრმა განმარტა, ეჭვი, რომ აღნიშნული პირები საქართველოს ხელისუფლების დამხობას და იგორ გიორგაძის საქართველოში ჩამოყვანას გეგმავდნენ, სამართალდამცველებს რამდენიმე თვით ადრე ჰქონდათ, რომელიც ახლახან დადასტურდა. მინისტრის თქმითვე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა ამ საქმის გასახსნელად რამდენიმე თვის განმავლობაში იმუშავა და დღეს უკვე არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ დაკავებულებს ბრალი წარედგინოთ.

გუშინდელ სპეცოპერაციაში 450 თანამშრომელი მონაწილეობდა. ყველა მათგანს მინისტრმა მადლობა გამოუცხადა.

მოკლედ

მერაბ ბაღათურია ირაკლი ქადაგიძემ შეცვალა

გუშინ საბოლოოდ დადასტურდა გავრცელებული ინფორმაცია პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მერაბ ბაღათურიას პოსტიდან გათავისუფლების შესახებ. მისი ადგილი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ქადაგიძემ დაიკავა. ის გუშინ წარუდგინეს თანამშრომლებს და მან პოლიციის მთავარი სამმართველოს პოსტი გუშინვე გადაიბარა. როგორც ცნობილია, ბაღათურიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ბოლო დღეების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროში არც ადასტურებდნენ და არც უარყოფდნენ. თავად მერაბ ბაღათურია კი აცხადებდა, რომ მისი გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ ყოფილა. პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის გათავისუფლების მიზეზად ქალაქში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება სახელდება. ამ მიზეზით ბოლო დღეებში თბილისის რაიონული პოლიციის რამდენიმე უფროსმაც დატოვა თანამდებობა. **24 საათი**

მონაცემთა ბაზის ამერიკული პროგრამა იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტროში მონაცემთა ბაზის დამუშავების ამერიკული პროგრამა "ორაკული" დაინერგება. როგორც იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე აცხადებს, მისი უწყება ფინანსთა სამინისტროსა და აშშ-ს მთავრობასთან ერთად ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტზე მუშაობს, რომელიც პროგრამის უსასყიდლოდ გადაცემას ეხება. "ეს პროგრამა საჯარო რეესტრში, ასევე, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში უკვე ფუნქციონირებს. თუ ჩვენ მის შესყიდვას გადავწყვეტთ, გარკვეული შეღავათები გვექნება", - აცხადებს მინისტრი. მისივე თქმით, პროგრამა 700 ათასი აშშ დოლარი ღირს და მასში ფულს აშშ-ს მთავრობა გადაიხდის 55-პროცენტიანი ფასდაკლებით. **ჯი-ეიჩ-ენი**

ძარცვის ბრალდებით დაკავებული ქართველი არალეგალი

მოსკოვის ოპერატიული სამძებრო განყოფილების თამანწრომლებმა, ავტომობილების მფლობელთა პირადი ნივთების ქურდობისა და გატაცების ბრალდებით, ქართველი არალეგალი ემიგრანტი ლევან ალშიბაია დააკავეს. 1977 წელს დაბადებული, წარმოშობით ზუგდიდელი ალშიბაია მოსკოვში რეგისტაციის გარეშე ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. იგი წარსულში ყაჩაღობის ბრალდებით არის ნასამართლევი. მილიციის განყოფილებას 56 წლის მოსკოველმა ქალბატონმა აცნობა, რომ ლოსინოოსტროვსკის ქუჩაზე უცნობმა მამაკაცმა მერსედესის მარკის ავტომანქანიდან ქალის ხელჩანთა გაიტაცა. ხელჩანთაში ფული, საბუთები, ოქროს სამაჯური და მაჯის ძვირადღირებული საათი იდო. ზარალმა 300 ათასი რუბლი შეადგინა. მანქანაში ამ დროს კიდევ ერთი მგზავრი იმყოფებოდა, რომელმაც დამნაშავის ავტომანქანის ნომრის დამახსოვრება შეძლო. გაქცევისას საკუთარ ავტომანქანაში მჯდომმა ალშიბაიამ სამართალდამცავების გამოჩენის შემდეგ კარებები ჩაკეტა და გაქცევა სცადა, თუმცა შემხვედრ მანქანასთან შეჯახების შემდეგ იძულებული გახდა, მანქანიდან გადმოსულიყო. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამჟამად გამომძიებლები დაკავებულის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამოსავლენად მუშაობენ და მის მიერ გაძარცვულ მოქალაქეებს ინფორმაციის მიწოდებას სატელეფონო ნომრის საშუალებით სთხოვენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლები დააკავეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ სამსახურებრივი მოვალეობის გულგრილად შესრულებისთვის საგადასახადო დეპარტამენტის ორი თანამშრომელი დააკავა. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულები არიან იმერეთის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი ინსპექტორები - ზვიად დარალიშვილი და ვლადიმერ გოზალიშვილი.

"სპეციალური ბრძანების საფუძველზე, მათ ქალაქ ქუთაისში ნიკეასა და ძელქვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე სავაჭრო ობიექტებში სალარო აპარატების კონტროლი ევალებოდათ. თუმცა, ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ოცამდე სავაჭრო ობიექტი, საერთოდაც, სალარო აპარატის გარეშე ფუნქციონირებდა", - აცხადებს ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს უფროსი ლევან კიკნაველიძე. დაკავებულებს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული "სამსახურებრივი გულგრილობის" მუხლით აქვთ წაყენებული.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს ჩხოროწყუს რაიონის გამგეობაშიც. დალუქულია საბუღალტრო დოკუმენტაცია; დაკავებულია გამგეობის ერთი თანამშრომელი ამირან ჯალაღონია; არაა გამორიცხული ჩხოროწყუს გამგებლისა და სხვა თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხიც. ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის გიორგი გუგუჩიას განცხადებით, ჩხოროწყუში ჩატარებული რევიზიის მასალები გადაგზავნილია ექსპერტიზაზე და, დაახლოებით, ერთ თვეში გაირკვევა, თუ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

ჯი-ეიჩ-ენი

გასწორება

გაზეთ "24 საათის" 6 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი - "პატრულით უკმაყოფილო ყვარელი", სადაც ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მოსახლეობა ჩიოდა, რომ დანაშაულის დროს, გამოძახებაზე პატრულის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე არ მიდიან. კახეთის რეგიონის საპატრულო სამსახურის განყოფილების ინფორმაციით, საპატრულო სამსახური ყვარლის რაიონში საერთოდ არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, მათი თანამშრომლები ვერც გამოძახებაზე გავლენ. ნებისმიერ დანაშაულზე, მათ შორის, ავტო-საგზაო შემთხვევაზეც, რეაგირება რაიონის კრიმინალურმა პოლიციამ უნდა მოახდინოს.

ქ.თბილისი, დოლიძის ქ. N2, ტელ: 33-30-42, 33-04- 22, 899-51-13-82

ლიკვიდატორი

განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე, საკომუნიკაციო მოწყობილობებზე, საოფისე ავეჯზე და სხვა ძირითად საშუალებებზე.

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 20 სექტემბერს 12 საათზე ქ. თბილისში, დოლიძის ქ. N2, სს "ქართული ბანკის" შენობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 44-24-16, 899- 51-13-82.

ლიკვიდატორი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____

____

____

____

____

____

____

____

____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი ....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.72. იურიდიული ოფისი "გაპი".

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით

მომავალი ზამთარი კოდორის ხეობისთვის, ალბათ, ყველაზე მძიმე იქნება, და ეს იმის მიუხედავად, რომ იქ საქართველოს ხელისუფლება დღემდე არნახულ ინფრასტრუქტურას აშენებს და ხეობას სურსათსანოვაგითაც ამარაგებს. კოდორის ხეობაში გადავა და ადგილზე იფუნქციონერებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურები. ეს იქაურების სოციალური დაცვის გარანტიაც იქნება, რაც ასევე არ ღირსებიათ კოდორელებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, კოდორის სწორედ ასეთი აღმშენებლობა შეიცავს საფრთხეს. იმ განცხადებების სიმწვავით, რომელთაც სისტემატურად აკეთებენ რუსი პოლიტიკოსები და მათ მიერ შეგულიანებული აფხაზი სეპარატისტები, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოდორის ხეობაში რეალური პროვოკაციები სავსებით მოსალოდნელია. და თუ ეს მოსახდენია, ამ ზამთარში უნდა მოხდეს. იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ამასთან დაკავშირებით, ვესაუბრებით კონფლიქტოლოგს პაატა ზაქარეიშვილს.

ზაზა ფაჩუაშვილი

- შეიძლება თუ არა, კოდორის მოვლენები შეფასდეს, როგორც პირველი რეალური ნაბიჯი, გადადგმული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად?

- მე მგონი, უფრო სწორი იქნებოდა კითხვა: კოდორის ოპერაცია და შემდგომი ნაბიჯები გვაახლოებს თუ გვაშორებს აფხაზეთს? საკითხის ასე დასმა უფრო სამართლიანად მეჩვენება იმიტომ, რომ მომავალში სწორედ ეს გამოჩნდება - კოდორის მოვლენების შედეგად დავუახლოვდით თუ დავშორდით აფხაზეთს. დღეისათვის კოდორში მიმდინარე მოვლენები ცალსახად შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს, მაგრამ საბოლოო შეფასება მაინც მოგვიანებით გაკეთდება, გაზაფხულზე, როცა თოვლი დადნება. თუ მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, ანუ თუ რუსულ-აფხაზური ოპერაციის კვალი არ გამოჩნდება და კოდორი ისევ საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იქნება, შეგვეძლება თამამად თქმა, რომ ჩვენ კოდორში მივიღეთ სერიოზული წარმატება.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ წარმატება პოლიტიკურ პროცესში და წარმატება აფხაზეთის დაბრუნების მხრივ - სულ სხვადასხვა რამაა. თუ კოდორის მოვლენები გათვლილია პროცესზე და არა საბოლოო შედეგზე, დღევანდელ წარმატებას ხელისუფლება კარგად გამოიყენებს 5 ოქტომბრის არჩევნების დროს.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, კოდორის მოვლენები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე როგორ იმოქმედებს?

- მე მგონია, რომ კოდორში გადადგმული ასეთი ნაბიჯი აფხაზეთს არ დაგვიბრუნებს. ვეთანხმები აზრს, რომ ეს არის წარმატებული ოპერაცია, მაგრამ არა აფხაზეთის დაბრუნების კონტექსტში. ეს არის წარმატებული ოპერაცია ხელისუფლების განმტკიცების კონტექსტში. ანუ ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ განუმტკიცეს მოსაზრება, რომ ეს ხელისუფლება წარმატებულია და მის წინაშე დასახულ ამოცანებს წარმატებით ახორციელებს. რა იყო მის წინაშე დასახული ამოცანა? - აფხაზეთის დაბრუნება თუ სხვა რამ? - მე მგონი, სხვა რამ. იმიტომ, რომ ჩემი აზრით, ამ ნაბიჯმა აფხაზეთის დაბრუნებას დაგვაშორა, მაგრამ ხელისუფლებამ ამომრჩევლის თვალში ქულა ჩაიწერა.

ეჭვის საფუძველს გვაძლევს დღემდე ორი პასუხგაუცემელი კითხვა: პირველი - რატომ არ დაიკავეს კვიციანი თბილისში და რატომ არის ის დღემდე თავისუფალი? ყველაფერი, რასაც კვიციანს ედავებიან, შევარდნაძის დროსაა ჩადენილი (ბოლო ხნის განმავლობაში, სანამ ის ანტიკონსტიტუციურ განცხადებას გააკეთებდა, სხვა დანაშაული არ ჩაუდენია) და მისი აყვანა ათასჯერ შეიძლებოდა თბილისში. აშკარაა - ხელისუფლებამ ის შეგნებულად ააფორიაქა, რომ მომდევნო ნაბიჯები გაემართლებინა.

მეორე პასუხგაუცემელი კითხვა - რატომ არ შეიძლებოდა კოდორის დახმარება ადრე? თანხა, რომელიც კოდორში იხარჯება, ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ყოფილა. რატომ არ შეიძლებოდა კოდორის დახმარება დაგეგმილიყო, რასაც კოდორელები წლების განმავლობაში მოითხოვდნენ? კოდორი, რა, ახლა გავათავისუფლეთ? ეს ორი პასუხგაუცემელი კითხვა, ჩემი აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლებას კოდორის მოვლენები საკუთარი პიარკამპანიისთვის სჭირდებოდა. კვიციანი რომ თბილისში დაეპატიმრებინათ, ეს იქნებოდა ერთი ხმაურიანი სიუჟეტი და მეტი არაფერი. ახლა კვიციანი გაქცეულია, შეიძლება - რუსეთშია, შეიძლება - აფხაზეთშია, შეიძლება - თბილისშიცაა. რა იცი? ეს ინტრიგა საშუალებას იძლევა, რომ საზოგადოებას კვიციანის თემა დიდი ხნით აცოხნიონ.

კოდორი ჩვენ არ გაგვითავისუფლებია. როგორც აბაშიძე თვითნებობდა აჭარაში, ისე კვიციანი თვითნებობდა კოდორში, და როგორც ერთი, ისე მეორე ჩამოვაცილეთ პოლიტიკას და იმ ტერიტორიებზე აღვადგინეთ პირდაპირი, კონსტიტუციური მმართველობა, მაგრამ არავისთვის არაფერი წაგვირთმევია.

- თუ ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ კოდორის ოპერაცია მხოლოდ პიარკამპანიაა, გაზაფხულზე რაღა უნდა შევაფასოთ?

- პოლიტიკურ კონტექსტში, წარმატებად ჩაითვლება ვითარება, თუ მომავალი წლის აპრილ-მაისისთვის კოდორის ხეობაში დაფუძნდებიან აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები, იქ ჩაატარებენ სესიებს, მთავრობის სხდომებს და, ამავე დროს, არ ჩაიშლება ის სამშვიდობო პროცესი, რომელიც 2005 წელს 4-წლიანი სტაგნაციის შემდეგ აღადგინეს ირაკლი ალასანიამ და გოგა ხაინდრავამ. ასეთ შემთხვევაში მე სიამოვნებით ვაღიარებ კოდორის მოვლენების წარმატებას. მაგრამ თუ აფხაზები სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესიდან გავლენ, მაშინ ვიტყვი, რომ კოდორის მოვლენები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას ხელს უშლის. ეს იქნება წარმატება ქართული მხარისათვის და არა კონლიქტის მოგვარებისათვის. არ გამოჩნდება იმის განწყობა, რომ ჩვენ გვინდა აფხაზური მხარის ინტერესების გათვალისწინება.

აყარა. კოდორში ჭერჭერობით სიმშვიდეა.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

- რა შეიძლება მოჰყვეს კოდორის მოვლენებს აფხაზური მხრიდან?

- ახლა აფხაზურ მხარეზე ვილაპარაკოთ. აფხაზურ მხარეს კდორში არაფერი ესაქმება. იქ აფხაზები არ ცხოვრობენ, არ არის ინფრასტრუქტურა, გზა. ამიტომ იყო, რომ აფხაზები კოდორს არ გვედავებოდნენ. მათ დაიკავეს სტრატეგიული ადგილები - გვირაბი და სოფელი ლათა და გაჩერდნენ. ეს ის პოზიციებია, რომლებიც ქართველებს შეიძლება მათ წინააღმდეგ გამოეყენებინათ.

ეს კი არა, მე რომ მკითხონ, აფხაზებმა ცოტა მოქნილი აზროვნება რომ გამოიჩინონ, უნდა აღიარონ და პარლამენტის გადაწყვეტილებით დაადგინონ, რომ კოდორი არ არის აფხაზეთის ტერიტორია. მაშინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურები ისევ აფხაზეთის გარეთ აღმოჩნდებიან... მაგრამ ისინი ამას ხომ არ გააკეთებენ. ერთი სიტყვით აფხაზებს კოდორში თავისი სისხლის ღვრა არ უღირთ. სამაგიეროდ, კოდორის ჩხვლეტამ ისინი შეიძლება ისე გაამწაროს, რომ მათ შური გალის ქართველებზე იძიონ, რასაც აკეთებენ კიდეც. გალში უკვე დაიწყო მკაცრი რეჟიმის დაცვა. გალში აფხაზები სიამოვნებით დაღვრიან სისხლს იმიტომ, რომ ეს ქართველების სისხლი იქნება. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველაზე სერიოზული დარტყმა მოგველის გალში და არა კოდორში. გალი ხომ საქართველოსთვის ძალიან მოწყვლადი რეგიონია. ეს დიდი დარტყმა იქნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოდორს საფრთხე არ ემუქრება. თუ რუსეთმა საქართველოს დასჯა გადაწყვიტა, განახორციელებს კიდეც პროვოკაციას აფხაზების ხელით (მით უმეტეს, თუ კოდორი საქართველოს სამხედრო პლაცდარმად გადაიქცევა). ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზამთრის თვეებს.

ჯამში, კოდორის მოვლენებმა სამი ვარიანტი შემოგვთავაზა: პირველი - უმნიშვნელო, მაგრამ წარმატება. მეორე - არანაირი შედეგი, და მესამე - მძიმე შედეგი. უმნიშვნელო იქნება წარმატება, თუ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები კოდორში დაფუძნდებიან. არანაირი შედეგი არ იქნება, თუ რუსები და აფხაზები მოითხოვენ კოდორიდან ჩვენი ძალისმიერო სტრუქტურების გაყვანას და ჩვენ ამას შევასრულებთ. ძალიან ცუდი შედეგი იქნება, თუ რუსები და აფხაზები გადაწყვეტენ კოდორის აღებას და ამას გააკეთებენ კიდეც ზამთარში, დიდთოვლობის დროს.

- შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოდორის ნაბიჯი შეთანხმებულია ჩვენს დასავლელ მეგობრებთან და აშშ-სთან?

- მე ამის იმედი მაქვს. შეიძლება, ჩვენსა და აშშ-ს შორის შეთანხმება იმდენად არ იყოს, რამდენადაც იყოს შეთანხმება აშშ-სა და რუსეთს შორის. დღეს საქართველოს რუსეთთან ისეთი დაძაბული ურთიერთობა აქვს, რომ მარტო ჩვენ რუსეთს ვერ "დავაბამთ". შეიძლება, საქართველო გარკვეულ კომპრომისებზე წავიდეს (მაგალითად, რუსეთის გაერთიანებაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და სხვა) იმის სანაცვლოდ, თუ რუსეთი კოდორის მოვლენებზე თვალს დახუჭავს. ასეთი აზრის საფუძველს მაძლევს რუსეთის საკვირველი სიჩუმე. მას ჯერ კოდორთან დაკავშირებით სერიოზული დემარში არ განუხორციელებია. ზეპირი განცხადებები სისულელეა, რაც მთავარია, რუსეთს გაეროში არ დაუყენებია კოდორის საკითხი. კოდორს და აფხაზეთს აკონტროლებს გაერო და რუსეთს, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრს, თამამად შეეძლო, დაეყენებია საკითხი საქართველოს "თვითნებობის" შესახებ კოდორის ხეობაში იმ ავადსახსენებელი, მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე. მას ეს არ გაუკეთებია არც ეუთოში და არსად საერთაშორისო დონეზე. იყო მხოლოდ აფხაზეთის გულის მოსაგები განცხადებები. აქედან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ან რუსეთთან ყველაფერი შეთანხმებულია, ან იგი გვითრევს პროვოკაციაში.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხი - 15 ოქტომბერს გასდის ვადა გაეროს მისიას საქართველოში, გაეროს იმ ყბადაღებულ № 1666 რეზოლუციას და, შესაბამისად, 15 ოქტომბრისათვის გაერომ უნდა მიიღოს ახალი რეზოლუცია. აი, მაშინ გამოჩნდება, ვინ არის საქართველოს მეგობარი. ამერიკელი სენატორები რომ ჩამოდიან და თავიანთი სიტყვებით გულს გვფხანენ, თუ მართლა ჩვენი მეგობრები არიან, გაეროში დაიცვან საქართველოს ინტერესები.

ნახეთ, რა ხდება ლიბანის გარშემო. კონდოლიზა რაისი ორჯერ ჩავიდა ახლო აღმოსავლეთში, ლიბანში, რათა შეეთანხმებინა რეზოლუციის ტექსტი. შედარებისთვის, რამდენად მარტივად გადის გაეროში რეზოლუციები საქართველოს შესახებ. თუ 15 ოქტომბრისათვის გაერომ მიიღო ისეთივე პრორუსული ტექსტი, როგორიც ზემოთნახსენებ რეზოლუციაში იყო, მაშინ, უკაცრავად, მაგრამ მე არ მჯერა ამ ჩვენი მეგობარი სენატორებისა. ამიტომ, მათ კეთილი უნდა ინებონ და აშშ-ს ელჩს გაეროში დაავალონ საქართველოს ინტერესების დაცვა გაეროს რეზოლუციის მიღებისას. ყველაზე კარგი მაჩვენებელი, თუ რა მოხდა და, სავარაუდოდ, რა მოხდება კოდორში, იქნება გაეროს 15 ოქტომბრის რეზოლუცია. ამიტომ, მკითხველს ვურჩევდი, დაელოდოს გაეროს რეზოლუციას, რომელშიც, როგორც წვეთში ოკეანე, ისე აღიბეჭდება აშშ-სა და რუსეთის დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ.

- ბაგაფში აცხადებს, რომ ქართველები რაც უფრო მეტს ააშენებენ კოდორში, მით უკეთესი ჩვენთვის, მზამზარეულზე მივალთო...

- ასე ჩვენც შეგვიძლია განვაცხადოთ, აფხაზებმა ააშენონ, ააშენონ რაც შეიძლება მეტი, მერე მაინც ჩვენ დაგვრჩება ყველაფერი.

- ჰოდა, იმის კითხვა მინდოდა, რუსები იმიტომ ხომ არ არიან გაჩუმებულები, რომ გვაცლიან მშენებლობას და მერე მართლა მზამზარეულზე უნდათ მისვლა?

- ამასთან დაკავშირებით, რაც არ უნდა იყოს, შენება ყოველთვის კარგია. ამ საქმეში მე მივესალმები საქართველოს ხელისუფლებას. უბრალოდ, მიკვირს, ამდენხანს რატომ არ გააკეთა ეს.

- ფაქტი ერთია, რომ აფხაზები კოდორში მიმდინარე მოვლენებით და იგივე მშენებლობით ძალიან შეშფოთებულები არიან.

- აფხაზები შეშფოთებულები არიან, პირველ რიგში, რუსეთის გამო, რომელმაც მათ მხარი ისე არ დაუჭირა, როგორც ელოდნენ. კიდევ რის გამო არიან აფხაზები შეშფოთებულები? - თუ მათ რუსეთმა კოდორის მოვლენები გადააყლაპა, მაშინ იგივე შეიძლება განმეორდეს გალის რაიონში. თუ ქართველებს შერჩათ კოდორი, რომელსაც ისინი ააყვავებენ, მერე იტყვიან, გალსაც ავაყვავებთო და ამის ეშინიათ აფხაზებს. აფხაზები იმდენად კოდორის ნაბიჯს არ შეუშინებია, რამდენადაც მის პრეცედენტს.

- რამდენად მოსალოდნელია, რომ აფხაზებმა კოდორში ვითარება რუსეთის გვერდის ავლით გაამწვავონ?

- ეს ნაკლებად მოსალოდნელია. მათ საამისო რესურსები არ გააჩნიათ. მათ სჭირდებათ ფული, იარაღი. ამიტომ, თუ აფხაზებმა კოდორის მიმართულებით რაიმე გაბედეს, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის შეგულიანებითა და დახმარებით.

აი, გალი სხვა ამბავია. გალში აფხაზებს შეუძლიათ ვითარების გამწვავება საქართველოსთვის ძალიან მძიმე შედეგებით. ამისათვის საკმარისია, ერთი-ორი ქართული სოფელი გადაწვან და მთელი გალი დაიცლება. სააკაშვილი კი შეგარდნაძე არ არის, რომ ეს მოითმინოს და პირდაპირ შეიჭრება აფხაზეთში. რუსეთი კი ელცინივით ფიქრს არ დაიწყებს და გალში ძალიან სერიოზულ საომარ მოქმედებებს გააჩაღებს. ეს ძალიან სურს რუსეთს, რათა დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა, რომელსაც რუსეთის მშვიდობისმყოფელების გარეშე თავის ტერიტორიაზე მშვიდობის დაცვა არ შეუძლია.

საბოლოოდ კი, საომარი მოქმედებებით ყველაზე მეტად აფხაზი ხალხი დაზარალდება. რაგინდ დიდი დახმარებაც მიიღონ მათ ცოცხალი ძალითა და იარაღით, ომი მაინც დაიყენებს აფხაზი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხს. ამდენად, ომი მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია და არა ქართველი და აფხაზი ხალხისა. რუსეთს სურს, საქართველომ დაკარგოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა და იქცეს მარგინალურ სახელმწიფოდ, რომლის მიმართ ინტერესს დაკარგავს აშშ და ევროპა, და რუსეთი კვლავ აღიდგენს დაკარგულ მყარ პოზიციებს კავკასიაში.

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, რუსეთი არაერთხელ შეეცადა, მოეწყო პროვოკაცია კოდორში, როცა საფრენი აპარატებით რამდენჯერმე გადაკვეთა საქართველოს საჰაერო სივრცე კოდორისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების თავზე, მაგრამ საქართველომ თავი შეიკავა და არ წამოეგო პროვოკაციაზე. თუ ჩვენ ბოლოდე მოვახერხეთ თავშეკავება და ნატო-მდე მივაღწიეთ, მერე რა მოხდება? შეიძლება, რომ საქართველომ კოდორის ხეობა მართლა გამოიყენოს სამხედრო პლაცდარმად აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ?

- თუ ღმერთმა ინება და ჩვენ ნატო-ს წევრი ქვეყანა გავხდით, მაშინ არავინ მოგვცემს უფლებას, კოდორში შეიარაღებული ძალები შევიყვანოთ და იგი სამხედრო პლაცდარმად გამოვიყენოთ. ნატო-ში გაწევრიანება ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გარანტიას ნიშნავს. კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერთვებიან ნატო-ს წევრი სახელმწიფოები და ეს ძალიან დიდი ძალაა, რომელსაც წინ ვეღარავის აღუდგება. ისინი გვაიძულებენ, რომ ჩვენ აფხაზებთან დათმობებზე წავიდეთ. ნატო-ში გაწევრიანება ასევე ნიშნავს ქვეყნის კიდევ უფრო დემოკრატიზაციას, სამართლიან არჩევნებს, კანონის უზენაესობას და ა.შ. ამიტომ ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს იძულებული გახდება, ამოქექოს ის კონცეფცია, რომელიც დაიბეჭდა თქვენს გაზეთში და რომელსაც, ჯერჯერობით, ყურადღებას არავინ აქცევს, და კონფლიქტი მოაგვაროს მშვიდობიანად აფხაზი ხალხის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით და უსაფრთხოების სრული გარატიებით.

- თუ ასეა, ნატო-ში გაწევრიანების გზაზე აფხაზები საქართველოს პირველი მოკავშირეები უნდა იყვნენ და კოდორში და გალში არავითარი პროვოკაციები არ მოაწყონ.

- აფხაზების დიდ ნაწილს ძალიან კარგად ესმის, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მათთვის სიკეთის მომტანია და საქართველოს მათთვის მეტად უსაფრთხოს გახდის, მაგრამ მათ ამის ხმამაღლა განცხადება რუსეთის გასაგონად არ შეუძლიათ. აფხაზების ეს პოზიცია მე პირადი საუბრებიდან ვიცი. სხვათა შორის, ჩვენ ვცდილობთ, რომ აფხაზებს ნატო კარგად გავაცნოთ რუსების გარეშე და ამისთვის გარკვეული გეგმები გვაქვს კიდეც. უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა საქმე საქმეზე მივა. ამთავითვე კი შეიძლება განვაცხადოთ - აფხაზები ღებულობენ ჩვენს შეთავაზებას და ძალიან კარგია, რომ აფხაზებს ამის ინტერესი გააჩნიათ.

აფხაზური ისტერია კოდორის გამო

კოდორის მოვლენებთან დაკავშირებით აფხაზური მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მისამართით სისტემატური და მზარდი ისტერიული მუქარა ისმის. თანაც ისე, რომ სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერი ქართულ მხარეს დიდსულოვნად იგდებს აბუჩად, მის შესაძლებლობებს არად მიიჩნევს და მოსკოვიდან უთვლის: რომ მოვინდომო, კოდორის ხეობიდან სამ საათში გაგყრითო. ამასთან, აფრთხილებს კიდეც, გონს მოდით, სანამ მოთმინება მყოფნისო. მანამდე კი, საპასუხოდ ჩვეულებისამებრ ანიოკებს გალის ქართულ მოსახლეობას, რომლის ისედაც გაუსაძლისი ყოფა-ცხოვრება კიდევ უფრო დამძიმდა. აფხაზური პოლიციის ეგზეკუცია, ქართველების მასობრივი დაპატიმრებები გამოძალვის მიზნით, იძულებითი მონური შრომა და ჯარში ძალით გაწვევები ქართველებისთვის ყოველდღიურ სატანჯველად გადაიქცეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ხასიათის ოფიციალური საპროტესტო განცხადება გააკეთა:

"სეპარატისტები ინტენსიურად ახორციელებენ ქართველი ახალგაზრდების მობილიზაციას ე.წ. "აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში". საქმე ეხება ადგილობრივი ქართველი ახალგაზრდების ე.წ. "გაწვევას", რომელიც ხორციელდება აბსოლუტურად უკანონოდ, ძალადობრივი მეთოდებით, რაც წითელი არმიის ყოფილ პრაქტიკას მოგვაგონებს, როდესაც ახალგაზრდებს ჯარში იარაღის მუქარით მიერეკებოდნენ. როგორც ჩანს, სოხუმის რეჟიმისთვის ბოლშევიკური მეთოდები მისაბაძი გამხდარა. სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი კიდევ და კიდევ უხეშად და მასობრივად არღვევს ადამიანის უფლებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოში. სოხუმის ე.წ. "მთავრობა" არ კმაყოფილდება ეთნიკური წმენდით, რომელიც აღიარებული და დაგმობილია ეუთოს სამიტების დასკვნით დოკუმენტებში ბუდაპეშტში (1995 წელს), ლისაბონში (1997 წელს) და სტამბოლში (1997 წელს). იგი კვლავაც ახორციელებს ანტიადამიანურ პოლიტიკას და ქმედებას რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართ. ყოველივე ეს მიმდინარეობს სოხუმის ნამდვილი სამხედრო ისტერიკის ფონზე. გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს აიძულებენ სანგრების გათხრას ე.წ. "აფხაზური ძალებისთვის", რაც იძულებითი შრომის საყოველთაოდ აკრძალულ პრაქტიკას წარმოადგენს. ამის თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია თავის დროზე გადაეგზავნა საერთაშორისო თანამეგობრობას.

ყოველივე ეს კი ხდება დსთ-ს, სინამდვილეში - რუსეთის, მშვიდობისმყოფელების თვალწინ, რომლებიც არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ წინ აღუდგნენ ადამიანის უფლებების უხეშ და მასობრივ დარღვევებს, რასაც, სხვათა შორის, ითვალისწინებს "დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების" წესდების მეორე თავის მეექვსე პარაგრაფი, დამტკიცებული დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ. ცხადია, ამ და სხვა შემთხვევების ფონზე სეპარატისტული რეჟიმის მორიგი დანაშაულებრივი ქმედება და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, რათა აღიკვეთოს ადამიანის უფლებების დარღვევა გალის რაიონში, აფხაზეთი-საქართველო. განვითარებული მოვლენების ფონზე ცხადი ხდება, რეალურად ვინ ეწინააღმდეგება სამშვიდობო პროცესს და ვისი საქმიანობის შედეგად ექმნება ყოველდღიური საფრთხე რეგიონის ქართულ მოსახლეობას."

ამ ბრალდებას მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე სოხუმის რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა შემდეგნაირად უპასუხა: "გალის რაიონში სულ 55 ათასი ადამიანი ცხოვრობს. აქედან აფხაზეთის არმიაში ნებაყოფლობით მსახურობს 21 ადამიანი. მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთი განცხადების შემდეგ მომავალი წლიდან, ალბათ, დავიწყებთ გალის რაიონის მცხოვრებთა გაწვევას ჩვენს არმიაში. კეთილი ინებონ და დაიცვან ქვეყანა ყველა აგრესიისაგან, რაკი ცხოვრობენ ამ ქვეყანაში და არიან მისი მოქალაქეები."

ახლა კი გაგაცნობთ სერგეი ბაგაფშის მიერ იმავე პრესკონფერენციაზე გაკეთებულ სხვა განცხადებებს, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ისტერიას კოდორის მოვლენების გამო.

სერგეი ბაგაფში: "ოფიციალურად ვაცხადებ, რომ საქართველოს არ სურს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. მოლაპარაკების პროცესს ბოლომდე უნდა მიყოლა, სანამ ეს შესაძლებელია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში მოლაპარაკებების პროცესის შეჩერებისაკენ მივყავართ. ყველაფერი, რაც 1994 წლიდან კონფლიქტის დარეგულირებისათვის კეთდებოდა, საქართველომ კოდორის ხეობაში თავისი მოქმედებით გაანადგურა. ამდენად, ჩვენ ვეღარ ვიტყვით, რომ ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ პროცესის ნებისმიერ შემდგომ განვითარებაზე. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს ქართველებმა გააკეთეს. ამ ნაბიჯით ქართველებმა ფაქტობრივად ხელი მოაწერეს ომის დაწყებას

ვენეციის ბიენალეს დღიური

ბიენალეს დაწყებამდე

ვენეცია - ქალაქი-მირაჟი, ქალაქი წყალზე, ყველა ხელოვანის ოცნება. სასახლეების პარადული ფასადები და აჟურული გალერეები, მსუბუქი ოდნავ გაღუნული ხიდები, ვიწრო უსწორმასწორო ქუჩათა ქსელი 3-4 სართულიანი სახლების უწყვეტი რიგებით, პიაცა დი სან მარკო, კამპანელა და დოჟების სასახლე, აკადემიის გალერეა, პალაცო დუკალე, რიალტოს ხიდი, გოთური ტაძრები, ტიციანი, ტინტორეტო, ვეროკიო, ვივალდი, კანალეტოს გაცოცხლებული ხედები და რომანტიული გონდოლები,...118 კუნძული და 150 ხიდი. ეს ქალაქი IX საუკუნეში დაარსდა და თავისი აყვავების ხანას XIV-XV საუკუნეებში მიაღწია. წლების განმავლობაში დამოუკიდებელი საზღვაო პორტი და რესპუბლიკა იყო, მარკო პოლოს სამშობლო, გახსნილი და ინტერნაციონალური, ასე განსხვავებული იტალიის სხვა ქალაქებისაგან, ვენეცია იზიდავს მოგზაურებს, მეოცნებეებს და ხელოვანთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ლენა კილაძე

ვენეციის სახელთან დღეს ორი უდიდესი მოვლენაა გაიგივებული - კინოფესტივალი და ბიენალე. ვენეციის კინოფესტივალი - ერთ-ერთი ელიტარულია მსოფლიო კინოფესტივალებს შორის, ვენეციის ბიენალე - კი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული არტ ფორუმია მსოფლიოში. აქ ჩნდება ახალი სახელები, მიმდინარეობს საუბარი ხელოვნებისა თუ არქიტექტურის სფეროში არსებულ პრობლემებზე, იკვეთება ახალი ტენდენციები. უდიდესი შოუ და ბაზრობა, რომელზეც, ერთი მხრივ, არაფერი "იყიდება", მაგრამ რომელიც საუკეთესო ადგილია საკუთარი თავის წარმოჩენისათვის მსოფლიო ხელოვნებისა თუ არქიტექტურის სფეროში.

წელს, 10 სექტემბერს ვენეციაში მე-10 საერთაშორისო არქიტექტურული გამოფენა გაიხსნება თემატიკით "ქალაქი, არქიტექტურა, საზოგადოება".

პირველად ვენეციის ბიენალეს ისტორიაში 50 სხვადასხვა ქვეყანასა და 20 არქიტექტურულ სკოლას შორის ქართული პავილიონიც იარსებებს (ადრე ბიენალეზე მხოლოდ ცალკეული ქართველი შემოქმედები თუ იღებდნენ მონაწილეობას).

გთავაზობთ სტატიათა ციკლს ბიენალეზე, მსოფლიოში უდიდესი არქიტექტურული ფორუმის ისტორიაზე, ქართველ ხელოვანთა მონაწილეობაზე ამ ფორუმში და იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო არქიტექტურის წინაშე დგას. დღესდღეობით. ვენეციის ბიენალეს მოკლე ისტორიით ვიწყებთ. ვიწყებთ თბილისიდან.

■ ■ ■

" მზის ჩასვლისას ყველა ქალაქი მშვენიერია, მაგრამ ზოგიერთი კიდევ უფრო."

"ვიღაცამ თქვა, რომ ერთადერთი, რაც შეიძლება აღემატებოდეს ამ ქალაქს წყალზე, ეს იქნებოდა ქალქი ჰაერში"

/იოსებ ბროდსკი... ვენეციის შესახებ/

სად და როდის შემოვიდა ვენეცია ჩემს ცხოვრებაში?

ალბათ პირველად ლუკინო ვისკონტის "სიკვდილი ვენეციაში" რომ ვნახე? ახლაც მახსოვს, დირკ ბოგარტის სახე გემბანზე შეზლონგში და ალბათ ცოტათი დეკადენტური განცდა იმისა, რომ ამ ქალაქში სიკვდილიც მშვენიერი შეიძლება იყოს... ან შეიძლება ხელოვნების ისტორიის ლექციებზე, როცა გახუნებულ სლაიდებში სან მარკოს მოედანსა და დოჟების სასახლეს ენაცვლებოდა პატარა კუნძულები, მიხვეულ-მოხვეული რომანტიული ქუჩები პატარა ხიდებითა და გონდოლებით, ვენეციური სკოლის ოსტატების მაგია და კანალეტოს ხედები... მერე იყო შექსპირი და თომას მანი, კინოს ხიბლი გოგი გვახარიას ლექციებში და ფესტივალის მუდმივი თვალყურის დევნება, მერე არქიტექტურის პრიმატი (ჩემს ცხოვრებაში) და ფიქრი ამ უცნაურ მირაჟზე, რომელიც საუკუნეების შემდეგაც ახერხებს იარსებოს წყალზე, მაშინ, როდესაც ჩვენ მიწაზეც გვენგრევა ყველაფერი.

ამიტომ, როდესაც ვენეციის ბიენალეს ყოფილი კურატორის, კურტ ფორსტერის მოწვევა მივიღე, ძალიან გამიხარდა და არც კი მჯეროდა, რომ ამ უდიდეს არქიტექტურულ ფორუმზე დასწრებას და მის გაშუქებას მოვახერხებდი.

ბიენალე დღეს ვენეციასთანაა გაიგივებული, ალბათ ისევე, როგორც კინოფესტივალი. მსოფლიოში ბევრ სხვადასხვა ქალაქებში ტარდება ბიენალეები, მაგრამ ხელოვანთა და კრიტიკოსთა შორის ვენეციის კვლავ ყველაზე პრესტიჟულია.

ბიენალე (სალექსიკონო განმარტებით) - მოვლენა, ჰეფენინგი, რომელიც ყოველ მეორე წელიწადს იმართება. ვენეციაში ერთმანეთს ხელოვნების და არქიტექტურის ბიენალე ენაცვლება. თითოეული ორ წელიწადში ერთხელაა და გამოდის, რომ ვენეციაში ერთ წელს მხატვრები იფინებიან, მეორე წელს არქიტექტორები.

ვენეციის ბიენალე საინტერესოა არა იმიტომ, რომ აქ ცნობილ სახელებს შეხვდებით, არამედ იმით, რომ აქ ახალი ტენდენციები იკვეთება და ახალი სახეები ჩნდება. ესაა სივრცე მრავალფეროვანი, ორიენტირებული... ახალზე, მომავალზე, ახალ მიმდინარეობებზე და ტენდენციებზე; ხშირად საკმაოდ იერარქიული; სივრცე, რომელიც ყველაზე მეტად იზიდავს სტუდენტებს და ახალგაზრდა შემოქმედებს სხვადასხვა ქვეყნიდან, აგრეთვე მეოცნებეებს, ყველას, ვისაც უნდა, რომ სამყარო განსხვავებული იყოს. სივრცე, სადაც თავისუფლად შეიძლება დაიკარგო კიდეც.

■ ■ ■

1893 წელს ვენეციის მერმა (და არა რომელიმე ხელოვანმა) გადაწყვეტილება მიიღო, რომ შეექმნათ სივრცე თანამედროვე იტალიური ხელოვნების განვითარებისათვის. ორი წლის განმავლობაში მოსამზადებელი სამუშაოები ტარდებოდა და 1895 წელს პირველი ოფიციალური გამოფენა გაიხსნა Gardini- ში (ბაღების ადგილი). შემდგომში Gardini-ს და Arsenale-ს არეა ბიენალეს მთავარ ადგილსამყოფელად იქცა. აქ წლების განმავლობაში იფინებოდნენ ჯერ იმპრესიონისტები და პოსტ-იმპრესიონისტები, მოდილიანი, კლიმტი, პიკასოს სამი რეტროსპექტივა მოეწყო და XX საუკუნის ყველა ცნობილი ხელოვანნი. სწორედ მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ გამოფენამ საერთაშორისო სახე მიიღო და აქ ნაციონალური პავილიონების გახსნა დაიწყო.

ერთ-ერთი პირველი ბელგიელების იყო. იგი 1907 წელს გაიხსნა; მერე უნგრეთის, გერმანიის და დიდი ბრიტანეთის თითქმის ერთდროულად 1909 წელს გაიხსნა, საფრანგეთის - 1912 წ., რუსეთის - 1914; იგი ცნობილმა არქიტექტორმა შჩუსევმა დააპროექტა. პირველი მსოფლიო ომის დროს ბიენალე არ ფუნქციონირებდა. შეფერხდა მისი ფუნქციონირება მეორე მსოფლიო ომის დროსაც.

1930 წლიდან ბიენალე უფრო მრავალფეროვანი ხდება. მას ახალი ნაციონალური პავილიონები და რაც მთავარია, ახალი დარგები - მუსიკა, თეატრი და კინო ემატება. 1935 წლიდან ვენეციის კინოფესტივალი მუდმივი მოვლენა ხდება მსოფლიო კულტურულ ცხოვრებაში. წელს კინოფესტივალი 9 სექტემბერს ოფიციალურად დაიხურება და გახდება ცნობილი წლევანდელი ლაურეატების სახელები.

■ ■ ■

არქიტექტურა ბიენალეზე ცალკეული გამოფენების სახით 1975 წლიდან ჩნდება. 1980 წელს ცნობილი იტალიელი არქიტექტორის, პაოლო პორტოგეზის მიერ ორგანიზებული პირველი გამოფენა - "წარსულის არსებობა ანმყოში" - არქიტექტურული ბიენალეს დასაბამად იქცევა. აქედან მოყოლებული დამოუკიდებელი არქიტექტურული საერთაშორისო გამოფენა იწყებს მუდმივ ფუნქციონირებას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ და მისი დირექტორები არიან ისეთი ცნობილი არქიტექტორები, როგორც ვიტორიო გრეგოტი, ალდო როსი, ფრანჩესკო დალკო, მაქსიმილიან ფუქსასი, კურტ ფორსტერი და წელს -რიჩარდ ბარდეტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრ ქვეყანას ვენეციაში საკუთარი ნაციონალური პავილიონიც გააჩნია. ქართველებს - არა. ქართული არქიტექტურა და ხელოვნებაც ამ სივრცეში ინტეგრირებას აქტიურად სწორედ ახლა იწყებს, უფრო სწორად კი ეს პროცესი უკვე ნელ-ნელა, წლების განმავლობაში მიმდინარეობს და მომავალში სათანადო ადგილსაც დაიკავებს ამ დიდ და მნიშვნელოვან კულტურულ სივრცეში.

ქართველ ხელოვანთაგან ბიენალეზე პირველად ქართველი არქიტექტორები მოხვდნენ 1989 წელს არქიტექტურული სკოლების გამოფენაზე, როდესაც არქიტექტურის დოქტორმა, პროფესორმა რუსუდან ლორთქიფანიძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის გამოფენა წარადგინა. ამ გამოფენამ იქ ინტერესი გამოიწვია.

ერთ-ერთი პირველი ქართველ მხატვართაგან ბიენალეზე გია ედგვერაძე გამოიფინა, თუმცა მას რუსეთის პავილიონი წარადგენდა. ხოლო პირველი ქართული პავილიონის კურატორი ხელოვნების ბიენალეზე ირინა პოპიაშვილი იყო (ამ გამოფენას აგრეთვე საქართველო კი არა, ნიუ იორკის გალერეა წარადგენდა) და იგი ორი მხატვრის - გოგი ალექსიმესხიშვილის და მამუკა ჯაფარიძის ნამუშევრებს აერთიანებდა ერთ სივრცეში (1999).

მამუკას ჯაფარიძის ნამუშევარი დანტე ალიგიერის ღვთაებრივ კომედიასთან იყო დაკავშირებული. ეს იყო დიდ კედელზე გრაფიკული სახით წარმოდგენილი გამრავლებული არტი (არტ, არტ, არტ, არტ). "სივრცე დაბომბილი ხელოვნებით ან ტარტარის გამოცდილებიდან" - ასე ერქვა ნამუშევარს.

მამუკა ჯაფარიძე: "ვენეციაში ამ დროს ხელოვნება (არტ) დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. არტ-ის არტიკულაციამ ტარტარი შექმნა და ბერძნული პანთეონის ყველაზე ღრმა სივრცეებში ჩაგვიყვანა, რათა იქიდან გაგვეაზრებინა არტ-ის მნიშვნელობა. მერე აღმოჩნდა, რომ დანტე, ჯოჯოხეთის ერთ-ერთ რგოლს როდესაც აღწერდა, სწორედ ამ ადგილს (სადაც ნამუშევარი გვქონდა) - არსენალეს აღწერდა (აქ ადრე გემებს აშენებდნენ და კუპრს ასხამდნენ).

ჩემთვის ეს ბიენალე ძალიან საინტერესო იყო და მთლიანად შემთხვევითობებზე აიგო, ნამუშევრის თემის შერჩევით დაწყებული. ამ შემთხვევითობებმა ვენეციაში თავი მოიყარა და იქცა რეალობად - ეს ყველაფერი ჯადოქრობას ჰგავდა. თუმცა პრაქტიკულად თვითონ ბიენალე როგორც კი იხსნება, სწორედ იქ მთავრდება მხატვრის აქტივობა. ხელოვნება ხდება მხატვრისაგან განყენებული, შემდგომ კი ისევ უბრუნდება და მრავალ შესაძლებლობებს უხსნის მხატვარს".

მომდევნო ბიენალეზე ქართველი ქალი-მხატვრები გამოიფინნენ: თეა ჯორჯაძე და თეა გვეტაძე (ირინა პოპიაშვილის გალერეა წარადგენდა ნიუ იორკიდან). ამავე ბიენალეზე ხელოვნებათმცოდნე ქეთი ჯაფარიძემ თავისი ნამუშევარი გამოიტანა შვეიცარიელ და იტალიელ მხატვრებისა და არქიტეტორების ჯგუფთან ერთად - "ფეხსაცმელები გამგზავრებამდე". ეს ნამუშევარი იყო იმ დაბრკოლებებზე, რომელიც ადამიანებს შეიძლება გაუჩნდეთ ვენეციაში მგზავრობისას (მეტად აქტუალური საქართველოსათვის) და ეს უნდა ყოფილიყო მოგზაურობა ვენეციაში ბერლინის ან პალესტინის გავლით.

ქეთიმ შემდგომში ნაშრომი მიუძღვნა ბიენალეს "გიყვარდეს განსხვავებული - ბიენალემდე, ბიენალეს დროს და შემდეგ".

ქეთი ჯაფარიძე: "ეს ყველაზე დიდი გამოფენაა, რაც ხდება მსოფლიოში და ყველაზე სახელოვანი. ვენეცია ერთგვარი მითია. საინტერესოა იმით, რომ ახალი ტენდენციები იკვეთება. უზარმაზარი პროექტი კეთდება და რამოდენიმე თვეში იშლება. მერე, კი ორ წელიწადში ისევ კეთდება.

ეს დროებითობა ცოტათი გაბრმავებს, თვალს გჭრის და რა თქმა უნდა, მოგწონს... როგორც მირაჟი, რომელიც გამოჩნდება და ისევ ქრება. ვენეცია თავის როლს თამაშობს და ხელოვნების მოყვარულთ იკრებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან".

■ ■ ■

შემდგომ ინიციატივა კვლავ არქიტექტორების ხელში გადავიდა.

2002 წელს არქიტექტურულ ბიენალეზე ქართველმა ხუროთმოძღვრებმა გოგა ბერიძემ და დათო ახვლედიანმა რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი წარადგინეს, 2004 წელს კი ბიენალეზე, რომლის თემა მეტამორფოზი იყო, საქართველოდან ორი პროექტი ფიგურირებდა (და ახალი ქართული დროშაც აღიმართა პირველად): დიმა მამაცაშვილის და ირაკლი ვაჩეიშვილის პროექტი "გარიყულა-ხელოვნების ცენტრი" (მხატვრების ჯგუფთან ერთად: ილიკო ზაუტაშვილი, ნინო მორბედაძე, არჩილ თურმანიძე) და გოგა ბერიძის "მფრინავი თეფში და სტოუნჰენჯი - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი".

"გარიყულა" ეს იყო ტრანსფორმაცია ისტორიის, მეტამორფოზა ახალი ცხოვრების, ქართული ტრადიციების შერწყმა ევროპულთან. ამ პროექტში მე-19 საუკუნეში პოლონელი არქიტექტორის მიერ აგებული სტრუქტურა ტრანსფორმირდება თანამედროვე სივრცედ - ხელოვნების ცენტრად გალერეებით, საკონფერენციო დარბაზებითა და საინფორმაციო ცენტრით, რომლის ტერიტორიაზეა სასტუმრო, კაფე-ბარები, ბაღი და ტბაც. გოგა ბერიძის პროექტი კი ამოუცნობი მფრინავი ობიექტის და სტოუნჰენჯის შეხვედრის ამბავია, სადაც მეტამორფოზის ადგილას ახალი თანამედროვე აეროპორტი იქმნება.

■ ■ ■

წელს ბიენალეზე ქართველ არქიტექტორთა მთელი ჯგუფი მიემგზავრება და საქართველოს არქიტექტორთა კავშირს პავილიონიც ექნება. წლევანდელი ბიენალეს თემაა "ქალაქი, არქიტექტურა და საზოგადოება". მისი მთავარი მიზანია ინფორმირება და პროვოცირება დებატებისა თემაზე, თუ როგორ ვსაზღვრავთ ჩვენი ურბანული გარემოს მომავალს, რადგანაც სწორედ ქალაქები წარმოადგენენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრს. თემები ძალიან ბევრია: მიგრაციიდან მობილურობამდე, სოციალური ინტეგრაციიდან დამოუკიდებელ განვითარებამდე. მთავარი მიზანია კავშირის განმტკიცება არქიტექტურასა და საზოგადოებას შორის; პროვოცირება დებატებისა ქალაქის პრობლემებსა და მის მომავალზე. სწორედ ამიტომ აქ 50 სხვადასხვა ქვეყნის და 20 სხვადასხვა არქიტექტურული სკოლის წარმომადგენელთა ნამუშევრები გამოიფინება, სწორედ ამიტომ აქ არიან მოწვეული ისეთი ცნობილი მკვლევარები და არქიტექტორები, როგორც ალდო როსი და რემ კოლჰაასი. ეს ბიენალე მოწოდებულია შეიტანოს წვლილი 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრაში - თუ როგორი იქნება ურბანული საზოგადოება ხვალ.

ბიენალე 10 სექტემბერს გაიხსნება და 19 ნოემბრამდე გასტანს. საზეიმო ცერემონიაზე დაგეგმილია, რომ XX საუკუნის ერთ-ერთ ნოვატორს, ცნობილ არქიტექტორს რიჩარდ როჯერს გადასცენ ბიენალეს პრიზი - ოქროს ლომი - უდიდესი წვლილისათვის არქიტექტურის განვითარებაში.

ამ და კიდევ ბევრ საინტერესოსა და პრობლემურზე უკვე შემდეგ წერილში და უკვე ვენეციიდან მოგითხრობთ.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

მცხეთის რაიონის გამგეობას (ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73, ორგანიზ/კოდი:236033234,სახალხო ბანკის მცხეთის ფილიალი, ა/ა33030001, ბ. კ220101415) აცხადებს ტენდერს 5 ახალი მსუბუქი ავტომანქანის შესასყიდად და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 27 სექტემბრის 11 საათიდან 27 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის №73, მცხეთის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია.

საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

იურიდიული პირებისათვის:

-ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ყადაღის არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის:

-ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ჭმედუნარიანობის შესახებ.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

-ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 7 სექტემბრის 10საათიდან 26 სექტემბრის 17საათამდე შემდეგ მისამართზე(ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73,მცხეთის რაიონის გამგეობა.

სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 (ორას)ლარს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი პაპაშვილი, ტელ: 893 32-72-40

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული

სატენდერო კომისიის თავჯდომარე თ. აბაშიძე

ცხარე წიწაკა დაეხმარა ციხიდან გაქცევაში

ინდონეზიაში 18-მა პატიმარმა უჩვეულო მეთოდით შეძლო ციხიდან გაქცევა. ამაში მათ ცხარე წიწაკა დაეხმარათ. გაქცევა მოხდა, როდესაც პატიმრებს სუმატრას კუნძულზე ქალაქ პემატანგ სიანტარში უნდა ესადილათ. სასადილოს ნაცვლად მათ კარიბჭესთან მდგომ დაცვას მიაშურეს, სავარაუდოდ წყლიანი პლასტმასის ბოთლით "შეიარაღებულებმა". როგორც აღმოჩნდა, პატიმრებმა ბოთლში ცხარე წიწაკა ჩადეს. სწორედ ეს ნარევი შეასხეს მათ სახეში დაცვას. მწვავე სითხემ დროებით დააბრმავა მცველები, რამაც საშუალება მისცა პატიმრებს წაერთმიათ გასაღებები, გაეღოთ ჭიშკარი და გაქცეულიყვნენ. როგორც ციხის უფროსი იუწყება, ეს პირველი გაქცევაა ციხიდან ცხარე წიწაკის მეშვეობით. წითელ და მწვანე ცხარე წიწაკას ფართოდ იყენებენ ინდონეზიის სამზარეულოში. იგი წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს ტრადიციულ კერძში ბრინჯთან ერთად. პოლიციის განცხადებით, 16 გაქცეულის დაკავება უკვე შეძლეს, თუმცა ორი მათგანი კიდევ მალვაშია.

"როლინგსტოუნზის" ბასისტი თავის ნახატებს ყიდის



"როლინგსტოუნზის" ბას-გიტარისტი რონი ვუდი საკუთარ შემოქმედებას ყიდის. 59 წლის მუსიკოსის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა ლონდონის გალერეა Scream-ში. ვუდის ნახატები შეფასებულია ათობით ათას ფუნტად: მუსიკოსის "აბსტრაქტული მარტორქა" შეფასებულია 60 ათასად. საავტორი ანაბეჭდი ვუდის ნაშრომიდან ასევე არ არის იაფფასიანი: ნაშრომი "ჩარლი უოტსი დეპრესიაში" მომავალ მყიდველს 950 ფუნტი დაუჯდება. რონი ვუდი თავის შემოქმედებას 1980 წლიდან წარუდგენს საზოგადოებას. იგი ხატავს შოუბიზნესის კოლეგებს, პეიზაჟებსა და ცხოველებს. მუსიკოსის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ რონი ვუდი აშშ-ში საკუთარი შემოქმედების საავტორო ასლების გაყიდვაში ლიდერობს.

როკ-ენ-როლი და პოლიტიკა

ინგლისელი დრამატურგის ტომ სტოპარდის პიესის მიხედვით დადგმულმა ახალმა სპექტაკლმა "როკ-ენ-როლი" პირველივე თვეში წარმატება მოიპოვა და ლონდონის თეატრ "დიუკ ოფ იორკის" სცენაზე რეკორდი მოხსნა. როგორც ლონდონის პრესა იუწყება, ანშლაგით ჩავლილი პიესის დადგმა ბროდვეიზეც იგეგმება. სპექტაკლის რეჟისორი ტრევორ ნანია. ამ სპექტაკლამდე მან ტომ სტოპარდის ორი წარმატებული პიესა "არკადი" (1993 წ.) და "უტოპიის ნაპირი" (2002 წ.) დადგა. "როკ-ენ-როლში" თამაშობენ მსახიობები: ბრაიან კოქსი, დევიდ კალდერი, რუფუს სიულერი და შინიდ კიუსაკი. სპექტაკლში გადმოცემულია როკ-მუსიკის როლი პოლიტიკის ისტორიაში. სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდნენ ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი და მიკ ჯაგერი.

იუმორის ფესტივალი ქუთაისში

ქუთაისი იუმორის პირველ რესპუბლიკურ ფესტივალს უმასპინძლებს.

როგორც ფესტივალის დირექტორმა ირაკლი ჯაოშვილმა განაცხადა სამდღიანი ფესტივალი "იუმორის ქალაქი - ქუთაისი 2006" 28 სექტემბერს გაიხსნება და მასში მონაწილეობას ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მიიღებენ.

ფესტივალის ფარგლებში თეთრ ხიდზე საზეიმო ვითარებაში გახსნიან "პიკასოს ბიჭის" ქანდაკებას, მოეწყობა გამოსვლები ღია სცენაზე ნომინაციებში: პაროდია-იმიტაცია, კაფია-შაირი, მონოლოგი, ფელეტონი, მიმოდრამა, კარიკატურა-შარჟი, ფოტო-იუმორი და სხვა.

გამომსვლელები იქნებიან არაპროფესიონალი შემსრულებლები საქართველოს ყველა კუთხიდან. ფესტივალის ყველა მონაწილე სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდება. ფესტივალი გალა-კონცერტით დაიხურება. ამ მიზნით, ქუთაისს ესტრადის პოპულარული მომღერლები ესტუმრებიან.

ფესტივალის ორგანიზატორია ქუთაისის ადგილობრივი თვითმართველობის კულტურის სპორტისა და ტურიზმის სამმართველო.

ინტერპრესნიუსი

ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასი

30 სექტემბერს ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასი დონეცკში დაგეგმილ საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. როგორც ოპერისა და ბალეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამარ მოდებაძემ განაცხადა, ფესტივალზე დასი ერთმოქმედებიან საბალეტო სპექტაკლებს წარმოადგენს. ესენია - "წამი გარდასახვამდე" (ქორეოგრაფი ქრეინ მაკენტაიენი), "აპოლონ მუსაკეტი" (ქორეოგრაფი ჯორჯ ბალანჩინი), "სიზმრები სანაპიროზე" (ქორეოგრაფი ალექსანდრე რატანსკი), "გრინი" (ქორეოგრაფი სტენტლ უელსი) და "დონიცეტი - ვარიაციები" (ჯორჯ ბალანჩინი). აღნიშნული ერთმოქმედებიანი ბალეტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 21, 23, 24 და 25 სექტემბერს დაიდგმება. საბალეტო დასი საქართველოში 4 ოქტომბერს დაბრუნდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ანსამბლი "რუსთავი"

ანსამბლი "რუსთავი" საშემოდგომოდ გასტროლებს ბალტიისპირეთში გეგმავს. ანსამბლი კონცერტებს ლიტვასა და ლატვიაში გამართავს.

ლიტვის საინფორმაციო საშუალებების განცხადებით, ანსამბლი მუსიკალურ სპექტაკლს "ქართულ ქორწილს" წარადგენს, რომელიც ქორწინების ხალხურ რიტუალებთან დაკავშირებულ ვოკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებს აერთიანებს.

"ქართული ქორწილის" დადგმა ვასი ჩიგოგიძეს ეკუთვნის, რომლის პირველი გასტროლები მიმდინარე წლის გაზაფხულზე შვეიცარიის, ფინეთისა და ესტონეთის 23 ქალაქში შედგა.

საგასტროლოდ ანსამბლი თავდაპირველად ლიტვას ეწვევა და ვილნიუსსა და კლაიპედაში გამართავს კონცერტებს. შემდეგ ლატვიაში გადაინაცვლებს. ბილეთების დაჯავშნა უკვე დაწყებულია.

ჯი-ეიჩ-ენი

შერეული გამოფენა "კოპალაში"

გალერეა "კოპალაში" შერეული გამოფენა მიმდინარეობს. მასზე ფერწერა და ქანდაკებაა წარმოდგენილი, რომლებიც როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის ხელოვანთა მიერ არის შესრულებული. როგორც გალერეის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ქეთი ბენდელიანი აცხადებს, ნამუშევრებს შორის არის სერგო ცქიტიშვილის, ალექსი მესხიშვილის, რეზო ადამიას, კოკა იგნატოვის და სხვათა ნამუშევრები. ექსპოზიციაში 50-მდე ნამუშევარია გამოფენილი. გამოფენა "კოპალაში" ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

მიმდინარეობს შპს "ევროცენტრი"-ს ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ მხარეებს შეგიძლიათ მოგვმართოთ მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N54.

შპს "ევროცენტრი"-ს ადმინისტრაცია

განცხადება ცვლილების შესახებ

2006 წლის 18 აგვისტოს შპს "საქაერონავიგაციის" მიერ საქართველოს საჰაერო სივრცეში არსებული ტრასების, დერეფნებისა და სამოქალაქო აეროდრომების აფრენა-დაფრენის სექტორში საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შპს "საქერონავიგაციის" საქმიანობის დაზღვევის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების მე-3 და მე-4 პუნქტებში შევიდა შემდეგი ცვლილებები: მე-3 პუნქტი - ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 4 ოქტომბრის 17:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია"; მე-4 პუნქტი - პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება (ფასის) ღირებულების მითითების გარეშე, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 4 ოქტომბრის 10:00-დან 17:00-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".

სატენდერო კომისია

დედა მზია კახეთელიძე, მეუღლე თამრიკო ძნელაძე, შვილები თამთა, გიორგი, დები მედეა, ნინო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასიკო კოკის ძე გოცირიძე

გამოსვენება 7 სექტემბერს 3 საათზე. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

56-ე საჯარო სკოლაში იხსნება ქართული კლასები.

მისამართი: ფალიაშვილი N34

ტელ: 23-58-12

22-35-85

ახალი ფორმები ძველ ფოლკლორს

ფოლკლორის მხარდასაჭერი პროგრამა 16 სექტემბერს დაიწყება

ია ვეკუა



მინისტრი ფორაქიშვილებთან.

ფოლკლორი ის სფეროა, რომელთან დაკავშირებითაც არასდროს იჩენს თავს აზრთა სხვადასხვაობა - ერთმნიშვნელოვანია, რომ მისი მოფრთხილება და განვითარება აუცილებელია. "ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული საპრეზიდენტო პროგრამა", რომელსაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს, სწორედ ამ მიმართულებებს ითვალისწინებს. პროგრამა საკმაოდ მოცულობითია და თითქმის მთელ წელზეა გათვლილი. პროგრამის პირველ ნაწილს კი 16 სექტემბერს დაგეგმილი გრანდიოზული ფესტივალის სახით ვიხილავთ.

პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე მილიონნახევარი ლარით ფინანსდება, მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა სლაიდების დახმარებითა და ფოლკლორის სფეროს დამსახურებული მოღვაწეების თანდასწრებით თავად გაგვაცნო. პროგრამაში ჩადებული პრიორიტეტები სწორედ ამ უკანასკნელთა რჩევებისა და იდეების გათვალისწინებით დადგინდა. ანზორ ერქომაიშვილის, გიორგი უშიკიშვილის, ჯემალ ჭკუასელისა და მათი კოლეგების განსჯის შედეგად შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

საქართველოს 55 რაიონის 81 ფოლკლორულმა ანსამბლმა ქართული ეროვნული ინსტრუმენტები მიიღო საჩუქრად. ასევე ამ ანსამბლების 2106 მოეკვეთა და მომღერალი ეროვნული სამოსით დასაჩუქრდა. წელს ამ სახის საჩუქარი მხოლოდ რაიონების ანსამბლებმა მიიღეს. მათი მდგომარეობა სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა და დაადგინა, რა სახის დახმარებას საჭიროებდნენ. წელს ამავე საჩუქარს კიდევ ასი ანსამბლი მიიღებს.

მინისტრ გაბაშვილის თქმით, სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული სამკერვალოები დღემდე კერავენ ფორმებს და იმედი გამოთქვა, რომ 16 სექტემბრისთვის ყველა ანსამბლი მიიღებს კუთვნილ საჩუქარს. თუმცა თუ ვერ მოასწრებენ, ატირებულ ბავშვებს ძველი ფორმებით მოუწევთ მთავრობის გახალისება.

16 სექტემბერს კი თბილისი ახალი ფორმებითა და ინსტრუმენტებით აღჭურვილ 81-ვე ანსამბლს უმასპინძლებს. ამ დღისთვის თბილისის თითქმის ყველა რაიონში დაახლოებით 15 სცენა აიგება, რომელზეც სხვადასხვა რაიონის ანსამბლები საკუთარ ხელოვნებას წარმოადგენენ. ფესტივალი დილიდან დაიწყება და საღამოს რიყეზე დაგეგმილი გალა კონცერტით დაიხურება. დასკვნით წარმოდგენაში ფესტივალის ყველა მონაწილე წარდგება. თუმცა ფესტივალი მხოლოდ კონცერტებით არ შემოიფარგლება. მოხალისეები თბილისის მერიის მიერ სპეციალურად ამ დღისთვის შეძენილ ყურძენს დაწურავენ, რაც გაბაშვილის თქმით, ქართულ ღვინოზე რუსული ემბარგოს წინააღმდეგ გალაშქრებაც იქნება. არ ვიცით, რუსებს რამდენად მოხვდებათ გულზე ამგვარი კოლექტიური საწნახელი, მაგრამ ხალხი რომ გაერთობა, ფაქტია.

ნაკლებად გასართობი, თუმცა ფრიად შინაარსიანია პროგრამის შემდეგი ნაწილი: გაცვლითი პროგრამა. ამ პუნქტის თანახმად, საქართველოს 10 დიდ ქალაქში სხვადასხვა რაიონების ანსამბლები კონცერტებს გამართავენ. ამ გზით რეგიონული ანსამბლები ერთმანეთის შეღმედებასაც გაეცნობიან და ერთმანეთსაც გაიცნობენ. სამინისტროს უკვე მზად აქვს სავარაუდო მარშრუტების სქემა, რომელიც მთლიან ქვეყანას მოიცავს.

ასევე შემეცნებითია პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მრავალხმიანობის სიმპოზიუმი. თბილისში ოცამდე სხვადასხვა ეროვნების ფოლკლორისტი და ანსამბლი ჩამოვა. დაგეგმილია ერთობლივი კონცერტებიც.

პროგრამის შემეცნებით ნაწილს დაასრულებს მასტერკლასები, რომლებსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილი ფოლკლორისტები გამართავენ. მათ შორის: ისლამ ფილფანი, ილია ზაქაიძე, პოლიკარპე ხუბულავა, ანდრო სიმაშვილი და დურმიშხან გოდერძიშვილი.

ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული საპრეზიდენტო პროგრამა ამ სფეროს ტექნიკურ უზრუნველყოფას ითვალისწინებს. სამინისტრომ უკვე შეიძინა მოძრავი სტუდია და სხვა აპარატურა. მინისტრის თქმით, ამ ტექნიკით შესაძლებელი იქნება რაიონებში შემონახული ფოლკლორის აქამდე უცნობი ნიმუშების ჩაწერა. ამ აპარატურით მოემსახურებიან იმ შემსრულებლებსაც, რომლებსაც არ აქვთ საშუალება ჩაწერონ, გამოსცენ და პოპულარიზაცია გაუწიონ საკუთარ შემოქმედებას. ასეთი მუსიკოსებისთვის სპეციალურად შეიქმნა ხმის ჩამწერი სტუდიაც.

გიორგი გაბაშვილმა ისიც გვაუწყა, რომ ფოლკლორის ფესტივალი "არტ-გენიც" ამიერიდან ამ პროგრამის შემადგენელი გახდება.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge

მოკლედ

"ტრაბზონსპორს" ცარიელი ტრიბუნები მიუსაჯეს

უეფას თასზე თურქეთის "ტრაბზონსპორი" შინაურ კედლებში ორ უახლოეს შეხვედრას ცარიელი ტრიბუნებით ჩაატარებს. შესაბამისი სასჯელით კლუბი მას შემდეგ დასაჯეს, როდესაც ტრაბზონსპორელთა გულშემატკივრები მეორე შესარჩევ წრეში კვიპროსის "ჰაპოელთან" უღირსად მოიქცნენ.

ესპანეთი გიბრალტარს უეფაში არ უშვებს

იანვარში უეფას კონგრესზე განიხილავენ საკითხს, რომელიც ეხება გიბრალტარის ევროპულ საფეხბურთო სამყაროში მიღებას. "ფრანს პრესის" ცნობით, საკითხის განხილვა ლოზანიდან - საერთაშორისო სპორტული სასამართლოდან მოდის. როგორც ცნობილია, გიბრალტარმა უეფაში გასაწევრიანებლად განცხადება შეიტანა 1999 წელს.

ამასობაში ესპანეთის ხელისუფლება გიბრალტარის საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას ეწინააღმდეგება, რადგან გიბრალტარს როგორც სუვერენულ ტერიტორიას არ ცნობენ. მოგეხსენებათ, გიბრალტარი დიდი ბრიტანეთის კონტროლის ქვეშაა. არსებული რეგლამენტის თანახმად, უეფაში გაწევრიანების უფლება აქვთ მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს.

"ბარსელონა" "არსენალს" შეუამხანაგდა

"ბარსელონამ" არგენტინის საფეხბურთო კლუბ "არსენალთან" მრავალწლიან თანამშრომლობაზე თუ პარტნიორობაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი. ყოველ შემთხვევაში, ამაში გვარწმუნებს ესპანური გამოცემა Ole. მოლაპარაკების თანახმად, რომელიც ამოქმედდება 13 სექტემბერს, "ბარსელონას" არგენტინული კლუბიდან მოთამაშის არჩევაში ენიჭება უპირატესობა.

ნისტელროი კარიერის "რეალში" დასრულებას ისურვებდა

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი რუდ ვან ნისტელროი ესპანურ პრესას ატყობინებს, რომ კარიერის დასრულებას მადრიდის "რეალში" ისურვებდა. "მინდა მოვიგო ჩემპიონთა ლიგა და სხვა არაერთი ჯილდო, საკუთარ სურვილებს გვამცნობს ნისტელროი. - ეს სრულად ახალი გამოწვევაა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" ოთხი ტიტულის მოგება მოვასწარი, მაგრამ უფრო მეტი მსურს, "რეალი" კი ამის საშუალებას მაძლევს. თავს 20 წლის ბიჭად ვგრძნობ. ამჟამად "რეალი" საუკეთესოა, რაც კი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში.

ბრიატორე "რენოში" რჩება

ირკვევა, რომ მომავალ სეზონიდან ფინელი მრბოლი ჰეიკი კოვალაინენი "რენოს" საჯინიბოს ღისრებას დაიცავს, ხოლო გუნდის ამჟამინდელი ბოსი ფლავიო ბრიატორე კვლავაც რენოელთა ხელმძღვანელად დარჩება. ამ შემთხვევაში საგულისხმო ისაა, რომ ბრიატორეს 2007 წლიდან ზოგადად ფორმულა 1-დან წასვლას უქადდნენ. ახლა კი "როიტერზე" დაყრდნობით ვიტყობთ, რომ ფრანგული საჯინიბოს იტალიელ თავკაცს გუნდთან ხელშეკრულება 2007 და 2008 წლების სეზონისთვისაც გაუხანგრძლივებია. და კიდევ, "რენოს" ტესტ-პილოტები იქნებიან რიკარდო ზონტა და ნელსონ პიკე-უმცროსი.

შუმახერი ფორმულას ტოვებს!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, "ფერარის" გერმანელი მესაჭე მიხაელ შუმახერი სამეფო რბოლებში ბრწყინვალე კარიერის დასრულებას ამცნობს ფორმულა 1-ის სამყაროს, წასვლით კი სეზონის დასრულების შემდეგ წავა. გერმანული ტაბლოიდური Bild-ის ცნობით, 37 წლის მრბოლი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი შესაბამის განცხადებას გააკეთებს "იტალიის დიდი პრიზის" შემდეგ, რომელიც 10 სექტემბერს "მონცას" ტრასაზე შედგება.

ფედერერმა ნადალი არ გაიკარა

შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჟე ფედერერმა უარი განაცხადა მადრიდში ATP-ის ტურნირზე წყვილებში ითამაშოს ესპანელ რაფაელ ნადალთან. Eurosport-ის ცნობით, ნადალმა ფედერერს წყვილებში თამაში შესთავაზა გასულ კვირას "აშშ-ის ღია ჩემპიონატისთვის" მზადების წინ. ეგაა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ესპანელთან შეამხანაგებაზე უარი თქვა.

კასპაროვი დაბრუნებას არ აპირებს

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში, ამჟამად კი პოლიტიკური მოძრობა "გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის" ლიდერი გარი კასპაროვი სპორტში დაბრუნებას არ აპირებს. ამის თაობაზე თავად კასპაროვმა განაცხადა ონლაინ-ინტერვიუში, რომელიც მან ინტერნეტით გულშემატკივრებს მისცა. "საბოლოოდ გადავწყვიტე შევიცვალო პროფილი. ვაგრძელებ მუშაობას საჭადრაკო წიგნებზე, უკვე დავწერე ექვსი ტომი და კიდევ ექვსს დავწერ. მართალია ჭადრაკში არ დავბრუნდები, მაგრამ საჭადრაკო ცხოვრებას აქტიურად ვადევნებ თვალყურს. ჭადრაკში იმაზე მეტს მივაღწიე, ვიდრე ვოცნებობდი, მიმაჩნია, რომ ადამიანმა თავისი მოღვაწეობის არეალი მუდმივად უნდა გააფართოვოს და ამიტომაც ახლა უკვე პოლიტიკურ კარიერაზე ვფიქრობ", - აცხადებს გარი კასპაროვი.

"იუვე" ფეხბურთელებს კვლავ კარგავს

მაურო კამორანეზი მომავალ სეზონს "იუვენტუსთან" ერთად სერია B-ში დაიწყებს, მაგრამ იტალიის ნაკრების ნახევარმცველი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე დატოვებს ტურინულ კლუბს. მას შემდეგ რაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ "ბებერი ქალბატონი" მკაცრად დასაჯა, კლუბი თითქმის ყველა ლიდერმა მიატოვა. თითქოს კამორანეზი უნდა დარჩენილიყო "იუვენტუსში", მაგრამ ფეხბურთელმა მაინც გაიტანა თავისი და ზამთარში აუცილებლად დატოვებს კლუბს.

მალდინის ფინალში თამაში სურდა

პაოლო მალდინიმ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დატოვა იტალიის ნაკრები. მიუხედავად იმისა, რომ პაოლოს მთელი იტალია ეხვეწებოდა ნაკრებში დარჩენას, ვეტერანმა ფეხბურთელმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მხოლოდ საკლუბო კარიერას დაუთმო თავისი დრო. ახლა კი, როცა იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მალდინი ეტყობა ნანობს, რომ ნაკრებში არ იყო.

ფინალის შემდეგ უამრავმა ადამიანმა დამირეკა და ნაკრების გამარჯვება ისე მომილოცა, თითქოს მეც მეთამაშოს. სამწუხაროდ, იმ დღეს იტალიის ნაკრების შემადგენლობაში არ ვყოფილვარ. გული მწყდება, რომ ეს ტრიუმფი მეც არ მეკუთვნის", - განუცხადა მალდინიმ იტალიელ ჟურნალისტებს.

გალასი "ჩელსის" უჩივის

ბრიტანული გაზეთი "დეილი მირორი" ირწმუნება, რომ საფრანგეთის ნაკრების მცველი უილიამ გალასი ლონდონურ კლუბ "ჩელსის" სასამართლოში უჩივლებს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც "არისტოკრატების" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გალასი აშანტაჟირებდა "ჩელსის" და იმუქრებოდა, რომ საკუთარ კარში გაიტანდა გოლებს, თუ მას "არსენალში" არ გაუშვებდნენ. ფრანგი მცველი კატეგორიულად უარყოფს ყველა ბრალდებას და ამბობს, რომ "ჩელსის" მესვეურებს ცილისწამებისთვის უჩივლებს. "გაკვირვებული და გაოგნებული ვარ "ჩელსის" ხელმძღვანელების მიერ გაკეთებული კომენტარებით, ასეთი რამ არასდროს მითქვამს. აზრადაც არ მომივიდოდა გუნდის დაშანტაჟება და მით უმეტეს საკუთარ კარში გოლების გატანა," - აცხადებს გალასი.

"დეილი მირორის" ინფორმაციით, გალასი ამჟამად ადვოკატებთან გადის კონსულტაციებს და ცილისწამებისთვის ჩივილს აპირებს.

ჩვენ უკვე (ერთი) გუნდი ვართ!

მე მინდა, რომ... ჩვენ ბევრი რამ გვინდა.
რა ხანია, არ გვითქვამს, ვიბრძოლეთ მაგრამ წავაგეთო. უკრაინასთან ვიბრძოლეთ და წავაგეთ. არადა, უნდა მოგვეგო. ჰო, უნდა მოგვეგო. არა მგონია, ვინმეს გუშინ ენა შემობრუნებოდა და ეთქვა, ბიჭებმა არ ითამაშესო. ბიჭებმა ითამაშეს. თანაც როგორ - ბოლო წუთამდე სისხლი დაღვარეს. ხმამაღალი ნათქვამია? არა მგონია. მან, ვინც მართლა ფეხბურთის გულშემატკივარია, ეს არ უნდა თქვას. მსაჯის საფინალო სასტვენმდე საქართველოს ნაკრები იბრძოდა. იბრძოდა ბოლომდე. წაგების ღირსი მართლა არ ვიყავით. და თუ ვინმე იტყვის, ემოციებსაა აყოლილიო, საკუთარ გულში ჩაიხედოს.
...რბილი ნათქვამი იქნებოდა, ფრეს ვიმსახურებდითო. არავითარი ფრე! გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი წაგების ღირსი იყო. ბლოხინის გუნდი არ იმსახურებდა გამარჯვებას. ჩვენ უნდა მოგვეგო. კარგი იქნებოდა საფრანგეთთანაც გვებრძოლა, მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ. ზედმეტად ვიცით სხვათა გაღმერთება, პატივისცემა და ეს გუნდის გერმანელმა მწვრთნელმა უმალ შენიშნა. არ ვამბობ, გინდა თუ არა მათთანაც უნდა მოგვეგოო, მაგრამ რომ არა ზედმეტი მოკრძალება თუ რიდი, იმას მაინც ვიტყოდით, ვებრძოლეთ, მაგრამ წავაგეთო. ანუ ვიტყოდით იმას, რაც თანამედროვე ქართული ფეხბურთისთვის ჩვეული პოზაა.

უკრაინა - საქართველო
გოლები: 1:0 შევჩენკო (31), 1:1 არველაძე (37), 1:2 დემეტრაძე (60), 2:2 როტანი (61), 3:2 რუსოლი (80)
გაფრთხილება: გოგუა (24), დემეტრაძე (38), ეზერსკი (59), ხიზანიშვილი (88), არველაძე (88)
უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, რუსოლი, შევჩენკო, შელაევი, გუსევი, რებროვი (ვორონინი 57), გუსინი (ეზერსკი 46), ტკაჩენკო (ვორობეი 64), როტანი
საქართველო: ჭანტურია, კვირკველია (მუჯირი 82), კობიაშვილი, არველაძე, ხიზანიშვილი, გოგუა, ასათიანი, მენთეშაშვილი (იაშვილი 89), კანკავა, დემეტრაძე, იმედაშვილი (კანდელაკი 35)

გიგა გურასაშვილი

და საერთოდ, მგონი არ ღირს, მონახაზებსა თუ ტაქტიკაზე საუბარი. გუშინ ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით. მორჩა და გათავდა! ოღონდ ნუ იტყვით, უკრაინაა რა ძმაო! უნდა მოეგო და მოიგოო. ეს თუ ის ნაკრებია, რომელმაც გერმანულად დავარცხნილ მინდვრებზე ითამაშა, მაშინ ჩვენც, უფრო სწორად, ეს თაობა იმის ღირსია, რომ ერთხელ მაინც გააგოროს ბურთი, მსოფლიოს თუ არა, ევროპის ჩემპიონატზე (ეს უკვე ხმამაღალი ნათქვამია).

დარწმუნებული ვარ, ბევრმა გუშინ ასეც თქვა: ესეც შენი საქართველოს ნაკრებიო. მაგრამ იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ამ დროს თითოეულ მათგანს ყელში ბურთი ჰქონდა გაჩხერილი.

ძალიან მინდოდა მალხაზ ასათიანს გოლი გაეტანა. ხვდებით რატომაც. მინდოდა ბოლო წუთებზე მუჯირსაც შეეგდო. ისიც მინდოდა, რომ მოგვეგო, მაგრამ... სასიამოვნო იყო დემეტრაძის მიერ გამოყენებული სტანდარტული სიტუაცია. არადა, გახსოვთ ჩვენთვის ეს ყოველთვის ფუფუნება იყო, გუშინ კი დემეტრაძემ საჯარიმო ხუთიანზე შეასრულა, ისევე როგორც ფრანგებთან შეხვედრაში. მართალია, 2 სექტემბერს ყოველივეს შედეგი არ მოყოლია, მაგრამ აშკარაა, გუნდს დაეტყო სტანდარტული სიტუაციების შედეგიანად თუ არა სახიფათოდ შესრულება. პროლოგში კი არველაძის გოლმა ხმა ჩაგვიხლიჩა.

როგორც წესი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციებზე ჩემს კოლეგებს უყვართ კითხვის დასმა: რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით? გუშინდელი შეხვედრის შემდეგ შესაბამისმა კითხვამ აქტუალობა დაკარგა - ყველამ ბოლომდე ითამაშა. ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო და მეც გამოგიტყდებით: ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ საფრანგეთთან 0:3 წაგების შემდეგ ბიჭები ფეხბურთს ითამაშებდნენ. ფსიქოლოგიურად გატეხილები და რწმენადაკარგულები მეგონნენ. ყოჩაღ კლაუს ტოპმიოლერს, რომ გუნდს საბრძოლო სულისკვეთება აღუდგინა.

ვიცი, რომ შვეიცარია-ავსტრიის საგზური სხვებს დარჩებათ, მაგრამ მინდა, საევროპო ციკლის დასრულების შემდეგ ჩვენზე თქვან: ქართველებს მაგარი გუნდი ჰყოლიათო.

და საერთოდ, ბევრი რამ მინდა. მინდა, რომ ფეხბურთი ვითამაშოთ, მინდა, რომ გამარჯვების სიხარული ვიგემოთ, მინდა, რომ რაღაც მოვიგოთ...

გული იმაზე მწყდება, რომ ქართველების მიერ უკრაინელთა კარში გატანილი მეორე გოლის სიხარული არ მაცალეს. მასპინძლებს ორიოდე წუთის შემდეგ რომ გაეთანაბრებინათ, ალბათ, ამდენს არც ვინერვიულებდი. გული იმაზეც მწყდება, რომ 2 სექტემბერს საფრანგეთს სამივე ბურთი ჩვენ ვაჩუქეთ. კიდევ კარგი ამას "მამლების" დამრიგებელი რაიმონ დომენეკიც ამბობს, თორემ გულშემატკივართა რისხვას ვერ გადავურჩებოდი. განა, ისედაც არ მოგვიგებდნენ, მაგრამ როდესაც ის ბურთები ჩვენვე მივართვით ხონჩით, ესაა გულდასაწყვეტი.

წინ იტალიაა. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი, რომელმაც ლიტვასთან 1:1 ითამაშა.

ახლა ვიძახოთ დიდ ხანს გელოდით, ახლა ჩვენი დროა. სამწუხაროდ ჯერ ჩვენი დრო არაა. ნაკრები ახლა ყალიბდება, მას კი როგორც ჩვილ ბავშვს მოვლა, ყურადღება სჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ჯერ გამართული, შეხმატკბილებული გულშემატკივრობა გვაქვს სასწავლი. და თუ ჩვენ ქომაგობა ვერ გვისწავლია, ნაკრებს რას ვთხოვთ? არადა, თითქოს ყველაფერი მარტივია, არა? ნათქვამია, სხვის ომში ყველა ბრძენიაო.

მე მინდა, რომ... და საერთოდ, ჩვენ ბევრი რამ გვინდა. ევროპის ჩემპიონატზე თამაში გვინდა!

ლიტვა - შოტლანდია 1:2
საფრანგეთი - იტალია 3:1
უკრაინა - საქართველო 3:2

შოტლანდია	2	2	0	0	8:1	6
საფრანგეთი	2	2	0	0	6:1	6
საქართველო	3	1	0	2	8:6	3
უკრაინა	1	1	0	0	3:2	3
ლიტვა	2	0	1	1	2:3	1
იტალია	2	0	1	1	2:4	1
ფარერები	2	0	0	2	0:12	0

ნერვების თამაში

ვასილ უდუმაშვილი

ავსტრია - საქართველო 63:68

თითქოს საქართველოს ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდის წევრები შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს გუშინდელ საღამოს მთლიანად დაეხარჯვინათ გულშემატკივრებისთვის ადრენალინი. საოცრად დარამატული და საკმაოდ სამწუხარო მარცხის შემდეგ, რომელიც ქართველმა ფეხბურთელებმა უკრაინაში განიცადეს, გულშემატკივრებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ კალათბურთელები მაინც არ გვანერვიულებდნენ და ავსტრიაში დაგეგმილ გამარჯვებას მოიპოვებდნენ. თუმცა რად გინდა, ჩვენმა კალათბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ტელევიზორების ეკრანებთან შეკრებილ უამრავ გულშემატკივარს ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონოდა.

არადა ავსტრია-საქართველოს მატჩი ისე დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა ქართველ კალათბურთელებს რამე გაუჭირდებათო. ტაირონ ელისის ზედიზედ სამი ზუსტად შესრულებული სამქულიანის შემდეგ იმის შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, რომ ჩვენები ავსტრიის ნაკრებს ლუქსემბურგის დღეში ჩააგდებდნენ. როგორც ჩანს, ეს მცდარი შთაბეჭდილება ქართველ კალათბურთელებსაც შეექმნათ და შეხვედრის პირველი ნახევარი ჩვენი ნაკრებისთვის და მისი გულშემატკივარისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. თავად განსაჯეთ, იყო ეპიზოდი, როცა ავსტრიელები 19 ქულას იგებდნენ. ფაჩულია ვერაფერს აკეთებდა, ელისმა სამი ზუსტად შესრულებული სამქულიანის შემდეგ თამაში დაივიწყა, ბოისას საერთოდ არ წაუვიდა თამაში, ცინცაძე, რომელმაც თბილისში, შეძლება ითქვას, მარტომ მოუგო ლუქსემბურგს, საკუთარ აჩრდილს წააგავდა და ასე შემდეგ. მოკლედ, შეხვედრის პირველი სამი-ოთხი წუთის შემდეგ მოედანზე კალათბურთს ავსტრიელები თამაშობდნენ, გორდონ ჰერბერტის ბიჭები კი მეტოქეს ხელსაც კი ვერ უშლიდნენ.

შეხვედრის მეორე ნახევარი რადიკალურად განსხვავდებოდა პირველისგან. ქართველებმა გაიხსენეს, რომ რანგით გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე ავსტრიის ნაკრები, ბოლოს და ბოლოს ავსტრიის ნაკრების მწვრთნელმა იქაურ გულშემატკივარს თამაშის წინ მიმართა, მოდით შეიძლება ვერ მოვიგოთ, მაგრამ საქართველოს ნაკრებში NBA-ს კალათბურთელები თამაშობენ და მათი ხილვით მაინც ისიამოვნებთო. სწორედ მეორე ტაიმში გამოჩნდა საქართველოს ნაკრების ძალა. რაც მთავარია, ათამაშდა ფაჩულია და როგორც გუნდის ლიდერს შეეფერება, გადამწყვეტ მომენტში თამაში საკუთარ თავზე აიღო.

შეხვედრის მესამე მეოთხედში საქართველოს ნაკრებმა 17 ქულიანი ჩამორჩენა ფაქტობრივად მინიმუმამდე დაიყვანა, ბოლო გადამწყვეტ მეოთხედში კი საბოლოოდ გატეხა ავსტრიელთა გუნდი და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაც მოიპოვა.

აღსანიშნავია ზაზას თამაში მატჩის ბოლო წუთებში. როცა საქართველოს ნაკრები ოთხ ქულას იგებდა და შეტევაზე ავსტრიელები იყვნენ ფაჩულიამ ბლოკშოტით ჩაშალა მეტოქის შეტევა. შემდეგ კი უკვე მეტოქის ფარზე მოხსნა ბურთი და ამას ორი ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა. ალბათ სწორედ ამ მომენტმა გადაწყვიტა თამაშის საბოლოო ბედი და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ზაზა ნაკრების ნამდვილი ლიდერია და ტყუილად არ გვითხრა ავსტრიაში გამგზავრების წინ, უცხოელს საქართველოს ნაკრებში არ გავა-ლიდერებო.

მიუხედავად გამარჯვებისა ქართველი კალათბურთელების თამაშმა გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც დატოვა. შესაძლოა ვინმეს პარადოქსულადაც მოეჩვენოს რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ ფეხბურთელთა წაგების შემდეგ ასეთი განცდა ნამდვილად არ ყოფილა, ტოპმილერის შეგირდებს გარკვეულწილად არ გაუმართლათ, მათ თავი დადეს და წააგეს, აი კალათბურთელებისგან კი აშკარად მეტს ველოდით. დიახ, მიზანი მიღწეულია და ავსტრიაში გავიმარჯვეთ, მაგრამ ასეთი თამაშით ფინეთთან გამარჯვება თითქმის წარმოუდგენელია. ის, რაც ავსტრია-საქართველოს მატჩის პირველ ტაიმში ხდებოდა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ან ჩვენმა ბიჭებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს მეტოქე, ანდა მათ მატჩის წინ უბრალოდ რაღაც დაემართა და ერთი ტაიმის განმავლობაში გონზე მოდიოდნენ.

ფაჩულია ავსტრიაში საუკეთესო იყო.

9 სექტემბერს ქართველებს ისლანდიის ნაკრებთან მოუწევთ თამაში. ცხადია, ამ გუნდის დამარცხება რთული არ იქნება, თუმცა ალბათ ჰერბერტმა ისლანდიასთან მატჩი იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ გუნდი ფინელებთან საომრად მოამზადოს. ავსტრიაში მოგების შემდეგ ელიტაში მოსახვედრად საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ფინეთის ნაკრები დარჩა ბარიერად.

24 საათი B

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

© გაზეთი 24 საათი

რთველი 2006

ტენდენციები და პერსპექტივები

რუსული ნავთობი ბულგარეთსა და საბერძნეთზე გაივლის

"იტერა" ვალს ითხოვს

B2

ბაფეტი კვლავ დაქორწინდა

B3

ეთერ მამულაშვილი
დიანა ჩაჩუა

ორი დღის წინ კახეთში რთველი დაიწყო. წელს ამ რეგიონში ყურძნის უხვ დოვლათს ელოდებიან. რა ბედი ელის ამ მოსავალს და კახელ გლეხს, როდესაც ქართული ღვინის გასაღების უმთავრესი ბაზარი - რუსეთი კვლავ ჩაკეტილი რჩება? ეს კითხვა საქართველოში ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე, ცნობილი რუსული ემბარგოს შემდეგ დაისვა. ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა თავდაჯერებულად აცხადებს, რომ რთველი კარგად ჩაივლის და გლეხს ამაგი დაუფასდება. რთველის "ლაზათიანად" ჩატარებაში კი მეღვინეებს მხარდაჭერა ყველა შესაბამისმა ფინანსურმა ინსტიტუტმა აღუთქვა. კახელ გლეხებს დახმარებას პრეზიდენტიც ჰპირდება, ფრიად ორიგინალური "რეცეპტით" - ბიზნესმენებზე, როგორც თავად აღნიშნა, პირველად და უკანასკნელად "მსუბუქი რეკეტი" გამოიყენა.

ყურძნის მოსავალი (ტონებში)

წელი	კახეთში	მთლიანად საქართველოში
2003	90.592	200.000
2004	85.377	180.000
2005	128.355	250.000

B4

"გაზპრომი" წამგებიან პირობებზეც თანახმაა

მერაბ ლორთქიფანიძე

რუსული გაზის გიგანტი, კომპანია "გაზპრომი", ჩრდილო-ევროპული გაზსადენის მშენებლობისას, თავის ევროპელ პარტნიორებთან მნიშვნელოვან დათმობებზე მიდის. ყველაზე მთავარი დათმობა ისაა, რომ "გაზპრომი" თანახმაა, სრულად გადაიხადოს ჩრდილო-ევროპული გაზსადენის სატრანზიტო მომსახურების გადასახადი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზსადენი სრულად არ იქნება დატვირთული, ან თუ მისი მილის მშენებლობა დაგვიანებით დასრულდება.

თუ გაზსადენის მშენებლობა დროულად არ დასრულდება, მაშინ რუსულ "გაზექსპორტს" ყოველი დაგვიანებული და გაცდენილი დღე უზარმაზარ თანხებად დაუჯდება...

B2

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3438
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1,9832
1	არაბული დირჰამი	AED	0,4757
1	აშშ დოლარი	USD	1,7470
1000	ბელორუსიული მანათი	BYR	0,8157
1	ბულგარული ლევი	BGL	1,1458
1	დანიური კრონი	DKK	0,3004
1	ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3044
1	ევრო	EUR	2,2407
10	ესტონური კრონი	EEK	1,4323
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,3360
1	თურქული ლირა	TRY	1,2077
10	იაპონური იენი	JPY	0,1510
1	ინგლისური ბირვანქა ს	GBP	3,3184
1000	ირანული რეალი	IRR	0,1902
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,2526
1	ისრაელის სეკელი	ILS	0,3996
1	კანადური დოლარი	CAD	1,5746
1	ლატვური ლატი	LVL	3,1996
10	ლიტვური ლიტი	LTL	6,5029
10	მოლდოვური ლეი	MDL	1,3150
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2759
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5652
10000	რუმინული ლეი	ROL	0,5869
1	რუსული რუბლი	RUB	0,0656
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1154
100	სომხური დრამი	AMD	0,4438
1	ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5166
1000	უზბეკური სუმი	UZS	1,4222
10	უკრაინული გრივნა	UAG	3,4770
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,8103
1	კუვეითური დოლარი	KWD	6,0410
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1390
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4438
1	შვედური კრონი	SEK	0,2403
1	შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4168
1	ჩეხური კრონი	CZK	0,0795
1	ჩინური იუანი	CNY	0,2201
1	ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2246



ყველაზე ცნობადი ბრენდი

McDonald's-ის კონცეფცია ყველგან მუშაობს

გოგა ქიმუცაძე

მთელს მსოფლიოში ძნელად იპოვნით ადამიანს, ერთხელ მაინც McDonald's-ის ჰამბურგერი რომ არ ეგემოს. მართალია, სწრაფ კვებას დღეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომლებიც მის მავნეობაზე მიუთითებენ, მაგრამ კომპანია მაინც სწრაფი ტემპით იფურჩქნება, შარშან მისმა მოგებამ 20,46 მილიარდი დოლარი, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაციამ 44,1 მილიარდი დოლარი შეადგინა.

B3

საქართველოს პრეზიდენტი პოლონეთში რამდენიმე ორმხრივ შეხვედრას გამართავს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამუშაო ვიზიტით პოლონეთში გაემგზავრა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს პრეზიდენტის პრესსამსახურიდან აცნობეს. 6-7 სექტემბერს სააკაშვილი მეთექვსმეტე საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც პოლონეთის ქალაქ კრინიცაში გაიმართება. ფორუმში მონაწილეობას ასევე პოლონეთის პრემიერ-მინისტრი იაროსლავ კაჩინსკი, უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი და ლიტვის პრემიერ-მინისტრი გიადიმინას კირკილასი მიიღებენ. კრინიცას ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი რამდენიმე ორმხრივ შეხვედრას გამართავს, მათ შორის - პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან. პოლონეთში ქართული ღვინის დეგუსტაციაც გაიმართება. ეკონომიკური ფორუმი კრინიცაში 1992 წლიდან ტარდება. წელს მასში 50 ქვეყნის დაახლოებით 1200 წარმომადგენელი მონაწილეობს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

"იტერა" ვალს ითხოვს

საქართველოს ცხრა დასახლებული პუნქტი გაზის გარეშეა დარჩენილი

ნინო ნატროშვილი

საქართველოს რეგიონებს გაზმომარაგების გარეშე დარჩენის საფრთხე ემუქრება. რეგიონებში მოქმედ სადისტრიბუციო კომპანიებს სს "საქართველო-იტერას" წინაშე 6 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდათ. ამ ეტაპზე სს "იტერა-საქართველოსაგან" ბუნებრივ აირს 38 სადისტრიბუციო კომპანია ყიდულობს, აქედან 9 - "იტერას" შვილობილია. ეს კომპანიები ბუნებრივ აირს კასპს, თეთრი წყაროს რაიონს, ბოლნისს, ბორჯომს, ვანს, სამტრედიას, მარნეულს და ხაშურს აწვდიან. ამ რეგიონებს ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენა ჯერ არ ემუქრება, რადგან "იტერა" ვალს თავისი შვილობილი კომპანიებისაგან მოგვიანებით ამოიღებს.

ამ ეტაპზე ბუნებრივი აირის მიწოდება შვიდ სადისტრიბუციო კომპანიას შეუწყდა, რომლებიც ბუნებრივი აირით, ძირითადად, თელავს, სიღნაღს, ყვარელს, ლაგოდეხს, წნორს, ზესტაფონს, გარდაბანს, კაჭრეთს ამარაგებენ. როგორც "24 საათს" სს "იტერა-საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა დავით ბესაძემ განუმარტა, კომპანიამ დისტრიბუტორებს უკვე გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება, რომლის მიხედვითაც დავალიანება სექტემბრის დასაწყისში უნდა დაფარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზის მიწოდება შეუწყდებათ. რუსულმა გაზისმომწოდებელმა კომპანია "იტერამ" საქართველოს რვა რაიონს გაზის მიწოდება უკვე შეუწყვიტა. ამის მიზეზად კომპანიის წინაშე დაგროვილი დავალიანება სახელდება.

"იტერას" ასეთი მკაცრი ნაბიჯისაკენ, გარკვეულწილად, რუსეთის დუმის გადაწყვეტილებამ უბიძგა. დუმის გადაწყვეტილების მიხედვით, ბუნებრივი აირის მხოლოდ ექსპორტის გზით უნდა გაიყიდოს და მოხდეს თანხის დროულად გადახდა. თუ გაზის საფასურს დროულად არ გადავიხდით, შესაძლოა, წინასწარი გადახდის მექანიზმი ამოქმედდეს, რაც მდგომარეობას უფრო გაართულებს. თავის მხრივ, ამ ვალის გადასახდელად "იტერა-საქართველომ" 1 მილიონი ლარის ოდენობის სესხი აიღო საქართველოს ბანკიდან. ამიტომ იძულებული ვართ, გაზი მხოლოდ იმ სადისტრიბუციო კომპანიებს მივაწოდოთ, რომლებიც აირის საფასურს იხდიან," - განუცხადა "24 საათს" დავით ბესაძემ.

მისი თქმით, "იტერა-საქართველო" ზაფხულის პერიოდში 24 საათში 550 ათას კუბურ მეტრ გაზს 110 დოლარად ყიდულობს.

2007 წლის 1 იანვრიდან, შესაძლოა, რუსეთმა გაზის საფასური გაგვიზარდოს. ექსპერტების ვარაუდით, იგი თავისთავად სამომხმარებლო ტარიფზეც აისახება. "გაზპრომის" ახალი სატარიფო სქემის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნების სიაშია შეტანილი, რომლებსაც ბუნებრივი აირის საფასურის გაორმაგება მოელით. ამჟამად საქართველო "გაზპრომს" 1000 კუბურ მეტრ გაზში 110 აშშ დოლარს უხდის. თუმცა შესაძლოა, რომ 2007 წლის იანვრიდან 220 დოლარის გადახდა დაგვჭირდეს.

ამ ეტაპზე "გაზპრომიდან" ტარიფის გაზრდის თაობაზე არანაირი შეტყობინება არ მიგვიღია. ხელისუფლება გაზის მიღების სხვა ალტერნატიული გზების ძიებითაა დაკავებული და ყოველმხრივ ეცდება, გაზი იმ ფასად მიიღოს, როგორც თავად სახელმწიფოს აძლევს ხელს, - განმარტავენ ენერგეტიკის სამინისტროში. შეგახსენებთ, 2006 წლის 31 დეკემბერს საქართველოსა და "გაზპრომს" შორის დადებული ხელშეკრულების ვადა იწურება.

საქართველო 700 000 აშშ დოლარის ღირებულების კომპიუტერულ პროგრამას მიიღებს

აშშ-ს მთავრობა საქართველოს კომპიუტერულ პროგრამას "ორაკლი", რომელიც მონაცემთა ბაზის ფორმირებისთვის გამოიყენება, უსასყიდლოდ გადასცემს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ოთხშაბათის მთავრობის სხდომის წინ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ განუცხადა. მისი თქმით, პროგრამის ღირებულება 700 000 ათასი აშშ დოლარია. აშშ-ს მთავრობა კი მას 55-პროცენტიანი ფასდაკლებით შეიძენს. კომპიუტერული პროგრამა ოთხ უწყებას საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოებს და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებს გადაეცემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აშშ-სა და საქართველოს შორის მემორანდუმი გაფორმდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

კერძო საწარმოების სახელფასო ფონდი წლის დასაწყისიდან 36,7 პროცენტით გაიზარდა

კერძო საწარმოების სახელფასო ფონდი მიმდინარე წლის 8 თვეში 36,7 პროცენტით გაიზარდა. ამის შესახებ ოთხშაბათის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. პრემიერის თქმით, საქართველოში აგვისტოში 3 000 ფორმალური სამუშაო ადგილი შეიქმნა და 3 140 ახალი საწარმო დარეგისტრირდა. ნოღაიდელის განცხადებით, საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი კვლავ წარმატებულია, რაც ადმინისტრაციის გაუმჯობესებისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგია. "საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის ერთობლივი მოქმედების შედეგია აგვისტოში ინფლაციის შემცირება," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისი განმარტებით, მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი 6,4 პროცენტი იყო, აგვისტოს ბოლოს კი 6 პროცენტამდე შემცირდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

რუსული ნავთობი ბულგარეთსა და საბერძნეთზე გაივლის

მერაბ ლორთქიფანიძე

რუსეთმა, საბერძნეთმა და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს ტრანს-ბალკანური ნავთობსადენის მშენებლობის წინასწარ ხელშეკრულებას, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს რუსეთის ნავთობის წილი ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ბაზარზე. რუსეთმა აღნიშნული ნავთობსადენის მშენებლობის იდეა რამდენიმე წლის წინ წამოაყენა, მაგრამ მას შემდეგ მომავალ პარტნიორებთან შეთანხმებას ვერაფრით აღწევდა.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რეპორტიორებთან შეხვედრისას, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანლისმა განაცხადეს, რომ სამ მხარეს შორის, ნავთობსადენის მშენებლობაზე საბოლოო კონტრაქტი წლის ბოლოს გაფორმდება. მათ გარდა, ათენში ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის პრეზიდენტმა გეორგი პარვანოვმაც.

წინასწარი მონაცემებით, ტრანს-ბალკანური ნავთობსადენის მშენებლობა 700 მილიონი ევრო დაჯდება. მისი მეშვეობით ნავთობი შავი ზღვიდან ეგეოსის ზღვაში მდებარე ბერძნულ პორტში გადაიტვირთება, საიდანაც ტანკერების მეშვეობით ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებში გაიყიდება.

პუტინის თქმით, რუსეთმა უპირატესობა ტრანს-ბალკანურ ნავთობსადენს მიანიჭა, რადგან ბოსფორის სრუტით დიდი ზომის გემების მოძრაობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია და, აქედან გამომდინარე, ამ სრუტით დიდი რაოდენობით ნავთობის გატანა შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ბოსფორის სრუტეში ხშირია გემების რიგები, რაც მიწოდების დაგვიანებას იწვევს. სპეციალისტების შეფასებით, ნავთობკომპანიებს გადაზიდვის

დაგვიანება წლიურად დაახლოებით მილიარდი დოლარი უჯდებათ.

სამ ქვეყანას შორის მოლაპარაკება 14 წელიწადს გრძელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში მათ ბევრი საკითხი ჰქონდათ სადავო. მაგალითად, არ ხერხდებოდა შეთანხმება იმაზე, თუ ვისი ხარჯებით უნდა აშენდეს ნავთობსადენი, როგორ განაწილდება მისი და ნავთობტერმინალების მფლობელობა და რამდენი იქნება სატრანზიტო გადასახადები.

პროექტის მიხედვით, ნავთობსადენის სიგრძე 285 კილომეტრია. ის ბულგარეთის ქალაქ ბურგასიდან საბერძნეთის სანაპირო ქალაქ ალექსანდროპოლისამდე (მდებარეობს ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთის სანაპიროზე) გაგრძელდება. მისი თითქმის ნახევარი (155 კმ) ბულგარეთის ტერიტორიას გაივლის. ბურგოსამდე კი ნავთობს რუსული ტანკერები გადაზიდავენ, იქიდან ის ნავთობსადენით ალექსანდროპოლისის ტერმინალში ჩავა, საიდანაც კვლავ ტანკერებში ჩაიტვირთება.

წინასწარი მონაცემებით, ნავთობსადენის დღიური გამტარუნარიანობა 800 000 ბარელი უნდა იყოს. მშენებლობის დასრულებისთვის ნავთობსადენის წლიური გამტარუნარიანობა 10 მილიონი ტონა იქნება, სამი წლის შემდეგ კი გადაზიდვის მოცულობა 35 მილიონ ტონას მიაღწევს. თუ რამე არ შეიცვალა, ნავთობსადენის მშენებლობა წელსვე დაიწყება და, სავარაუდოდ, 2009 წელს დასრულდება.

რუსები იმედოვნებენ, რომ ტრანს-ბალკანური ნავთობსადენი კონკურენციას გაუწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რომლის დღიური გამტარუნარიანობა ამ ეტაპზე 300 000-400 000 ბარელია, მალე კი (2008 წელს) მილიონ ბარელს მიაღწევს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მალე ამოქმედდება თურქეთსა და საბერძნეთზე გამავალი გაზსადენი, რომელიც კასპიის ზღვიდან და ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან ბუნებრივ აირს ენერგორესურსებზე დამშეულ ევროპას მიაწვდის, შეიძლება ითქვას, ეს ორი ქვეყანა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგომომარაგების კვანძად გადაიქცევა.

"არა მგონია, ამ პროექტის შეჩერება ამიერიდან ვინმეს ინტერესებში შედიოდეს," - ამ სიტყვებით დაასრულა ათენში ჩატარებული პრესკონფერენცია საბერძნეთის პრემიერმა.

"გაზპრომი" წამგებიან პირობებზეც თანახმაა

პირველი გვერდიდან

საყურადღებოა, რომ უსასრულოდ ჭიანურდება გაზსადენის მშენებლობის დაწყება და არც ისაა ცნობილი, თუ როდის შევა ის ექსპლუატაციაში. უფრო მეტიც, ჯერ კონკრეტული ბიზნესგეგმა და, აქედან გამომდინარე, მშენებლობის ზუსტი ხარჯებიც კი არაა გაწერილი.

ჩრდილო-ევროპული გაზსადენის ოპერატორობა და მშენებლობა უნდა განახორციელოს სპეციალურად შექმნილმა კონსორციუმმა, სახელად "ნორთ იუროპიან გას პაიპლაინ კომპანი", რომელსაც მალე ოფიციალურად ეწოდება "ნორდ სტრიმი". მისი აქციონერები არიან "გაზპრომი" (აქციების 51%), "ბასფ ვინტერშალი" და "ე.ონ რურგაზი" (თითოეულის წილია 24,5%). მოსალოდნელია, რომ ორივე გერმანული კომპანია მალე 4,5%-ს მიჰყიდის ჰოლანდიურ კომპანია "გაზუინს".

პროექტთან დაკავშირებული ვალდებულებები ერთხანს ჩარჩო ხელშეკრულებით რეგულირდებოდა. 29 აგვისტოს კი მისმა მონაწილეებმა ხელი მოაწერეს გაზსადენის მშენებლობის საბოლოო კონტრაქტს. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ რა დაჯდება ჩრდილო-ევროპული გაზსადენის მშენებლობა. სამაგიეროდ, გაირკვა პროექტის დაფინანსების ასპექტები.

პროექტის ხარჯების 30 პროცენტს ოპერატორი კომპანია "ნორდ სტრიმის" აქციონერები დაფარავენ. ამასთან, გერმანული და ჰოლანდიური კომპანიები ფულად ხარჯებს კისრულობენ, როცა "გაზპრომი" ქონებრივად მიიღებს მონაწილეობას. ეს პუნქტი დაზუსტებული არაა, თუმცა ცნობილია, რომ აქციონერები თანაბრად, წილობრივი მონაწილეობის მიხედვით გაინაწილებენ ხარჯებს.

ხარჯების დანარჩენი 70 პროცენტი კრედიტის აღებით დაფინანსდება. გარედან მიღებული დაფინანსების ძირითადი წყარო იქნება საბანკო გრძელვადიანი (20-წლიანი) კრედიტი. ხარჯის ნაწილს სხვა ინვესტორები გაიღებენ. ზოგიერთი მონაცემებით, ჩრდილო-ევროპული გაზსადენის წყალქვეშა ნაწილის მშენებლობა დაახლოებით 5-6 მილიარდი ევრო დაჯდება.

"გაზპრომის" ვალდებულებაში შედის 2010 წლის ოქტომბრიდან გაზსადენის მუშაობის უზრუნველყოფა. რუსული კომპანია "გაზექსპორტი" ვალდებულია, "ნორდ სტრიმს" დაუფაროს 27,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირების ხარჯები. ამასთან, ვალდებულება იმ შემთხვევაშიც ძალაში იქნება, თუ გაზსადენი დროულად ვერ ამოქმედდება, ან მისი საშუალებით გაცილებით მცირე რაოდენობის გაზის გადაქაჩვა მოხდება. უფრო მეტიც, 2012 წლიდან გადასახდელი იქნება 55 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირების ხარჯები.

ჯერჯერობით, "გაზპრომს" კონტრაქტები მხოლოდ 14 მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე აქვს გაფორმებული. თუმცა, კომპანიის მარკეტოლოგებს ეს სრულებითაც არ აშინებს. მათი თქმით, გაზსადენებისა და ნავთობსადენების მშენებლობისას, ამგვარი ვალდებულებანი ჩვეულებრივი ამბავია. ამ შემთხვევებში მოქმედებს პრინციპი - გადაზიდე, ან გადაიხადე.

კონკრეტულად რა თანხის გადახდა მოუწევს "გაზპრომს" გაზის ტრანსპორტირებისთვის, ეს მას შემდეგ დადგინდება, რაც რუსული გიგანტი "გაზის ტრანსპორტირების ხელშეკრულებას" გააფორმებს თავის გერმანელ პარტნიორებთან. წინასწარი შეთანხმებით, ამ ხელშეკრულებას ხელი მერმის, ზაფხულამდე უნდა მოეწეროს.

სპეციალისტების შეფასებით, ჩრდილო-ევროპული გაზსადენი უკვე რომ მოქმედებდეს, "გაზექსპორტს" "ნორდ სტრიმის" სასარგებლოდ, გაზის ტრანსპორტირებისთვის წლიურად 0.93-1,55 მილიარდი ევროს გადახდა მოუწევდა. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ნორდ სტრიმისთვის" 2032 წლამდე ძალაში იქნება ეგრეთ წოდებული "გაზრდილი ტარიფი", რის ხარჯზეც კონსორციუმი თავის აქციონერებს ინვესტიციებს დაუბრუნებს. 2032 წლიდან კი ამოქმედდება ჩვეულებრივი ტარიფი, რომელიც პროექტის რენტაბელობის ნორმას (10%) უზრუნველყოფს. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს, რომ 2032 წლამდე სრულად დაიფარება ყველა კრედიტი და ვალდებულება.

სამაგიეროდ, "გაზპრომისთვის" ხელსაყრელია პარტნიორებისგან აქციების წილის გამოსყიდვის ოპციონი. რუსული კომპანია ამ უფლებას იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუ პარტნიორებს შორის გადაუჭრელი უთანხმოება წარმოიქმნება. ამასთან, მონოპოლია ვალდებული იქნება, მინორიტარს აუნაზღაუროს ყველა ხარჯები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროექტთან დაკავშირებული საკრედიტო ვალდებულებანი და მასზე დარიცხული დივიდენდები.

აქ მოყვანილ ვადებში აღნიშნულ პირობათა შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა სავალდებულო, თუ აქციონერი კომპანიების მიერ შექმნილი კომიტეტი 1 სექტემბრამდე მოახერხებდა ბიზნესგეგმის დამტკიცებას. თუმცა გეგმა ჯერ ბოლომდე შემუშავებულიც კი არაა. არადა, მასში უნდა დაფიქსირდეს პროექტის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორებიცაა გაზსადენის მშენებლობისა ექსპლუატაციის დაწყების გრაფიკი, ტარიფების დაანგარიშების მოდელი, რომელიც გაითვალისწინებს ხარჯებსა და შემოსავლებს, ასევე გადასახადების ტარიფებს და, რა თქმა უნდა, დაწვრილებითი საინვესტიციო გეგმა.

მოკლედ, თუ გაზსადენის მშენებლობა დროულად არ დასრულდება, მაშინ რუსულ "გაზექსპორტს" ყოველი დაგვიანებული და გაცდენილი დღე უზარმაზარ თანხებად დაუჯდება...

GALT & TAGGART SECURITIES

29 აგვისტო 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სს‌ბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი)

კვირის ბრუნვა	116,075
ბრუნვა წლის დას-დან	45,000,702

	25-აგვისტო-2006		კვირის ცვლილება	ცვლილება წლის დას-დან
GEL/US$	1.741	▲	0.74%	2.87%
G&T Blue Chip Index (US$)	575.0	▲	2.20%	62.90%
G&T Blue Chip Index (GEL)	506.9	▲	1.44%	58.22%

GTBC ინდექსი (GEL) & სს‌ბ საბაჟო მოცულობა (GEL mln)



საქართველოს ბანკის აქციის ფასი



გაცვლითი კურსი GEL/US



თბილისის ფასიანი ქაღალდების ბირჟა (US$ '000)	
კვირის ბრუნვა	13,826
ბრუნვა წლის დას-დან	298,197

მომავალ კვირას	
სს‌ბ-ს სესია No. 69	29 აგვ
სს‌ბ-ს სესია No. 70	31 აგვ

საფონდო ბაზარი

გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 1.44%-ით გაიზარდა 506.9-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 116.1 ათასი ლარი შეადგინა. გასულ კვირას გარიგებები ექვს სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო საქართველოს ბანკის ობლიგაცია და ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 2.37%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპ აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 87.15% მოდიოდა.

გასულ კვირას საქართველოს ბანკმა განაცხადა 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 10 წლიანი სუბორდინირებული სესხის მიღების შესახებ ტენს რივერ კაპიტალის ჰილსაიდ აპექს ფონდისგან. აღნიშნული ფონდი ტენს რივერ გლობალური ფონდის ნაწილია და ივაჭრება ირლანდიის საფონდო ბირჟაზე.

საქართველოს ბანკმა ასევე განაცხადა 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი 364 დღიანი სესხის მიღების შესახებ მერილ ლინჩ ინტერნეშინალისგან (NYSE:MER).

"მე მივესალმები მერილ ლინჩის ჩართვას ჩვენს ბანკთან დაახლოებული ბანკების სიაში და ვიმედოვნებ მასთან ბიზნესის შემდგომ განვითარებას", განაცხადა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ, ლადო გურგენიძემ.

სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს მთავრობამ განიხილა 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, შემოსავლების ნაწილში იგეგმება 3.5 მილიარდი ლარის მიღება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი 3.9 მილიარდი ლარით განისაზღვრა. დაგეგმილი დეფიციტი შეადგენს 432 მილიონ ლარს, რისი დაფარვაც იგეგმება როგორც ქვეყნის შიდა რესურსების (198 მილიონი ლარი), ასევე საგარეო დაფინანსებების (234 მილიონი ლარი) ხარჯზე.

ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრების გაანგარიშება განხორციელდა 2007 წელს მოლიანი შიდა პროდუქტის 7.5%-იანი ზრდისა (16 მილიარდ ლარამდე) და 6%-იანი ინფლაციის გათვალისწინებით.

მიმდინარე პერიოდში, შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს 3.6 მილიარდ ლარს, ხარჯები 3.9 მილიარდ ლარს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი 289 მილიონი ლარით განისაზღვრება.

პრივატიზაცია

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა, რომ სააქციო საზოგადოება ჭიათურმარგანუმის პრივატიზაცია უახლოეს მომავალში იგეგმება. მინისტრის განცხადებით, "სტემკორ იუ-ქეი ლიმიტედი", რომელმაც უკვე განახორციელა ინვესტიცია ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში, სავარაუდოდ მიიღებს მონაწილეობას ს/ს ჭიათურმარგანუმის პრივატიზაციაში. გასაყიდი ობიექტის საწყისი ფასი 20 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა.

სავალუტო ბაზარი

გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.74%-ით გაიზარდა. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 13.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 6.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. ეროვნულმა ბანკმა ვალუტის 5.8 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა.

29 აგვისტო 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სს‌ბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 68, 24 აგვისტო, 2006

კოლი	გარიგებათა რაოდენობა	ფასი (ლარი) მაქს.	ფასი (ლარი) მინ.	ფასი (ლარი) საშ.	ცვლილება (%) წლის დას-დან	ბრუნვა (აქცია)	ბრუნვა (ლარი)	კაპიტალიზაცია (ლარი)	რეკომენდაცია
GEB	17	17.25	17.30	17.26	106.8	1,872	32,307	280,952,612	-
UTC	32	0.64	0.65	0.65	79.7	22,860	14,790	66,794,135	ყიდვა
REAQ	3	3.64	3.64	3.64	0.0	498	1,813	469,167	რეკ. გარეშე
NINO	1	0.50	0.50	0.50	na	20,756	10,378	126,135	რეკ. გარეშე
Total							59,288		

სესია No. 67, 22 აგვისტო, 2006

კოლი	გარიგებათა რაოდენობა	ფასი (ლარი) მაქს.	ფასი (ლარი) მინ.	ფასი (ლარი) საშ.	ცვლილება (%) წლის დას-დან	ბრუნვა (აქცია)	ბრუნვა (ლარი)	კაპიტალიზაცია (ლარი)	რეკომენდაცია
GEBON	1	105.21	105.21	105.21	4.7	23	2,420		-
GEB	23	17.00	17.01	17.01	103.8	2,357	40,076	276,801,325	-
UTC	31	0.61	0.66	0.65	80.3	21,550	13,986	67,000,608	ყიდვა
STLM	4	0.30	0.30	0.30	na	485	146	26,107	რეკ. გარეშე
AMA	2	1.00	1.00	1.00	na	160	160	584,511	რეკ. გარეშე
Total							56,787		

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

21 აგვისტო, 2006 – 25 აგვისტო, 2006

კოლი	ბირჟის ვალუტა	ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის	მაქს.	მაქს.	დახურვის	კვირის ცვლილება (%)	კვირის ბრუნვა	კაპიტალიზაცია (მლნ)	რეკომენდაცია
CanArgo Energy	US$	1.29	1.10	1.57	1.24	-3.9	16,115,300	245.2	ყიდვა
Bolnisi Gold NL	A$	2.40	2.33	2.48	2.36	-1.7	1,984,588	367.8	ყიდვა
Metromedia Inc.	US$	1.60	1.55	1.64	1.60	0.0	158,900	150.5	ყიდვა

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

კომპანია	კოდი	რეკომენდაცია	ფასი (ლარი)	ცვლილება (%) კვირის	ცვლილება (%) წლის დას-დან	ბოლო ვაჭრობის თარიღი	ბრუნვა (ლარი)	კაპიტალიზაცია (ლარი)	თავისუფალი მიმოქცევის კოეფიც. (%)	GTBCI წონა (%)
საქართველოს ბანკი	GEB	-	17.26	2.37	106.71	24-აგვ-06	72,383	280,985,171	17.4	61.2
ეი-ეი-ეს ოელაი	AEST	ვაჭრობა	1.60	0.00	6.67	13-ივნ-06	0	129,836,618	0.1	0.1
გაერთ. სატელეკომ. კომ	UTC	ყიდვა	0.65	0.00	80.56	24-აგვ-06	28,776	66,794,135	9.4	7.9
გაერთ. ქართული ბანკი	UGB	ფლატა	2.79	0.00	140.43	18-ივლ-06	0	58,569,000	10.0	7.3
უნივერმაღი თბილისი	UTB	ფლატა	27.00	0.00	50.00	29-იან-06	0	26,172,909	35.5	11.6
ჯაზგაზი	KAZB	ფლატა	7.00	0.00	180.00	18-ივლ-06	0	19,600,000	42.7	10.5
ბაგრატიონი-1882	BAGR	ფლატა	2.30	0.00	15.00	28-მარ-06	0	17,051,246	5.2	1.1
რუსთავკვებენტი	RUCE	ფლატა	1.10	0.00	54.93	17-იან-06	0	1,739,055	10.3	0.2
სულ							101,159	601,057,843		100.0

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

21 აგვისტო, 2006 – 25 აგვისტო, 2006

ემიტენტი	ემისიის მოცულობა (ლარი)	გადაფარვის თარიღი	საბრუნ. ვადა (წელი)	ფასი ყიდ	ფასი გაყ	ფასი საშ	ღიის ბრუნვა	YTM (%)	ცვლილება (ს.პ.)	სარჩევი (აშშ ს.ა.ზონი ვალუტ-თან)	ფურაცია	რეიტინგი Fitch /Moody's/S&P
საქართველოს ბანკი	1,707,300	02/09/07	11	105	105	105	-	11.00	3	613	0.88	B- / B3/ B+
პროკრედიტ ბანკი	5,926,000	06/11/06	0	-	-	94.2	-	15.10	2	994	0.19	B / - / -

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლატა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სავაჭროთის

საქართველო, 0162, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი

გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

ზემოთმოყვანილი მასალა შეგროვილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სავაჭროთის" მიერ. "გალტ ენდ თაგგარტი" წარმოადგენს მოსარგებლის სრული სპექტრის. ზემოე სპექტრის "საქართველოს ბანკის" ("საქართველოს ბანკი" არის "გალტ ენდ თაგგარტის" უმსხვილესი აქციონერი და მნიშვნელოვანი კლიენტი). "გალტ & თაგგარტის" დარწ მასთან დაკავშირებულ პირებისგან ვაჭრობის ან ბროკერი გამოთავისებული მათ საკუთარ ანგარიშზე ან იპოტეკირება ამ ინსტრუმენტებზე. რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ ანგარიშში. ასევე ამ ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირებისგან. "გალტ ენდ თაგგარტ"-ის კლიენტებისათვის. ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის ყიდვის, გაყიდვის ან შენარჩუნების რეკომენდაციად. ეს დოკუმენტი არ ითვალისწინებს ინვესტორის ფინანსურ მდგომარეობას ან ინვესტიციის მიზნებს. ინვესტორებმა უნდა მიიღონ საკუთარი გადაწყვეტილებები დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. მიიღონ თუ არა შესაბამისი გადაწყვეტილებები. "გალტ ენდ თაგგარტი" არ აგებს პასუხისმგებლობას ამ დოკუმენტის გამოყენებით მიღებულ ზარალზე. ეს დოკუმენტი ან მისი ნაწილი არ შეიძლება იყოს გამოქვეყნებული. გადაწყვეტილება ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის გამოქვეყნების ან გამოუქვეყნებლობის შესახებ მიღებულ იქნას მხოლოდ "გალტ & თაგგარტის" მიერ.

ტვირთბადაზიდვების მოცულობა გაიზარდა

დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, აზერბაიჯანში მიმდინარე წლის 7 თვეში ტვირთგადაზიდვის მოცულობა 11 პროცენტით გაიზარდა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტიდან შეატყობინეს. ტვირთგადაზიდვების მცირე ზრდა დაფიქსირდა ყირგიზეთში - 2,7 პროცენტი. 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3,7 პროცენტზე ტვირთგადაზიდვები ყაზახეთშიც გაიზარდა. გადაზიდვების მოცულობა მიმდინარე წლის შვიდ თვეში, გასულ წელთან შედარებით, 6,8 პროცენტით გაიზარდა უკრაინაში, ბელორუსში - 8,4 პროცენტით. რუსეთში 2006 წლის შვიდი თვის განმავლობაში გადაზიდვების მოცულობამ 109,6 პროცენტი, ხოლო ტაჯიკეთში 115 პროცენტი შეადგინა. გადაზიდვების მოცულობის შემცირება საანგარიშო პერიოდში მოლდოვაში დაფიქსირდა, სადაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 89,7 პროცენტი შეადგინა. საქართველოში ტვირთგადაზიდვების მოცულობა, მილსადენს თუ არ ჩავთვლით, მიმდინარე წლის შვიდი თვის შედეგების მიხედვით, გასულ წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

აზერბაიჯანის ნავთობკომპანიამ ჯეიჰანიდან ნავთობის პარტიის გაყიდვაზე ტენდერი დახურა

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ თურქეთის ჯეიჰანის პორტიდან საკუთარი Azeri Light-ის ნავთობის მორიგი პარტიის გადაზიდვაზე ტენდერი დახურა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიაში შეატყობინეს. ტენდერში ტრეიდერმა Arcadia Petroleum Limited-მა გაიმარჯვა. ნავთობის პარტიის მოცულობა 600 ათას ბარელს (80 000 ტონა) შეადგენს. გადაზიდვა მიმდინარე წლის 28-30 სექტემბერსაა დაგეგმილი. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 4 სექტემბერს ბარელზე 66,29 აშშ დოლარი შეადგინა. ჯეიჰანიდან ნავთობის პარტიები აგვისტოში კომპანია Statoil-მა (1 მლნ ბარელი) და კომპანია Arcadia-მ (1 მლნ ბარელი) შეიძინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

კომპანია BTC CO-მ Northern Power-თან კონტრაქტი გააფორმა

ბაქო-თბილისი, 6 სექტემბერი (პრაიმ-ნიუს ბიზნესი) - კომპანია Northern Power-მა (Distributed Energy Systems Corp-ის ქვეგანყოფილება) გრუ ჟ -სთან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტზე საქართველოში კოდიანის მონაკვეთზე, საავარიო სისტემაში გამაძლიერებელი დანადგარის დამონტაჟებაზე კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდი" Northern Power-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით იტყობინება. საავარიო სისტემის დამარეგულირებელი საქართველოს მთავრობის მიერ გარემოს დაცვის მიზნით შეიქმნა, - განაცხადა Northern Power-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ ბრენანმა. "გამაძლიერებელი სისტემა, რომელიც ჩვენ დავაპროექტეთ მილსადენის აღნიშნულ მონაკვეთზე, გარემოს დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია," - აღნიშნა მან. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიმძლავრე წელიწადში 50 მლნ ტონა ნავთობს შეადგენს. აღნიშნული მილსადენით "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის გადაქაჩვა ხორციელდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

ბაქოში საფოსტო კავშირის საკითხებზე საერთაშორისო სემინარი გაიმართება

საერთაშორისო სემინარი "საფოსტო კავშირების თანამედროვე მომსახურების სფეროში ადამიანური რესურსების გაუმჯობესება" ბაქოში 12-13 სექტემბერს გაიმართება. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის სამინისტროში შეატყობინეს. სემინარი მსოფლიო საფოსტო კავშირის დაფინანსებით გაიმართება და მას ორგანიზებას კავშირგაბმულობის სფეროში რეგიონული თანამეგობრობა გაუწევს. სემინარში მონაწილეობას მსოფლიო საფოსტო კავშირის წარმომადგენლები და კავშირგაბმულობის რეგიონული თანამეგობრობის წევრი 11 ქვეყანა (თურქმენეთის, სომხეთის, ლიტვისა და ყირგიზეთის გარდა) მიიღებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

ყველაზე ცნობადი ბრენდი

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



რეი კროკი.

ძმების ნოვაცია

გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ძმები დიკ და მაკ მაკდონალდები კალიფორნიის შტატის ქალაქ სან ბერნარდინოში მდებარე თავიანთი პატარა, ავტომობილისტების რესტორნის სრულყოფაზე ფიქრობდნენ. იმის ნაცვლად, რომ თავიანთი ბიზნესი, რომელსაც ისედაც საკმაოდ კარგი შემოსავალი, წელიწადში 200 ათასი დოლარი მოჰქონდა, ცოტათი შეეცვალათ, მათ სრულიად ახალი, სწრაფ მომსახურებაზე, დაბალ ფასებსა და დიდ მოცულობაზე დამყარებული კონცეფცია შეიმუშავეს.

ისინი თვითმომსახურებაზე გადავიდნენ, უარი თქვეს 25 კერძისაგან შემდგარ მენიუზე და მხოლოდ 9 დასახელების ჰამბურგერით, ჩისბურგერით, ნამცხვრით, კარტოფილი ფრით და ჩიპსებით, რძის კოქტეილით, ჩაითა და ყავით და სამი სახის გამაგრილებელი სასმელით შემოიფარგლნენ. გადააკეთეს სამზარეულო და იგი უჟანგავი ლითონისაგან დამზადებული ხელსაწყოებით აღჭურვეს, რომლებიც წარმოების ტემპის გაზრდის საშუალებას იძლეოდა. ამასთან, ისედაც იაფი, 30 ცენტის ღირებულების ჰამბურგერი 15 ცენტამდე გააიაფეს.

როცა 1948 წლის დეკემბერში ძმები მაკდონალდების რესტორანი ისევ გაიხსნა, ბიზნესის ამუშავებას ძალიან ცოტა დრო დასჭირდა, რის შემდეგაც აშკარა გახდა, რომ ისინი ომისშემდგომი ამერიკის სულს სრულად ჩაწვდნენ. 50-იანი წლების დასაწყისში ჰამბურგერების დამამზადებელ მათ პატარა ფაბრიკას წელიწადში 250 ათასი დოლარის ოდენობის მოგება მოჰქონდა. გაყიდვების მოცულობა თითქმის ორჯერ გაიზარდა. პიკის საათებში პატარა დახლთან, სადაც ჰამბურგერები იყიდებოდა, ზოგჯერ თავს 200-მდე ადამიანიც კი იყრიდა.

მაკდონალდების წარმატების შესახებ ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა და 1952 წელს ჟურნალ American Restaurant Magazine-ში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ძმები ქვეყნის ყველა ნაწილიდან თვეში 300-მდე შეკვეთას იღებდნენ. მათი პირველი ლიცენზიანტი ნეილ ფოქსი გახდა. ძმებმა გადაწყვიტეს, რომ არიზონას შტატის ქალაქ ფენიქსში გზისპირას მდებარე მისი რესტორანი სამაგალითო იქნებოდა იმ ქსელისათვის, რომლის შექმნაზეც ოცნებობდნენ. თეთრწითლად შეღებილი, დაქანებული სახურავის მქონე შენობა McDonald's-ის რესტორნების პირველი ტაძრის მოდელად იქცა.

ბიზნესის კიდევ უფრო სრულყოფისათვის ძმებმა შეიმუშავეს ამწყობი საამქროს მსგავსი, ადრინდელზე ორჯერ დიდი სამზარეულოს კონსტრუქცია, შეისწავლეს საკვების მომზადებისას მომსახურე პერსონალის მოძრაობები, რომ სამზარეულო დანადგარები უფრო ეფექტურად განელაგებინათ. მათი ბიზნესის ამგვარ აყვავებაზე ისინი ვერც კი იოცნებებდნენ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფრენჩაიზინგის (ტექნოლოგიის ან პროდუქტის ლიცენზიის გადაცემის ან გაყიდვის სისტემა) კონცეფციის, რომლის პიონერებიც ისინი იყვნენ, პოტენციალი ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენებოდა.

ლიცენზიანტები სულ რაღაც 1000 დოლარად იღებდნენ დასახელებას McDonald's-ის გამოყენების უფლებას, სწრაფი მომსახურების სისტემის აღწერილობას და ძმების უხუცესი თანამშრომლის არტ ბენდერის ორკვირიან კონსულტაციას.

გამჭრიახი კომივოიაჟორი

1954 წელს რძის კოქტეილების დამამზადებელი ავტომატების კომივოიჟერმა რეი კროკმა საკუთარი თვალით იხილა ძმები მაკდონალდების რესტორანი. გამჭრიახი ბიზნესმენი უმალ მიხვდა, რომ სწრაფი მომსახურების რესტორნების ინდუსტრია სტარტისათვის მზად იყო.

რეი კროკი მაშინ 52 წლის იყო. ეგზომ სოლიდურ ასაკში ბევრი პენსიაზე ფიქრობს, მან კი დააარსა კომპანია, რომელიც სწორელ იმ McDonald's-ად იქცა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. კროკი, რომელმაც 15 წლის ასაკში სკოლა იმის გამო მიატოვა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს "წითელი ჯვრის" სასწრაფო დახმარების მანქანაზე მძღოლად ემუშავა, მეოცნებე კაცი იყო. შემდეგ კომივოიჟერობა დაიწყო და რას არ ყიდდა, სანამ რძის კოქტეილების ავტომატებმა სან ბერნანდინოში ძმებ მაკდონალდებთან არ მიიყვანა. და როცა იქაურობას თვალი მოავლო, მიხვდა, რომ ამგვარი სისტემა ყველგან იმუშავებდა.

ძმებ მაკდოლანდებს არ სურდათ, თავიანთი ბიზნესის მთელს ქვეყანაში გაფართოება თავად ეკონტროლებინათ და ფრენჩაიზინგში მათი პირადი აგენტი რეი კროკი გახდა. დიდმა კომივოიჟერმა ბოლოს და ბოლოს თავისი საბოლოო პროდუქტი იპოვნა. 1955 წლის 2 მარტს მან დაარსა ახალი ფრენჩაიზინგური კომპანია McDonald's System Inc, 15 აპრილს კი არტ ბენდერის დახმარებით ილინოისის შტატის ქალაქ დეზ პლენზში გახსნა McDonald's-ის რესტორანი, რომელშიც მაკდონალდების პირველ ჰამბურგერთან ერთად მომხარებლებს კროკის ჰამბურგერიც წარუდგინეს.

კროკმა მაკდონალდების კონცეფცია შეინარჩუნა და კიდევ უფრო დახვეწა, რამაც ქსელის განვითარებას ხელი შეუწყო. სწორედ კორკმა გადაწყვიტა, კომპანიას ის შენობები შეეძინა, რომლებშიც რესტორნები იყო განთავსებული, ან იჯარით მაინც აეღო, რაც კონკურენტებთან მის უპირატესობას განაპირობებდა. გარდა ამისა, გამოცდილი კომივოიჟერი ყელაფერს აკეთებდა, რომ ლიცენზიანტებს გაყიდვების მოცულობა გაეზარდათ. მათ ხელშეკრულებებზე ხელს აწერინებდა, დამატებით ინვესტიციებს ანხორციელებინებდა, კრედიტორებს ეძებდა... კროკს ისე სჯეროდა თავისი ოცნების, რომ 1961 წლამდე კომპანიიდან ხელფასსაც კი არ იღებდა და ლიცენზიანტებისაგან მიღებული პროცენტებით ცხოვრობდა.

საბოლოოდ, მისმა ფორმულამ გაამართლა. 1956 წლის ბოლოს McDonald's-ის 14 რესტორნის ფინანსურმა ბრუნვამ 1,2 მილიონი დოლარი შეადგინა. სულ რაღაც, 4 წლის შემდეგ უკვე 228 რესტორნის ფინანსური ბრუნვა 37,6 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

კროკის ეპოქა

კროკს ესმოდა, რომ შემდგომი განვითარებისათვის საჭირო იყო საქმის ძმები მაკდონალდებისაგან გამოსყიდვა, რომ გაუქმებულიყო იმ ხელშეკრულებებით არსებული შეზღუდვა, რომელთა მიხედვით იგი მუშაობდა. მიუხედავად რესტორნების წარმატებული მუშაობისა, კროკის კომპანიის შემოსავალმა 1960 წელს მხოლოდ 77 ათასი დოლარი შეადგინა, გრძელვადიანმა ვალებმა კი - 5,7 მილიონი დოლარი. თავიანთი ბიზნესის სანაცვლოდ ძმებმა 2,7 მილიონი დოლარი მოითხოვეს. 1961 წელს კროკმა კომპანიის უძრავი ქონების დაგირავებით ამ თანხის კრედიტით აღება მოახერხა და, მართალია, ვალის დასაფარად მას მთლიანობაში 14 მილიონი დოლარი დასჭირდა, კრომა თავის მზარდ სისტემაზე სრული კონტროლი დაამყარა.

იმავე წელს კროკმა ელკ გროუვ ვილეჯში მდებარე რესტორნის სარდაფში ჰამბურგელოლოგიის ინსტიტუტი გახსნა, რომელშიც ახალ ლიცენზიანტებსა და რესტორნების პერსონალს სასწავლო კურსი უტარდებოდათ. შედეგად, McDonald's-ის მთელ ქსელში ხარისხის ისეთი სტანდარტი დამყარდა, რომ 1963 წელს დღეში მილიონი ჰამბურგერი იყიდებოდა.

1965 წელს, ქსელის დაარსების ათი წლის იუბილეს აღსანიშნავად ჰოლივუდში McDonald's-ის რესტორნების მფლობელთა პირველი საერთო შეკრება გაიმართა. იმავე წელს კომპანიამ ბირჟაზე აქციები 22,5 დოლარად გაიტანა. რამდენიმე კვირაში მათმა ფასმა 49 დოლარს მიაღწია. ასე რომ, უხელფასობის წლების შემდეგ კროკმა 32 მილიონი დოლარის შემოსავალი ნახა. ერთი წლის შემდეგ McDonald's-ის აქციები ნიუ იორკის ბირჟაზე გამოჩნდა, რაც ძალიან დიდი მიღწევა იყო. 1967 წელს McDonald's-მა პირველად ისტორიაში ჰამბურგერები 15-დან 18 ცენტამდე გაძვირა.

1970 წლისათვის ამერიკის 50-ვე შტატში და უცხოეთის 4 ქვეყანაში არსებული, McDonald's-ის 16 ათასი რესტორნის ფინანსურმა ბრუნვამ 587 მილიონი დოლარი შეადგინა. იმავე წელს ჰავაიზე არსებული რესტორნის მენიუს საუზმე შემატეს. 1972 წლისათვის კომპანიის ფინანსურმა ბრუნვამ მილიარდ დოლარს გადაჭარბა, კიდევ სამი წლის შემდეგ კი - 2,5 მილიარდს.

1977 წელს რეი კროკი McDonald's-ის დირექტორთა საბჭოს თამჯდომარე გახდა და ეს პოსტი მას 1984 წლამდე, გარდაცვალებამდე ეკავა. გასაკვირი არ არის, რომ ჟურნალმა Life-მა იგი მეოცე საუკუნის 100 მთავარ ამერიკელს შორის დაასახელა. 1990 წლისათვის კომპანიის ფინანსურმა ბრუნვამ 19 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამ დროისათვის McDonald's-ი ყველაზე პოპულარულ კომპანიად, ხოლო მისი აქციები ყველაზე გავრცელებულად დაასახელეს.

მსოფლიო ბრენდი

ცხადია, McDonald's მიღწეულით არ დაკმაყოფილებულა. რეი კროკის ოცნების აშშ-ს მასშტაბით სრულად განხორციელების შემდეგ კომპანია მსოფლიოს დაპყრობას შეუდგა. საერთოდ, კომპანიის პირველი უცხოური რესტორანი 1967 წლის 1 ივლისს კანადაში გაიხსნა, რის შემდეგაც ამ ქვეყანაში სოკოებივით გამრავლდა.

შემდეგ რესტორნები გაიხსნა კარიბის კუნძულებზე, გერმანიასა და ნიდერლანდებში, 1971 წელს McDonald's იაპონიაში და ავსტრალიაშიც გამოჩნდა. იქიდან მოყოლებული, McDonald's-ი სხვა სახელმწიფოებსაც გადაწვდა და, მოგვიანებით, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც შეაღწია.

აღსანიშნავია, რომ McDonald's-ი დიდი წარმატებით სარგებლობს ამერიკის მიმართ მტრულად განწყობილ, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ყველაფერ ამერიკულს, რბილად რომ ვთქვათ, არ მიესალმებიან. ცხადია, ისლამურ ქვეყნებში McDonald's-ი მენიუს ადგილობრივი წეს-ჩვეულებების მიხედვით არჩევს და თავის სიმბოლოს, მასხარა რონალდ მაკდონალდის გამოსახულებიან დროშას არ იყენებს, რადგან ისლამი კერპების გამოსახვას კრძალავს.

თქმა არ უნდა, კროკის ჩანაფიქრი, რომ ამგვარი სისტემა ყველგან იმუშავებდა, სრულად გამართლდა. მართალია, 21-ე საუკუნის დასაწყისში კომპანია მცირე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რაც სწრაფი კვების წინააღმდეგ აგორებულმა კამპანიამ განაპირობა, მაგრამ დაკარგული პოზიციები უმალ აღიდგინა და გასულ წელს, როგორც აღვნიშნეთ, 20,46 მილიარდი დოლარის ოდენობის სარეკორდო მოგება ნახა.

აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფი გავლენა მოახდინა აშშ-ს საქმიანი აქტივობის ინდექსის კლებისა და უძრავი ქონების გაძვირების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ. გარდა ამისა, ნავთობის გაიაფებასთან ერთად, კვლავ ეცემა ნავთობკომპანიების აქციების ფასი, და კიდევ, კომპანია Hewlett-Packard Co-დან მნიშვნელოვანი კორპორაციული ინფორმაციის გაჟონვის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ კომპიუტერული გიგანტის აქციების ვარდნა განაპირობა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,27 პროცენტით, 11.437,9 პუნქტამდე შემცირდა. 0,78 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.188,52 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,47 პროცენტით, 1.307,1 პუნქტამდე მოიკლო.



ნავთობის ფასი 68 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 67,37 დოლარი, Light-ის მარკის ნავთობი კი 67,87 დოლარი/ბარელი ღირდა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი გუშინწინ ბაზარზე არსებული ტენდენციების შენარჩუნება გახლდათ. მოგეხსენებათ, 4 სექტემბერს აშშ-ში ზაფხულის საავტომობილო სეზონი დასრულდა და ბენზინზე მოთხოვნილებამ მკვეთრად იკლო. ამასთან, მსოფლიო ბაზარს ნავთობი საკმარისი რაოდენობით მიეწოდება და აშშ-ში ნედლი "შავი ოქროს" მარაგი საკმარისზე მეტია.

ექსპერტთა ვარაუდით, ნავთობის გაიაფება შემდგომშიც გაგრძელდება, თუ წლევანდელ სეზონში ჩამოყალიბებული უკანასკნელი ტროპიკული შტორმი "ფლორენსი" მექსიკის ყურემდე არ მიაღწევს და ნავთობის მოპოვებას არ შეაფერხებს. თუმცა, სტიქია აშშ-სგან ჯერჯერობით საკმაოდ შორსაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამერიკული ნავთობკომპანია Chevron-ის განცხადებით, გუშინ მექსიკის ყურეში ნავთობის ახალი საბადო აღმოაჩინეს, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, ალიასკაზე მდებარე აშშ-ს უმსხვილესი პრადჰო-ბეის საბადოზე დიდია. სავარაუდოდ, მისი მარაგი 3 მილიარდ ბარელზე მეტია.

ძვირფასი ლითონები კვლავ გაძვირდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 638,3 დოლარამდე გაძვირდა, ვერცხლი 13,55 დოლარი/უნცია ღირდა, პლატინა - 1279,5 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 355 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ექსპერტთა აზრით, ძვირფას ლითონებზე ფასების ზრდას კვლავინდებურად ინვესტორთა დაინტერესება განაპირობებს. ამასთან, ისინი განსაკუთრებით აღნიშნავენ პლატინისა და პალადიუმის მკვეთრ გაძვირებას, რომელთა ფასმა სამთვიან მაქსიმუმს მიაღწია.

ხმისჩამწერ ინდუსტრიაში ახალი გიგანტი გაჩნდება

ხმისჩამწერი კომპანია Vivendi მუსიკალურ გამომცემლობა Music Publishing-ს 1,65 მილიარდ ევროდ ყიდულობს. ამ გარიგების შედეგად, რომელიც მუსიკალური ინდუსტრიის ორ უმსხვილეს კომპანიას გააერთიანებს, სფეროს უდავო ლიდერი გიგანტი კორპორაცია წარმოიქმნება. შერწყმის განსახორციელებლად აშშ-ს და ევროპული ანტიმონოპოლიური სამსახურების ნებართვის მიღებაღაა დარჩენილი.

BMG Music Publishing-ის შეძენას შვიდი კომპანია ცდილობდა. ანალიტიკოსთა აზრით, მისდამი ამგვარი ინტერესი იმით იყო განპირობებული, რომ ფირმას ათასამდე სიმღერის საგამომცემლო უფლება ეკუთვნის, მათ შორისაა ისეთი ცნობილი შემსრულებლების მიერ შექმნილი კომპოზიციები, როგორებიცაა Coldplay, რობი უილიამსი, კრისტინა აგილერა, ბარი მანილოუ და ა.შ.

გერმანულმა მედია-კონცერნმა Bertelsman-მა მისი კუთვნილი კომპანია BMG Music Publishing-ის გაყიდვა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მიღებული ფულით საკუთარი აქციების გამოსყიდვა განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ BMG Music Publishing-მა 2005 წლის განმავლობაში ჩანაწერების გაყიდვით, კინოფილმებისა და კომპიუტერული თამაშებისათვის მუსიკებისა და მობილური ტელეფონებისათვის მელოდიების ლიცენზირებით 81 მილიონი ევროს ოდენობის მოგება მიიღო.

ბიზნესის წარმოება ყველაზე იოლი სინგაპურშია

მსოფლიო ბანკის შეფასებით, გასული წლის მონაცემების მიხედვით, სინგაპური ბიზნესის წარმოების სიიოლის მხრივ ლიდერობს. ამ თვალსაზრისით მსოფლიო ბანკი განიხილავს მსოფლიოს 175 ქვეყნის ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა კომპანიის გახსნის ან დახურვისათვის საჭირო პროცედურების სისწრაფე და სიიაფე, კრედიტისა და ლიცენზიების მიღების პროცედურები, საგადასახადო სისტემა და ა.შ. ბიზნესის წარმოების სიიოლის მხრივ ადრინდელმა

ლიდერმა ახალმა ზელანდიამ მოწინავე პოზიცია მას შემდეგ დაკარგა, რაც ლიცენზირების პროცედურები გაამკაცრა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მესამეზე აშშ გახლავთ, მეოთხეზე - კანადა, მეხუთეზე კი - ჰონგკონგი.

ბაფეტი კვლავ დაქორწინდა

სიმდიდრით პლანეტის მეორე ადამიანი, 76 წლის ამერიკელი ინვესტორი უორენ ბაფეტი მეორედ დაქორწინდა. მილიარდერის რჩეული მისი კარგა ხნის მეგობარი ქალი, 60 წლის, ლატვიური წარმოშობის ასტრიდ მენკსი გახდა, რომელთან ერთადაც ბოლო 29 წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

ქორწინების ცერემონია ბაფეტის შვილის, სიუზანის სახლში გაიმართა, მას რამდენიმე უახლოესი ადამიანი დაესწრო და მხოლოდ 15 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც, სიუზანის თქმით, ახლადდაქორწინებულებმა რესტორანში ისადილეს და მილიარდერმა უმალ ოფისს მიაშურა. ასე რომ, ბაფეტს არანაირი თაფლობის თვე არ ჰქონია. გაოცებულ ახლობლებს მან ღიმილით განუცხადა, ჩემთვის ყველა დღე თაფლობის თვეაო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ბაფეტის, რომლის ქონებაც გათქმულ ჟურნალ Forbes-ის მიერ 44 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, მეორე ქორწინება გახლავთ. პირველად იგი 1952 წელს დაქორწინდა. მის მაშინდელ რჩეულს, ისევე, როგორც შვილს, სიუზანი ერქვა. მათი ოჯახური ცხოვრება 27 წელს გაგრძელდა, რის შემდეგაც სიუზანი ცალკე საცხოვრებლად გადავიდა. თუმცა, ოფიციალურად ისინი არ განქორწინებულან, 2004 წელს სიუზან ბაფეტის ლეიკემიისაგან გარდაცვალებამდე ცოლ-ქმრად ითვლებოდნენ და საკმაოდ ნორმალური ურთიერთობაც ჰქონდათ. როგორც ამბობენ, სიუზანი ასტრიდს მშვენივრად იცნობდა, დიდ პატივს სცემდა და უორენს მის ცოლად შერთვას ურჩევდა.

რთველი 2006

პირველი გვერდიდან

ზოგადი მიმოხილვა

ამ დროისთვის ყურძენი, ძირითადად, დედოფლისწყაროსა და სიღნაღში იკრიფება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გუშინდელ დღემდე დაკრეფილი და გადამუშავებული იყო 1187 ტონა ყურძენი. მინისტრ სვიმონიშვილის თქმით, კახეთში 5 საწარმო უკვე ამუშავდა, დაგეგმილია კიდევ 40 საწარმოს ამოქმედება.

რთველის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სამინისტროს მიერ გაკეთდა პროგნოზი, რომ წელს კახეთში დაახლოებით 170 ათას ტონა ყურძენი დაიკრიფებოდა, რაც შარშანდელ მონაცემებს მნიშვნელოვნად, 40 ათასი ტონით აღემატება. 2005 წელს ამ რეგიონში დაახლოებით 128 ათასი ყურძნის მოსავალი დაფიქსირდა.

სტატისტიკის დეპარტამენტის თანახმად, გასულ წელს მთლიანად საქართველოში თითქმის 4 მილიონი ლიტრი ღვინო დამუშავდა. წელს ამ ციფრის გაზრდა არის მოსალოდნელი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ წელს ყურძნის დიდ ნაწილს თავად გლეხები და არა ღვინის მწარმოებელი კომპანიები გადაამუშავებენ.

ამ დროისთვის პრეზიდენტის იმ დავალებას, რომ ბიზნესმენებმა 10-10 ტონა ყურძენი შეისყიდონ კახელი გლეხებისგან, 100-მდე კომპანია გამოეხმაურა. მათმა მცირე ნაწილმა ყურძენი უკვე შეისყიდა და მისი დაწურვაც დაიწყო. სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, ამ დროისთვის კახეთიდან 300 ტონამდე ყურძენი უკვე გატანილია.





იყიდიან თუ არა ღვინის ქარხნები ყურძენს გლეხებისგან?

ეს საკითხი მეღვინეთა ერთი ნაწილს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია. ისინი დღემდე ყოყმანობენ - ერთის მხრივ, მათ რუსეთის ბაზრის დახურვა და ახალი ბაზრების აუთვისებლობა ადარდებთ, მეორეს მხრივ, მეზობელი სახელმწიფოს კეთილი ნების იმედი ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი.

კომპანია "ბაგრატიონში" უკვე ზუსტად იციან, რომ წელს გლეხებისგან არც ერთ კილოგრამ ყურძენს არ შეისყიდიან, რადგან საკუთარი მოსავალი საკმარისზე მეტიც არის. გარდა ამისა, "ბაგრატიონს" რუსული ბაზრიდან "გამოძევების" შემდეგ გაუყიდავი დარჩა შარშან გადამუშავებული ღვინის დიდი ნაწილი. ცნობისათვის, ამ კომპანიამ შარშან კახელი გლეხებისგან 3 ათას ტონაზე მეტი ყურძენი შეისყიდა.

"ბაგრატიონის" მსგავსად, წელს "თელავის ღვინის მარანიც" მხოლოდ საკუთარ მოსავალს, დაახლოებით 1500 ტონა ყურძენს დასჯერდება. არადა, გასულ წელს კომპანიამ 5000 ტონაზე მეტი ყურძენი გადაამუშავა. **"ჩვენი პროდუქციის გასაღების ყველაზე დიდი ბაზრის, რუსეთის დაკარგვის შემდეგ ღვინის ნაწილი გაუყიდავი დაგვრჩა. ეს მარაგი და წლევანდელი მოსავალი საკმარისი იქნება, თუკი ახალ ბაზრებზე ფეხს მოვიკიდებთ. ამიტომაც დამატებით ყურძნის შესყიდვას აღარ ვაპირებთ,"** - უთხრა "24 საათს" ზურა რამაზაშვილმა, "თელავის ღვინის მარნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

ცხადია, ღვინის მწარმოებელი ის კომპანიები, რომლებსაც საკუთარი ვენახები არ გააჩნიათ, ყურძენს გლეხებისგან აუცილებლად შეიძენენ. ერთ-ერთი ასეთი კომპანია "თბილღვინოა", რომელმაც გასულ წელს მხოლოდ კახეთში 2200 ტონა ყურძენი გადაამუშავა. როგორც კომპანიის დირექტორმა ზურა მარგველაშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, წელს "თბილღვინო" გლეხებისგან, შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად მცირე მოცულობის ყურძენს შეისყიდის. **"გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ყურძნის დიდ ნაწილს დასავლეთ საქართველოში შევიძენთ. აი, კახეთში რას ვიზამთ, ჯერ არ ვიცით. ჯერ ვერც იმაზე ჩამოვყალიბდით, ზუსტად რამდენ ტონა ყურძენს ვიყიდით გლეხებისგან,"** - აღნიშნა მარგველაშვილმა.

"თბილღვინოსგან" განსხვავებით, "თელიანმა ველმა" სოფლის მეურნეობის სამინისტროს უკვე მიმართა განაცხადით, სადაც ნათქვამია, რომ კომპანია კახეთში წელს 2200 ტონა ყურძენს შეიძენს. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ გასულ წელსაც ამ მოცულობის ყურძენი გადაამუშავა. **"ჩვენ რუსულ ბაზარზე დამოკიდებული არასდროს არ ვყოფილვართ. "თელიანი ველის" ბრენდები წარმატებით იყიდება უკრაინაში, საქართველოში, ყაზახეთში, ევროპის მრავალ სახელმწიფოში. გარდა ამისა, გვაქვს იმედი, რომ წელს ახალი ბაზრები დაგვემატება, ამიტომაც კომპანია არ აპირებს, შეამციროს ღვინის წარმოება,"** - ამბობს "თელიანი ველის" მარკეტინგის მენეჯერი გოგა ყიფიანი.

"თელიანი ველს" საკუთარი ვენახებიც გააჩნია, თუმცა ის აქედან მცირე მოსავალს, დაახლოებით 500 ტონას ყურძენს ელოდება.

წელსაც ისევე, როგორც გასულ წლებში მეღვინეები ყურძნის შესასყიდად და ღვინის საწარმოებლად სესხების აღებას კომერციული ბანკებიდან აპირებენ.

დააფინანსებენ თუ არა ბანკები ქართველ მეღვინეებს?

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეღვინეთა უმრავლესობას კომერციული ბანკებიდან გასულ წელს აღებული კრედიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე არ დაუბრუნებია და მათ ამ ვალის რესტრუქტურიზაცია ითხოვეს, ქართული საბანკო სექტორი მზად არის, წელსაც გამოყოს სესხები წლევანდელი რთველის დასაფინანსებლად.

"24 საათი" რამდენიმე ქართულ ბანკს დაუკავშირდა, რომლებთანაც საუბრის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ მეღვინეებს წელს სესხის აღების დროს, რაიმე მნიშვნელოვანი ბარიერი და დაბრკოლება არ უნდა შეექმნათ.

"ტაო ბანკი" კრედიტებს, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში გასცემს. მიუხედავად ამისა, ამ ბანკს დღემდე ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის სესხი არ გაუცია. **"თუმცა თუკი კომპანია წარმოადგენს საინტერესო ბიზნესგეგმას და ჩვენი კრედიტფოციცრის მიერ ის მოწონებული იქნება, რატომაც არა? ჩვენ დავიწყებთ ამ სექტორისთვის სესხების გაცემას,"** - აღნიშნა ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ჩოჩიამ.

"თიბისი ბანკის" საკრედიტო პორტფელი შარშანდელთან შედარებით ამ შემთხვევაში თითქმის არ შეცვლილა. წელსაც ისევე, როგორც გასულ წლებში ბანკი დაახლოებით 9 მილიონ ლარს გამოყოფს ღვინის წარმოება-რეალიზაციისთვის. ბანკის პრეზიდენტის ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, **"თიბისი ბანკი" მზად არის, ხელი შეუწყოს ქართულ ღვინის კომპანიებს და ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს მათ მიერ ალტერნატიული ბაზრების ათვისებას."**

თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წელს, შარშანდელისგან განსხვავებით, ქართველი მეღვინეები მცირე მოცულობის სესხებს აიღებენ. ისევ და ისევ ზემოთ ხსენებული მიზეზის, რუსული ბაზრის დაკარგვის, გამო.

ცნობილი ხდება, რომ "საქართველოს ბანკმა" ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე ამ დროისთვის დაახლოებით 12 მილიონი ლარის ოდენობით სესხები გასცა. ბანკში აცხადებენ, რომ კრედიტებს ამ მიმართულებით კიდევ იმდენს გამოყოფენ, რამდენის მოთხოვნაც დაფიქსირდება. **"დაფინანსდება ყველა ის პროექტი, რომელიც დააკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს სესხის გაცემაზე,"** - განუცხადეს "24 საათს" "საქართველოს ბანკში".

ქართული კომერციული ბანკების ერთი ნაწილი შედარებით ფრთხილად მოქმედებს. ისინი სესხებს ღვინის წარმოებაზე იმის მიხედვით გასცემენ, კონკრეტულ კომპანიას თუ რა ბიზნესისტორია გააჩნია. ერთ-ერთი მათგანი "გაერთიანებული ქართული ბანკია", რომელმაც უკანასკნელ რამდენიმე თვეში ქართველ მეღვინეებზე დაახლოებით 50 ათასი ლარის სესხი გასცა. **"ესენი არიან, ძირითადად, ის კომპანიები, რომლებთანაც ჩვენი ბანკი ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად თანამშრომლობს. ისინი წარმოებულ ღვინოს რუსეთში არ ყიდდნენ, მათი გასაღების ძირითადი ბაზარი ევროპის სახელმწიფოებია,"** - უთხრა "24 საათს" ბანკის კორპორატიული ბიზნესის სამმართველოს უფროსმა ნიკა ჩხეტიანმა. რაც შეეხება ახალ კლიენტებს, ნიკა ჩხეტიანის თქმით, **"ბრენდს გააჩნია, მისი გასაღების ბაზარს და ბიზნესგეგმას. თუკი კომპანია წლების განმავლობაში პროდუქტს რუსულ ბაზარზე ყიდდა და ახლა იწყებს ახალი ბაზრების ათვისებას, ასეთ შემთხვევაში მათთვის სესხის გამოყოფა, ალბათ, გაგვიჭირდება."**

იმის გათვალისწინებით, რომ ღვინის წარმოება და, შესაბამისად, მისი ექსპორტი წელს უფრო რისკიანი ბიზნესი გახდა, "გაერთიანებული ბანკი" ამ მიმართულებით სესხის გაცემის პროცედურებს ოდნავ ართულებს.

დააზღვევენ თუ არა მეღვინეთა ბიზნესს სადაზღვევო კომპანიები?

გასულ წელს სადაზღვევო კომპანიებმა საკმაოდ სოლიდური თანხები გასცეს იმ კომპანიებზე, რომლებმაც რუსული ემბარგოს გამო სერიოზული ზარალი იწვნიეს. შარშან მათ მიერ ანაზღაურებული ზარალი გასულ წლებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო კომპანიები წელს უარს არ ამბობენ მეღვინეთა ბიზნესის დაზღვევაზე.

როგორც სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აის" ინტეგრაციული პროექტების დირექტორმა ივა დავითაიამ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, **"ჩვენ ამ დარგის ძალიან ბევრ წამყვან კომპანიას ვემსახურებით. ზოგადად, რუსეთთან შექმნილი საექსპორტო პრობლემების შედეგად სადაზღვევო ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ბუნებრივია, შემცირდა საექსპორტო ნაკადები, შესაბამისად შემცირდა ტვირთების დაზღვევა. ამ თვალსაზრისით ამ მოვლენას ირიბი ეფექტი, რა თქმა უნდა, აქვს. მთლიანობაში კი, მეღვინეობასთან დაკავშირებულ რისკებს სადაზღვევო კომპანიები წლების განმავლობაში აზღვევდნენ და მომავალშიც დააზღვევენ."**

მეღვინეებისთვის მომსახურების გაწევაზე უარს არც სადაზღვევო კომპანია "ირაოში" ამბობენ. თუმცა დაზღვევის ობიექტის და ბოლო დროს დარგში შექმნილი ცნობილი მოვლენების გამო, ყოველივემ შესაძლოა ტარიფზე იქონიოს გავლენა. **"მთლიანობაში კი ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვემსახურებით მეღვინეობის დარგის წარმომადგენლებს,"** - განაცხადა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ არმაზ თავაძემ.

როგორ ასრულებენ ბიზნესმენები პრეზიდენტის დავალებას?

31 სექტემბრის საღამოს საგარეჯოში მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესმენების ერთი ჯგუფი სიმბოლურად ვენახში შეკრიბა და საქართველოში ეკონომიკის სფეროში გატარებულ ლიბერალურ რეფორმებსა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე გულწრფელად ესაუბრა. ბოლოს კი ასევე გულწრფელად გულზე ხელი დაიდო და ბიზნესმენებს ერთი უბროლოდ განზრახვის შესახებ უამბო: **"კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, გთხოვოთ - უბრალოდ, წელს ყველანი უნდა დავეხმაროთ კახეთს, გთხოვთ... დღეს მე მინდა თქვენზე განვახორციელო მსუბუქი რეკეტი პირველად და უკანასკნელად. მოგიწოდებთ, კომპანიებმა 10-10 ტონა ყურძენი შეისყიდოთ კახეთის რეგიონიდან. თუ გინდათ, თანამშრომლებს აჭამეთ, თუ გინდათ, დაწურეთ და თქვენი სახელობის ღვინოები ჩამოასხით..."**

როგორც ჩანს, ბიზნესმენთა ერთი ნაწილი ამ დავალებას დიდი მონდომებით ასრულებს და დავალებულ ათ ტონაზე მეტ ყურძენსაც ყიდულობს, ნაწილი კი უხალისოდ ეხმიანება სააკაშვილის ამ ინიციატივას, თუმცა 10 ტონა ყურძნის ყიდვას მაინც აპირებს. "ავერსი", "თიბისი ბანკი", "არსი", "კოკა-კოლა", "აზოტი", "გუდვილი", "ნიკორა", "მეტეხი", ფოთის საზღვაო ნავსადგური, "მადნეული", "ბლექ-სი-გრუპი", "მაგთი", "კვარციტი", "ჰსპ", - ეს იმ კომპანიების მხოლოდ ნაწილია, რომლებმაც ყურძნის ყიდვა ოფიციალურად დაადასტურეს. სულ ასეთი კი, მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილს თუ ვენდობით, ასამდე კომპანიაა.

"ყურძნის ჩაბარებაზე პრობლემა არ არის. კახეთში ჩავიდნენ კომპანიის ხელმძღვანელები დასავლეთ საქართველოდან და თბილისიდან. სავაჭრო ორგანიზაციები ფერმერებთან და გლეხებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მათ კახეთიდან უკვე 300 ტონამდე ყურძენი გაიტანეს. მწყობრშია ათამდე საწარმო, რომლებიც ყურძნის შესყიდვას და გადამუშავებას დაიწყებს. ველოდებით, რომ თითოეული კილოგრამი ყურძენი დაბინავებული იქნება და პრობლემები არ შეიქმნება," - კმაყოფილებას ვერ მალავდა მინისტრი გუშინ მთავრობის სხდომაზე.

კმაყოფილების გამოხატვით ნაკლებად, მაგრამ ყურძნის შემდგომი გამოყენების გზების ძიებით არიან გართულნი თავად ქველმოქმედი კომპანიები.

"ყურძენს აუცილებლად ვიყიდით. ნათქვამი მინიმუმის, ანუ 10 ტონა ყურძნის ყიდვა გადაწყვეტილია. შეიძლება, უფრო მეტიც ვიყიდოთ. ახლა ვფიქრობთ, რა მიმართულება მივცეთ შესყიდულ ყურძენს, ხომ არ გადავყრით? რაში გამოვიყენებთ, ამას ჯერ არ გეტყვით..." - ასე ეხმიანება პრეზიდენტის ინიციატივას სამშენებლო-არქიტექტურული კომპანია "არსის" დირექტორი გია აბულაძე. იქვე ღიმილს ვერ მალავს და იმედი აქვს, რომ **"მერე ჩვენ თუ გაგვიჭირდება, პრეზიდენტი გამოვა და მოუწოდებს ბიზნესმენებს: აბა, თითო-თითი ბინა იყიდეთო..."** - აღნიშნა გია აბულაძემ.

ფარმაცევტულ კომპანია "ავერსს" უკვე გადაწყვეტილი აქვს: ის კახელი გლეხებისგან 20 ტონაზე მეტ ყურძენს შეისყიდის. ყურძნის ბედიც მარტივად გადაუწყვეტია კომპანიის ხელმძღვანელს პაატა კურტანიძეს: **"რატომ გადავწყვიტეთ? იმიტომ, რომ ქვეყანას სჭირდება, კახეთს უჭირს, იქაური გლეხები კი ყურძნის რეალიზაციაზე არიან დამოკიდებულნი. კომპანიაში 1600 თანამშრომელი გვყავს. ყველას რომ მივულოცოთ დაბადების დღე (ქორწილებიც ხშირია), ჩავთვალეთ, რომ საკმაოდ ბევრი ღვინო დაგვჭირდება. ამასთან, ჩვენ მედიკამენტებს მსოფლიოს 35 ქვეყნიდან ვიღებთ. შესაბამისად, ძალიან ბევრი პარტნიორი გვყავს, ასე რომ, სიმბოლურად ყველას გადავცემთ ქართულ ღვინოს. ეს ღვინის პოპულარიზაციისთვისაც მშვენიერი ხერხი იქნება."**

10-10 ტონა ყურძენს იყიდიან "მინისა და მინერალური წყლების კომპანიასა" და "მაგთიში". **"ჩვენი კომპანია აუცილებლად შეასრულებს პრეზიდენტის მოწოდებას და ჩვენს წვლილს შევიტანთ ამ საქმეში. თუმცა ის, თუ როგორ მივართმევთ ყურძენს თანამშრომლებს, ნატურალური თუ ღვინის სახით, ამას მოგვიანებით გადავწყვეტთ,"** - აცხადებენ კომპანია "მაგთიში".

შედარებით "გულუხვი" იქნება "თიბისი ბანკი", რომელიც მზად არის, 20 ტონა ყურძენი შეისყიდოს, რომელიც **"შემდგომ საჩუქრის სახით დაურიგდება მიზნობრივ სეგმენტებს,"** - განუცხადეს "24 საათს" "თიბისი" ბანკში.

რაც შეეხება კომპანია "ყაზბეგს", მას პრეზიდენტის ინიციატივამდეც ჰქონდა განზრახული ყურძნის შეძენა. საქმე ის არის, რომ "ყაზბეგის" ბიზნესჯგუფის ერთერთი წევრი კომპანია თელავის რაიონის სოფელ ფშაველში 30 ჰექტარ ვენახს ისედაც პატრონობს, საიდანაც წელს 100 ტონამდე ყურძენს ელოდება. **"ამ ვენახის ნაწილი კომპანიის საკუთრებაა, ნაწილი - სოფლის მოსახლეობის. წელს 100 ტონამდე ყურძენს ველოდებით. ყურძნის მოვლა-პატრონობა-გადამუშავებას ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს. ყურძნის იმდენად სოლიდურ რაოდენობაზეა საუბარი, რომ პრეზიდენტის მოწოდებას დამატებით აღარ ვეხმაურებით. ჩვენს ეს ისედაც გვქონდა დაგეგმილი,"** - აცხადებენ კომპანიაში.

ამინდი

	7/09	8/09	9/09
კიევი	22	24	20
რიგა	18	23	17
ვილნიუსი	18	21	17
მოსკოვი	17	15	21
მინსკი	18	23	21
პარიზი	27	19	20
რომი	32	28	28
ლონდონი	21	18	19
მადრიდი	28	28	28
ბონი	28	22	24
ვარშავა	25	20	18
ათენა	29	31	31
ბერნი	26	22	26
ამსტერდამი	19	18	17
ოსლო	13	13	18
ანკარა	25	27	30
ვარნა	27	26	27
დელი	48	51	49
ტოკიო	33	35	33
კოპენჰაგენი	17	14	16
ბაქო	22	23	23
ერევანი	28	30	31
ასტანა	20	23	22
ჰელსინკი	17	13	12
დუბლინი	17	18	18
ლისაბონი	30	29	26
პრაღა	27	19	20
სოფია	27	28	31
ბუდაპეშტი	28	30	28
ბუხარესტი	31	30	26

"გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" სტუდენტები დააჯილდოვა

სს "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" (გქბ) ერთიან ეროვნულ გამოცდებში ეკონომიკური პროფილის სამი ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე სტუდენტი დააჯილდოვა. დაჯილდოება "გაერთიანებული ქართული ბანკის" ცერემონიათა დარბაზში 6 სექტემბერს გაიმართა და მას განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტები რომან ლემონჯავა, ნინო კატუკია და თინათინ მახარაძე 14-დან 24 სექტემბრის ჩათვლით, ერთი კვირის განმავლობაში ანტალიაში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაისვენებენ. "გაერთიანებული ქართული ბანკი" მათი საგზურების ღირებულების სრულ დაფინანსებას და სტუდენტების სამოგზაურო დაზღვევას უზრუნველყოფს. სტუდენტებს "გაერთიანებული ქართული ბანკის" VISA- ეროვნული პლასტიკური ბარათები მათზე რიცხული გარკვეული ნაშთით გადაეცემა.

ქუთაისში მცხოვრებ დევნილ სტუდენტს ნინო კატუკიას "გაერთიანებული ქართული ბანკი" ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით სახელობით სტიპენდიას დაუნიშნავს. გქბ-ის გენერალური დირექტორის იუზა თავდიდიშვილის განცხადებით, სტუდენტების წამახალისებელი მსგავსი შინაარსის აქციები სამომავლოდ უფრო მასშტაბურ ხასიათს შეიძენს. "გაერთიანებული ქართული ბანკი" ი. ჭავჭავაძის ენციკლოპედიის გამოცემას, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირს "რუსული კლუბი" და ქართულ საგალობლების ფონდს აფინანსებს. ბანკი კოჯრის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატზე პატრონაჟს და სხვა საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

პროფესიული მომზადების პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის ასაკობრივი შეზღუდვა მოიხსნა

სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის ასაკობრივი შეზღუდვა მოიხსნა, - განაცხადა საქართველოს მთავრობის ოთხშაბათის სხდომაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა. მისი თქმით, რეგისტრაციის დაწყებიდან - 1 სექტემბრიდან - პროგრამაში საქართველოს 10 ათასზე მეტი მოქალაქე დარეგისტრირდა, რომელთაგან სამსახური ნახევარს უკვე გამოუჩნდა. 850-მდე მსურველი გადამზადების პროგრამაში მონაწილეობს. პროგრამის რეგისტრაციის ცენტრები თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთში, თელავში, გორში, ახალციხეში, ზუგდიდში და ოზურგეთშია გახსნილი. სახელმწიფოს ხარჯზე კვალიფიკაციის ამაღლების ან პროფესიის ათვისების შესაძლებლობა 50 ათას მოქალაქეს მიეცემა. ისინი სამი თვის მანძილზე სხვადასხვა კერძო კომპანიებში იმუშავებენ. მათ შრომას სახელმწიფო თვეში 150 ლარით აანაზღაურებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 25 მლნ ლარი გამოიყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

ზურაბ ნოღაიდელი რთველში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხუთშაბათს კახეთში მიემგზავრება. საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუმრობას პრემიერ-მინისტრი გურჯაანის შტაბში შეხვედრით დაიწყებს. გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში ზურაბ ნოღაიდელი მიწის პასპორტების დარიგებას დაესწრება, ხოლო თელავის რაიონის სოფელ კონდოლში რთველში მიიღებს მონაწილეობას. ვიზიტის ბოლოს იგი "თელავის ღვინის მარანში" ყურძნის დამუშავების პროცესს დაესწრება. გურჯაანში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური შტაბი მდებარეობს. შტაბიდან რთველის მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი აკვირდება. მინისტრის თქმით, 5 საწარმო ამუშავდა, 1187 ტონა ყურძენი უკვე გადამუშავებულია. დაგეგმილია კიდევ 40 საწარმოს ამუშავება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

"განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობაზე:

ა) გამძლეობის გენეტიკის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი - 4 საშტატო ერთეული

ბ) ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული, მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული

გ) მოლეკულური ბიოლოგიის ჯგუფის მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული

დ) წაღვერის საყრდენი პუნქტის უყფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული, მეცნიერ თანამშრომელი - 0,5 საშტატო ერთეული.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობას, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. სამეცნიერი თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ინსტიტუტეს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტეს დროებითი წესდებით.

5. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი.

6. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დაკავებული თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრე- ბული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ხოლო დოქტორანტებისათვის (ასპირანტებისათვის) ცნობა შესაბამისი საგანმანათლებლო (სამეცნიერო) დაწესწბულებიდან.;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალის/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელითაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);

7. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასებას ახორციელებს საკონკურსო კომისია. Kკჯომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები,რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად.

8. საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 დღისა საკონკურსო კომისია ამტკიცებს:

a) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარდგენილი და შეესაბამება ინსტიტუტეს წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

b) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარდგენილი ან/და არ შეესაბამება ინსტიტუტის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

9. საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას იმ კონკურსანტებთან, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება ინსტიტუტის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნას. საკონკურსო კომისია აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

7 სექტემბრიდან

12. საბუთების მიღება იწარმოებს 2006 წლის ----------, მისამართი: ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქ. N 90, მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტი.

13. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო 7 ოქტომბერი
ვადაა 2006 წლის ----------.
9 ოქტომბერს

14. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის ----------.

15. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N90
ტელ.: 888 236 6-74-13, 899 28-60-18,
e-mail : gipiko@posta.ge

პასუხისმგებელი პირი გურამ მემარნე.

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ლიანდაგის მოსაწყობად საჭირო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ***მდინარე ტეხურაზე აშენებულ ხიდზე და ხიდის მისასვლელზე ლიანდაგის მოსაწყობად საჭირო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ*** და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, (რკინიგზის საიდენტიფიკაციო კოდი - 202886010) და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

ლოტი №	საქონლის დასახელება	განსაკუთრებული თავისებურება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	რელსი	მაგისტრალური, რ-65 ტიპის, ახალი	ტ	23
2	ქვედი	დ-65, ახალი	ტ	7.65
	ომბოხი	ახალი, 16X16X165მმ	ტ	2.78
	ზედი	რ-65 ტიპის, ახალი	ტ	4.08
	პირაპირის ჭანჭიკი ქანჩით	27X160მმ, რ-65 ტიპის რელსისთვის, ახალი	ტ	0.39
	პირაპირის საყელური	მ-27, ახალი	ც	0.03
3	შპალი	რკინაბეტონის, "პენდროლის" ტიპის, ახალი	ც	1 656
4	ღორღი სალიანდაგო	ფრაქცია 40-60მმ	მ³	1 440
5	თათიანი ჭანჭიკი ქანჩით	22X350მმ, ახალი	ტ	6.3
	ჭანჭიკები დამცავი კონსტრუქციისთვის	22X350მმ, ახალი	ტ	3.9
	ხიდის ძელი	T-1-A გოსტ 28 450-90, გაჟღენთვის გოსტ 20022.5-75	ც	510
	ხის შპალი	გაჟღენთილი, T-1-A დამცავი კონსტრუქციისთვის, გოსტ 78-89, გაჟღენთვის გოსტ 20022.5-75	ც	126
6	ლურსმანი	150მმ	კგ	53.85
	კუთხოვანა	ლითონის, 63X63X6მმ, მოაჯირისთვის	ტ	4
	კვადრატი	ლითონის, მოაჯირის შესავსებად	ტ	1.8
	ჭანჭიკები	22X70მმ, მოაჯირის კუთხოვანისთვის	ტ	0.2
7	ფიცარი	სისქე 50მმ	მ³	17.1

2. შესყიდვის ობიექტი :

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;

4. მოწოდების ვადა - 2006 წლის IV კვარტალი;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **28 სექტემბრის** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისთვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან საწიაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ფიზიკური პირისთვის :

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საჩხერის რაიონის გამგეობის მიერ, 2006 წლის 18 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" ავტომობილების შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი იქნას ცვლილებები და განცხადების ტექსტური ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ტენდერში მონაწილეობის მსურველები უნდა იყვნენ რეგისტრირებული ინდ. მეწარმე ან იურიდიული პირები.

ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს გამარჯვებულის გამოვლენიდან არა უგვიანეს ორი თვის განმავლობაში. №3 ლოტზე შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა და სატენდერო წინადადების წარდგენა იწარმოებს 2006 წლის 16 სექტემბრის 12 საათამდე საჩხერის რაიონის გამგეობაში. საკონტაქტო პირი მაია კუსიანი - სატენდერო კომისიის აპარატის მდივანი ტელ.

899 45 54 83.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 100 \ასი\ ლარი.

სხვა დამატებითი ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

განცხადება

ს.ს.ი.ა. აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს

კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე: მთავარი მეცნიერ მუშაკი - 5 ერთეული; უფროსი მეცნიერ მუშაკი - 5 ერთეული; მეცნიერ მუშაკი - 6 ერთეული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ დირექტორის მოადგილეს **გულიზარ ზარდიაშვილს.**
მის: მცხეთა-ზაჰესი; ტელ: 65-80-33; მობ. 855420095

საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის
ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

№ 1	მიწის ნაკვეთის მისამართი	გაცემის ფორმა	სარგებლობის ფორმა	მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა)	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ	მოშენების ფართობი კვ.მ.	სართულიანობა	საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი)	კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	ვაკე-საბურთალოს რაიონი,ბაგები, იმედაძის ქუჩა.	აუქციონი	საკუთრება		36 კვ.მ				40 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (ბიჯი-10 დოლარის ექვივალენტი ლარებში)

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2006 წლის 7 სექტემბრის 11სთ/დან 2006 წლის 7 ოქტომბრის 17სთ/მდე. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქლაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე.

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300
ს/კ 203827074
ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი კოდი 220101502

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

ქ. რუსთავში მდებარე შპს "არსი" ითხოვს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

ქ. ოზურგეთში მდებარე შპს "წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სკოლა" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.

შეცდომების გასწორება

"24 საათის" 6 სექტემბრის ნომერში (N196) გამოქვეყნებულ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის საკონსურსო განაცხადში (გვ. A6) გაიპარა უნებლიე შეცდომა. პუნქტი 10. სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა და პუნქტი 11. ცენტრის სამოქმედო გეზის ხედვა უნდა იკითხებოდეს:

10. სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა:
- საკვლევი პრობლემები სტრუქტურული ერთეულის
- მოსალოდნელი შედეგები ხელმძღვანელისთვის
- საჭირო რესურსები

11. ცენტრის სამოქმედო გეზის ხედვა:
- უახლესი 3-5 წლის განმავლობაში უფროსი მეცნიერ
- დასახული მიზნების მიღწევის თანამშრომლისთვის შესაძლო გზები

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

■ საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია ქსელური პრინტერების და ასლგადამღები აპარატის შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა განხორციელდება 2 ლოტის მიხედვით:
პირველი ლოტი: ქსელური პრინტერი (20 ცალი)

ბეჭდვის პროცესი	შავთეთრი ლაზერული, ორმხრივი, ქსელური.
ბეჭდვის სიჩქარე	მინ 26 ფურცელი/წთ.
ფურცლის მარაგი	მინ 250 ცალი
ფურცლის ზომები	Letter, legal, A4, A5, B4 (JIS).
მაქს. ფურცლის ზომა	A4
ფურცლების მიწოდება	ავტომატური
ქსელი	10/100/1000
მეხსიერება	Min 64 MB , expansion up to 320 MB
გარჩევადობა	1200 dpi
ბეჭდვის ენა	PCL and Poscript Mode
გარანტია	მინ. 1 წელი

მეორე ლოტი: ასლგადამღები აპარატი (1 ცალი)

ბეჭდვის პროცესი	შავთეთრი ლაზერული, ორმხრივი.
ბეჭდვის სიჩქარე	მინ. 75 ფურც./წთ
ფურცლის მიწოდება	ავტომატური ორმხრივი (DADF) და ხელით
ფურცლის მარაგი	მინ. 2000 ფურცელი
ქაღალდის სიმკვრივე	50 –128 გ/კვმ
მაქს. ფურცლის ზომა	A3
წარმადობა	მინ. 300000 ფურც./თვეში
მეხსიერება	Min 256 MB , expansion up to 512 MB
მაშტაბირების საშუალებით	25 - 400% ბიჯი 1%
ფინიშერით	
გარანტია	მინ. 1 წელი

■ ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა განახორციელოს შესყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

■ პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 28 სექტემბრის 1200 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 28 სექტემბრის 1200 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

■ პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

■ საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

■ **იურიდიული პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);
ბ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);
დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

■ **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);
გ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);
ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

■ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 28 სექტემბრის 1200სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

■ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

■ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **(არაუგვიანეს 2006 წლის 28 სექტემბრის 1200სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

■ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

■ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულმა ხელშეკრულების გაფორმებისთვის უნდა წარმოადგინოს: მოთხოვნილი წინასწარი ანგარიშსწორების ოდენობის თანხის საბანკო გარანტია და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 3%-ის ოდენობით.

■ პრეტენდენტმა შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუში.

■ დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **28 13 69 ზაურ ჯიოშვილი**.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის ზღვისპირა პარკში არსებული 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ ზღვის საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ.მ.-დან 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 49 წლიანი იჯარით განკარგვის მიზნით

ქალაქ ბათუმის მთავრობა

1-01-25 / 19-15 N 244 " 24 " აგვისტო 2006 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის ზღვისპირა პარკში არსებული 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ ზღვის საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ.მ.-დან 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 49 წლიანი იჯარით განკარგვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია თანამედროვე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (მაღალი კლასის რესტორნის) მშენებლობისა და საპლაჟო ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის ზღვისპირა პარკში არსებულ 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ ზღვის საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ. მ.-დან 5000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. თანამედროვე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტისა და მაღალი კლასის რესტორნის (არაუმეტეს ორი სართულისა) მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის არსებული 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ.მ.-დან 5000 კვ.მ. ფართობზე პლაჟის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით 49 წლიანი იჯარით განკარგვაზე გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.

4. ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;
ბ) საკონკურსო პირობები;
გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;
დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრებისა და კონკურსის ჩატარების თარიღები;
ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ბე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;
ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.

5. კონკურსში მონაწილეობისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით შეიტანოს 719,25 ლარი, შესაბამისად 8700 და 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის 14 385 ლარის 5%.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება განხორციელდეს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარე-გისტრაციო სამსახურს და ეთხოვოს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგის-ტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოახდინოს დადგენი-ლების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანი-შნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.

8. დადგენილება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვი-სა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისი-ის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).

10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

11. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მერის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე

"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"

ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება
2006 წლის 24 აგვისტო N244

ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის ზღვისპირა პარკში არსებულ 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ ზღვის საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ.მ.-დან 5000 კვმ. მიწის ნაკვეთის 49 წლით სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის

საკონკურსო პირობები

შესავალი

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 აგვისტოს N244 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის, უმაღლესი კლასის რესტორნის მშენებლობისა და პლაჟის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქალაქ ბათუმის სახელ-მწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის ზღვისპირა პარკში არსებული 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ ზღვის საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ. მ.-დან 5 000 კვმ. მიწის ნაკვეთის 49 წლიანი იჯარით განკარგვაზე

1. კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია: ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის ზღვისპირა პარკში არსებული 8700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მის მოპირდაპირედ ზღვის საპლაჟო ზოლში N29 სექტორზე 100 გრძ. მ.-დან 5000 კვმ. მიწის ნაკვეთის 49 წლიანი იჯარით განკარგვა, თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობისა და პლაჟის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზღვისპირა პარკში ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის არსებული ტერიტორია და მის მოპირდაპირედ არსებული საპლაჟო ზოლი, N29 სექტორი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დანიშნულების (მაღალი კლასის რესტორნის) მშენებლობა და პლაჟის ინფრასტრუქტურის განვითარება.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 13 700კვ.მ. (8700კვ.მ. და 5000კვმ);
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 1,05 ლარი, სულ 14385 ლარი.
იჯარის ხელშეკრულების ვადა: 49 წელი.

3. საკონკურსო პირობები:

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 1,05 ლარს, სულ 14385 ლარს, ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 49 წელს.

2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე საზოგა-დოებრივი დანიშნულების ობიექტისა (არა უმატეს ორი სართული უმაღლესი კლასის რესტორნის) და საპლაჟო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა.

3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღების დღიდან 10 თვის ვადაში.

4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის არაუმეტეს ორ სართულიანი რესტორნისა და საპლაჟო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის აუცილებელი ობიექტების მშენებლობა.

5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა მაღალი დონის მომსახურება, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სანიტარიული და ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტი და უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა.

6. ვაჟა-ფშაველასა და 26 მაისის ქუჩებს შორის არსებულ ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე შენარჩუნებული უნდა იქნას არსებული მწვანე საფარი. ტერიტორიის მოშენების კოეფიციენტის ოდენობა კი განისაზღვროს შემდეგნაირად: K1=0,3.

7. პლაჟის N29 სექტორზე შესაძლებელია ანაკრები ტიპის საზ.კვებისა და მომსახურების ობიექტების განთავსება, სპორტული და გასართობი მოედნების მოწყობა. მოშენების ფართი განისაზღვროს არაუმეტეს 500 კვ.მ.-ისა.

8. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება.

9. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარისწორებო ანგა-რიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებუ-ლი კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით A3 ფორმატში, ზამბარაზე აკინძული, ლამინირებული - 2 ეგზემპლარი კომპიუტერულ ვერსიასთან და მოკლე ანოტაციასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თითოეულმა პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 719,25 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს შესაბამისად 8700 და 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 14385 ლარის 5%-ს.

6. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 5000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა.

6. სხვა პირობები

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 10 ოქტომბერს, 1500 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 10 ოქტომბერს, 1600 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

საერთაშორისო ფასთა კოტირება

მოწვევა ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მისაღებად (IთQ)

სტრუქტურულ რეფორმათა ხელშეწყობის პროექტი
პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობისა და სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვა
კრედიტის N: 3264-GE

1. ყველა დაინტერესებული მომწოდებელი მოწვეულია რათა წარმოადგინონ განფასებები შემდეგი საქონლის მოწოდებლად:

ლოტი 1 - პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა და
ლოტი 2 - სადეზინფექციო საშუალებები

2. საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო კრედიტი სხვადასხვა ვალუტაში და ამ სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს ზემოხსენებული საქონლის შესყიდვა.

3. პრეტენდენტებს უფლება აქვთ შემოგვთავაზონ თავიანთი განფასება ნებისმიერი ან ორივე ლოტისათვის, მაგრამ ფასები წარმოდგენილ უნდა იქნას ლოტში შემავალი ყველა პოზიციისათვის. არასრული შემოთავაზებები უარყოფილ იქნება. შეფასება მოხდება ლოტების მიხედვით. განფასებების შეფასება მოხდება ლოტის ყველა პოზიციისათვის ერთად, თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე და კონტრაქტი გაფორმდება იმ ფირმასთან, რომელიც შემოგვთავაზებს: ა) ტექნიკურად დამაკმაყოფილებელ საქონელს ბ) ლოტისათვის ყველაზე დაბალ ფასს. მომწოდებლებმა უნდა წარმოადგინონ კომენტარები (შედარება) შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების განსხვავებაზე მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

4. საკონკურსო დოკუმენტების (მოწვევა ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მისაღებად) შესაძლებელია გადმოტვირთულ იქნას დი-ჯი მარკეტის ვებ-გვერდიდან (www.dgmarket.com), ან შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრიდან, ქვემოთ მითითებულ მისამართზე. დოკუმენტების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია, და დაინტერესებულ მონაწილეებს გაეგზავნებათ მოთხოვნისთანავე. მონაწილეები, რომლებიც ჩამოტვირთავენ დოკუმენტებს ვებ-გვერდიდან, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განმახორციელებელ ცენტრს უნდა აცნობონ წერილობით (ფაქსით ან ელ. ფოსტით) არიან თუ არა დაინტერესებული მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ კოტირებაში, რათა რეგისტრირებულ იქნან პრეტენდენტებათ. ეს საშუალებას მისცემს ცენტრს საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს მონაწილეებს და გაუგზავნოს მათ შემდგომი დამატებები/დაზუსტებები თუ ასეთი იქნება.

5. განფასებები (წინადადებები) მოთხოვნილ ფორმატში უნდა მიეწოდოს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრს შემდეგ მისამართზე:

ალ ყაზბეგის გამზირი 23?,
თბილისი, 0160, საქართველო
ტელ:/ფაქსი: +995-32 331-9-39; 388-220; 388-210
ელ-ფოსტა: **Info@hpic.ge**

6. განფასებები წარმოდგენილ უნდა იქნას **ინგლისურ** ენაზე და უნდა ახლდეს სხვა დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია (კატალოგები და სხვა ბეჭდვითი მასალა - ინგლისურ ენაზე) თითოეული შემოთავაზებული საქონლისათვის.

7. განფასებების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 19 სექტემბერი. წინადადებები მიწოდებულ უნდა იქნას ზემოთ მოცემულ მისამართზე.

8. განფასებების წარმოდგენა შესაძლებელია ფაქსითაც/ელ-ფოსტითაც

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 19 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 19 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება და შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდეს 9 ლოტად (პოზიცია):

ლოტი N1 ვაჟა-ფშაველას I კვარტალი - 6 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა; 47 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; 69 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა; 34 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა;

ლოტი N2 - როსტოვის ქ. (ყირიმის ქ-მდე), ლარეხის ქ., საქარის ქ, მამარდაშვილის ქ, ართვინის ქ, ნორიოს აღმართი, ჩეჩელაშვილის ქ, (ხევი და შესახვ), მიჩურინის ქ და შესახვ , მნათობის ჩიხი, მიმდ. ქუჩები - 2 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 36 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 83 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 5 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა.

ლოტი N3 - ჯაბაურის ქ, მნათობის ქ, დავითაშვილის ქ, პ. ბაგრატიონის ქ, სიღნაღის ქ, ბერიაშვილის ქ, პაატა სააკაძის ქ, გუმათის ქ, ლამის ქ. და შესახვ, ასპინძის ქ. შეს. და მიმდ. ქ - 1 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 73 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 39 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 3 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

ლოტი N4 - ჩიტაიას ქ, ჩიქობავას ქ, ჩანჩიბაძის ქ, სულუხიას ქ, გ. ერისთავის ქ, ახალციხის ქ, ბენაშვილის ქ, გრანელის ქ, ვერხანის ქ, ბოჭორიძის ქ, მარჯანიშვილის ქ. ჩიტაიას ქ-დან ბოლომდე, კალანდარიშვილის ქ. და შეს, ჩერქეზიშვილის ქ. და შეს, არაგვისპირელის ქ. და შეს, გორკის ქ. - მიმდებარე ქუჩები - 4 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 6 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა 173 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 125 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 24 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

ლოტი N5 - ჩუბინიშვილის ქ, ნინოშვილის ქ, ჯავახიშვილის ქ, წინამძღვრიშვილის ქ, ტოვსტონოგოვის ქ, კლდიაშვილის ქ, ფიროსმანის ქ, გოგოლის ქ, გოგი დოლიძის ქ, ფოცხვერაშვილის ქ, კონსტიტუციის ქ, კიტა აბაშიძის ქ, კიევის ქ, მაზნიაშვილის ქ, ნადირაძის ქ, ტურგენევის ქ, ვარციხის ქ, კანკავას ქ, ტყვიავის ქ, ზაქარია ქურდიანის ქ. აღმაშენ. გამზირიდან, მარჯანიშვილის ქ. ჩიტაიას ქ. გადაკვეთამდე, სუნდუკიანის ქ. და მიმდ. ქ-ები - 10 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 19 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 409 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 426 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 44 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

ლოტი N6 - საარბრუკენის ხიდი, მოედანი სანაპიროდან საარბ. მოედ-მდე, აღმაშენებლის გამზირი, ბუხაიძის ქ. და შესახვ, კუმისის ქ. და შესახვ, ახვლედიანის აღმ, უზნაძის ქ, ხეთაგუროვის ქ, ჭოროხის ქ, დოდო აბაშიძის ქ, სანკტ-პეტერბურგის ქ, ტოლსტოის ქ, ნ. ჩხეიძის ქ, ციმაკურიძის ქ, წმ. ნიკოლოზის ქ, სულიაშვილის ქ, პეტრე იბერის ქ - 666 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 122 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 14 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა

ლოტი N7 - ზაზიშვილის ქ. შესახვევებით, 9 ძმის ქ, ქინქლაძის ქ, თეთნულდის ქ, გროზნოს ქ. შესახვევებით, ვეშაპურის ქ. და შესახვ, გურგენიძის ქ. მიმდებარე ქუჩები - 7 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 186 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 62 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 11 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

ლოტი N8 - ტყეკულტურის ქ. და შესახვ, მანგლისის ქ, არგვეთის ქ, სამშვილდის ქ, წყაროს ქ, მარუაშვილის ქ, აფხაზეთის ქ. შესახვ, აგარის ქ, სარკინეთის ქ, სამურზაყანოს ქ. და შესახვ, თეკლათის ქ, ცაიშის ქ, სალხინოს ქ. და სესახვ, ლებარდეს ქ, ტაშირის ქ, ლანჩხუთის ქ, შეროზიას ქ, გივიშვილის ქ, ასხინის ქ, ქვალონის ქ - 4 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 4 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 191 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 169 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 14 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

ლოტი N9 - მიცკევიჩის ქ, მიცკევიჩის ქ. N25-ის ეზო, კუტუზოვის ქ, ბაგრატიონის ქ - 2 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 137 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 68 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

I ლოტი.
წყალტუბოს რაიონული სასამართლოს, მდებარე რუსთაველის ქ. N29, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:
1. შენობის საერთო ფართი - 1312 მ2
2. საამშენებლო მოცულობა - 6311 მ3

II ლოტი.
წალკის რაიონული სასამართლოს, მდებარე 25 მარტის ქუჩა N64, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა.

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 28 სექტემბრიდან 29 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.
ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;
მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;
ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).
მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით;
4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133;
5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

ტელ: 92 11 89

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს საერთო სასამართლოებში ვირტუალური ქსელისა (VPN) და ინტერნეტ მომსახურეობის შესყიდვაზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

სასამართლო	მისამართი	VPN სიჩქარე Up/Down (Data)	ინტერნეტი სიჩქარე (გარანტირ.)
საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	ზუბალაშვილების 32	512	512
თბილისის სააპელაციო სასამართლო	გრ. რობაქიძის 7ა	256	128
თბილისის საქ. სასამ. (სისხლის კოლეგია)	დავით აღმაშენებლის ხეივანი 6	128	128
თბილისის საქ. სასამ. სამოქალაქო კოლეგია)	ქეთევან წამებულის 1	128	0
თბილისის საქ. სასამ. (ადმინისტრაციული კოლეგია)	სარაჯიშვილის 1	128	128
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	ნიუპორტის 32	128	256
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	კუპრაძის 11	128	128
რუსთავის საქალაქო სასამართლო	პოსტან-ქალაქის 2	128	128
თელავის რაიონული სასამართლო	დავით აღმაშენებლის 41	128	64
სიღნაღის რაიონული სასამართლო	ცოტნე დადიანის 15	128	64
მარნეულის რაიონული სასამართლო	რუსთაველის ქ. №53	128	64
მცხეთის რაიონული სასამართლო	სამხეიდრო 17	128	64
გორის რაიონული სასამართლო	სერგო ჯორბენაძის ქ № 30	128	128
ახალციხის რაიონული სასამართლო	მგზაღიშვილის ქ №82	128	64
ზესტაფონის რაიონული სასამართლო	ყურეთლის 7	128	64
სამტრედიის რაიონული სასამართლო	სასამართლოს ქ. №1	128	64
ამბროლაურის რაიონული სასამართლო	კოხტაევის ქ №13	128	64
ოზურგეთის რაიონული სასამართლო	ი. სიორიძის ქ №14	128	64
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	ლაღიძის ქ №12	128	64
ფოთის რაიონული სასამართლო	აღმაშენებლის ქ № 3	128	64
ბათუმის რაიონული სასამართლო	ზუბალაშვილების 30	128	128
ახალქალაქის რაიონული სასამართლო	მაშტოცის 102	128	64
ხაშურის რაიონული სასამართლო	კოხტაევის ქ №15	128	64

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 28 სექტემბრიდან 29 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.
ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;
ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;
ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით;
4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133;
5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)
ტელ: 92 11 89

განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული საციგურაო მოედნის ენერგო მომარაგების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: სარეზერვო ენერგომომარაგების აღდგენითი სამუშაოები; დამოუკიდებელი ენერგომომარაგების მოწყობა.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვე.

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 27 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 27 სექტემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ფიზიკური პირისათვის:

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 6 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 26 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტი
კრედიტი N 32640
საკონსულტაციო მომსახურება

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ინდივიდუალურ კონსულტანტებსQმიიღონ მონაწილეობა ტენდერში **სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტის საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის კომპონენტის (შემდგომში "პროექტი") ფინალური შეფასების ანგარიშის შექმნის მიზნით.**

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს "პროექტის" მიმდინარეობის საბოლოო შეფასების ანგარიში, რისთვისაც უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

■ **წარმოადგინოს ანგარიშის მოკლე ვარიანტი (სადაც იქნება მითითებული ფინალური ანაგრიშის ძირითადი პრინციპები)**

■ **გააკეთოს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარებისა და "პროექტის" დანერგვის პერიოდში არსებული ჯანდაცვის სისტემის ზოგადი მიმოხილვა;**

■ **სქემატურად მიმოიხილოს ჯანდაცვის სექტორის მდგომარეობა "პროექტის" დანერგვამდე პერიოდში;**

■ **ანალიზი გაუკეთოს "პროექტს" მისი მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ;**

(ა) "პროექტის' მიზნების მიღწევის მიზნით რა იყო გათვალისწინებული /დასანერგი;

(ბ) რა განხორციელდა, როდის და რომელ სექტორში/ქვე-კომპონენტში;

(ც) რა გეგმებია დასახული შემდგომი მიღწევებისათვის;

(დ) იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომლებიც დაფიქსირდა დანერგვის პერიოდში;

(ე) დასახული მიზნების შეფასება განსაზღვრული ინდიკატორებისა და შედეგების ანალიზის მეშვეობით.

■ **შეაფასოს ადმიანური რესურსების მომზადებაში არსებული მიღწევები**

■ **დააფიქსიროს "პროექტით" განსაზღვრული აქტივობებისა და რეფორმისPპოტენციური სიცოცხლეუნარიანობა**

■ **განსაზღვროს მიღებული გამოცდილება და დასახოს სამომავლოდ მისი გამოყენების გზები.**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი განათლება შესაბამის (ჯანდაცვის) დარგში;
2. ჯანდაცვის სფეროს, განსაკუთრებით საავადმყოფოთა სექტორის, ცოდნა
3. მინიმუმ 5 წლის გამოცდილება პროექტების მონიტორინგისა და შეფასების დარგში (სასურველია);
4. მსგავსი საკონსულტაციო მომსახურების განსაზღვრულ დროში განხორციელების გამოცდილება;
5. სამუშაო გამოცდილება ცენტრალური ევროპისა და აზიის ქვეყნებში (სასურველია);
6. ანგარიშგების უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე
7. საკომუნიკაციო და საპრეზენტაციო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

სამუშაოების ხანგრძივობაა 2 თვე.

ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", მეთოდი - "შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი). ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაურეთ წერილობით და ინტერესის გამოხატვის წერილს თან დაურთეთ:

1. რეზიუმე (ქართულ ენაზე);
2. დიპლომის/სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები
3. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი
4. სულ ცოტა ორი სარეკომენდაციო წერილი.

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2006 წლის 5 ოქტომბრის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ტელ/ფაქსი: +995 (32) 388210, 388220, 331939

ელ. ფოსტა: info@hpic.ge

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადიით დაავადებულთა სრულფასოვანი ჰემო და პერიტონალური დიალიზით უზრუნველყოფა.

შენიშვნა: ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ (ორგანიზაციებმა) უნდა უზრუნველყოს ჰემოდიალიზზე მყოფი 509 და პერიტონალურ დიალიზზე მყოფ 75 პაციენტის სამედიცინო მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებში გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის დაცვით.

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 სექტემბერს, 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის - ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

13. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

14. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement@susif.ge**.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის წინ ბაზალტის ფილების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვე.

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 28 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 28 სექტემბრის 16.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ფიზიკური პირისათვის:

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 6 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 27 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია